

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი



მეცხრე საფაკულტეტო სამეცნიერო
კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს
გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 125
წლისთავისადმი

თბილისი 2015 წლის 24-25 ივნისი

საორგანიზაციო კომიტეტი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის
მოადგილე, პროფესორი თედო ღუნდუა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა
და განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი ნანა
გაფრინდაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის
სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი
როლანდ თოფჩიშვილი

ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა
და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი თამარ
გოგუაძე

კონფერენციის თეზისები

სარჩევი

1. პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი -----12
აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია: ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი
Professor Roland Topchishvili
Academician George Chitaia: the Founder of the Georgian Academic Ethnology
2. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო მინდაძე -----14
გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობის თეორიული ასპექტები
Nino Mindadze
Theoretical Aspects of Giorgi Chitaia's Scholarly Activities
3. ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი -----15
აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და სვანეთის ტრადიციული ყოფისა და კულტურის კვლევის საკითხები
Associate Professor Rozeta Gujejiani
Academician Giorgi Chitaia and the Research Issues of the Traditional Life and Culture of Svaneti
4. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი გოცირიძე -----17
გიორგი ჩიტაია – ეთნოლოგიური სკოლა თაობათა გადასახედიდან
Giorgi Gotsiridze
A Generational Perspective of the Georgian School of Ethnology

ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის სექცია

Ethnology and Archaeology

5. პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი -----19
მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების ანთროპონიმები
Professor Roland Topchishvili
Anthroponyms of the Forced-Migrated Georgians in the Marmara Sea Region
6. ასოცირებული პროფესორი ტრისტან მახაური -----21
ხის საოჯახო ჯამ-ჭურჭლის ხეწვა ფშავში
Associate Professor Tristan Makhauri
Carving Wooden Dishware in Pshavi
7. გიორგი მეურმიშვილი -----23
ეკოლოგიური ანთროპოლოგიის საგანი
Giorgi Meurmishvili
Subject of Ecological Anthropology
8. ასოცირებული პროფესორი მარინე ფუთურიძე -----24
თრიალეთის კულტურის მასალების სიხარული

Associate Professor Marine Puturidze

Zoomorphic theme and specific of its presentation according the items of the Trialeti Culture

კულტურის კვლევების სექცია

Cultural Studies

9. ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი -----26
„ჩვენ“ და „სხვები“ – ქართველთა მიერ სომხების აღქმა ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში
Associate Professor Ivane Tsereteli “We” and “others” – The Georgian Perception of Armenians in the Process of the Formation of Georgian Identity
10. ასოცირებული პროფესორი ქეთევან კაკიტელაშვილი -----28
ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფცია ქართული ნაციონალური პროექტის კონტექსტში (XIX-XX საუკუნეების მიჯნა).
Associate Professor Ketevan Kakitelashvili The Conception of Georgian Jewish Identity in the Context of the Georgian National Project (Turn of the 20th century)
11. ასისტენტ-პროფესორი მაია კვრივიშვილი -----30
საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება
Assistant Professor Maia Kvrivishvili
Formation of Soviet Human Being

ენათმეცნიერების სექცია

Linguistics

სექცია I

12. პროფესორი დარეჯან თვალთვაძე -----34
წინაათონური რედაქციის ოთხთავის მეთერთმეტე საუკუნის ერთი ხელნაწერი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმიდან (ქუთ. 363)
Professor Darejan Tvaltvadze A Pre-Athonite Gospel Manuscript Available from Kutaisi State Museum (Kut.363) Dated by the 11th Century
13. ემერიტუს პროფესორი მერი ნიკოლაიშვილი -----36
-ები/-ება დაბოლოება, როგორც არაცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნების ყალიბი
Emeritus Professor Mary Nikolaishvili
-ebi/-eba Ending as the Gauge of the Verb of the Nonchangeable Construction
14. პროფესორი რამაზ ქურდაძე, ასოცირებული პროფესორი მაია ლომია, ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი -----37
ქართულ-მეგრულ-ლაზურსვანურ-ინგლისურ ლექსიკონში ქართველური ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლებისათვის
Professor Ramaz Kurdadze, Associate Professor Maia Lomia, Associate Professor Ketevan Margiani
For the Theoretical Bases of Systematization of the data of the Kartvelian Languages in Georgian-Megrelian-Laz-Svan-English Dictionary

15. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ასათიანი —————39
 აქტიური და პასიური ფორმალური მოდელების შერჩევის ალგორითმი ქართულში
Associate Professor Rusudan Asatiani
 The Algorithm Defining the Appearance of Active-Passive Formal Models in Georgian
16. ასოცირებული პროფესორი სალომე ომიადე —————41
 გრამატიკალიზაციის თანმხლები სემანტიკური და მორფოსინტაქსური ცვლილებები
Associate Professor salome Omiadze
 Semantic and Morphosyntactic Changes, Accompanying Grammaticalization
17. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზეკალაშვილი —————42
 სურვილის გამოხატვის სპეციფიკა ქართულში
Associate Professor Rusudan Zekalashvili
 The Specificity of the Expression of Desire in the Georgian Language
18. ფილოლოგიის დოქტორი ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი —————44
 მსახვრელი სახელების სახეები წარმოებისა და ფუნქციის მიხედვით
Nino Bagration-Davitashvili
 Types of the Definite Words According to the Formation and Functions

სექცია II

19. ემერიტუს პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი —————45
 არტურ ლაისტი და საქართველო
Emeritus Professor Vakhtang Imnaishvili
 Arthur Leist and Georgia
20. პროფესორი ციური ახვლედიანი, ასოცირებული პროფესორი გიორგი ყუფარაძე—47
 ინგლისურ ნასესხობათა ასიმილაცია ფრანგულში
Professor Tsiuri Akhvlediani, Associate Professor Giorgi Kuparadze,
 Assimilation of English Borrowings in the French Language
21. პროფესორი მანანა რუსიეშვილი —————49
 იდიომებისა და ანდაზების ელექტრონული ბაზის აგების ძირითადი მომენტები
Professor Manana Rusieshvili
 Fundamentals of an Electronic Database of Idioms and Proverbs
22. ფილოლოგიის დოქტორი თამილა სესიაშვილი —————50
 ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და მწერების გერმანული, ქართული და
 რუსული სახელწოდებებისაგან ნაწარმოები გვარების ლინგვისტური ანალიზი
Tamila Sesiashvili
 A Linguistic Analysis of the Derivation of German, Georgian and Russian Surnames from the Names
 of Animals, Birds, Fishes and Insects
23. ასოცირებული პროფესორი მარინა ანდრაზაშვილი —————52
 არათარგმნადი კულტურულგეოგრაფიული რეალიები და მათი ეკვივალენტები
Associate Professor Marina Andrazashvili
 Non-Translatable Cultural Geographic Realia and Their Equivalents

24. ასოცირებული პროფესორი მარინე ალექსიძე -----55
გადმოცემის კატეგორიის ზოგიერთი ასპექტი შეპირისპირებითი ანალიზის ჭრილში
Associate Professor Marine Aleksidze Some Aspects of the Comparative Analysis of Narrative
Categories in Light of Comparative Analysis
25. ნინო მუნჯიშვილი დოქტორანტი -----57
აღქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაცია ვირჯინია ვულფის რომანში
„ტალღები“ **Nino Munjishvili** Linguistic Realization of Perceptual Categories in Virginia Woolf's
Novel 'the Waves'

სექცია III

26. პროფესორი ცირა ბარამიძე -----59
რეალისი და ირეალისი თაბასარანულ ენაში
Professor Tsira Baramidze
Realis and Irrealis in the Tabasaran Language
27. ასოცირებული პროფესორი რევაზ აბაშია -----62
ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი
Associate Professor Revaz Abashia
Some Issues of the Historical-Comparative Phonetics of the Kartvelian Languages
28. ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭავარიანი -----63
ლექსემა „სინდიოფალას“ ეტიმოლოგიისათვის
Associate Professor Nana Machavariani
On the Etymology of the Lexeme *Sindiopala* (weasel)
29. ასოცირებული პროფესორი ნუნუ კაპანაძე -----64
კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდების შესაძლებლობები დარგობრივი ომუნიკაციის
კვლევაში
Associate Professor Nunu Kapanadze
The Scope of Corpus Linguistic Methods in Special Communication
30. ფილოლოგიის დოქტორი ხატია ხატიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი ნათია
ამირეჯიბი -----66
სამეტყველო აქტი და ლინგვისტური ექსპერტიზა
Khatia Khatiaшvili, Natia Amirejibi
Speech Acts and Linguistic Examination

ლიტერატურათმცოდნეობის სექცია

Literary Studies

სექცია I

31. პროფესორი მანანა გელაშვილი -----69
დროისა და სივრცის მოდელირება ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“
Professor Manana Gelashvili
Time and Space Modelling in Virginia Woolf's Novel *The Waves*

32. ასოცირებული პროფესორი ნინო ეჯიბაძე -----70
 არაბული და უცხო ელემენტები არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებში
Associate Professor Nino Ejibadze
 Arabic and Foreign Elements in Arabic Folk Fairy Tales
33. ასისტენტ-პროფესორი ნინო ქავთარაძე -----71
 დუმბილის ხელოვნება – პასკალ კინიარის მედუზა გორგონა
Assistant-Professor Nino Kavtaradze
 Art of Silence -Pascal Quignard's *Medusa Gorgon*
34. ლევან ბებურიშვილი დოქტორანტი -----73
 ორი სიმართლის საკითხი ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“
Levan Beburishvili
 Two Issues of Truth in Vazha-Pshavela's "Host and Guest"
35. თათია მთვარელიძე დოქტორანტი -----75
 საბრძოლო მოწოდებების კომპოზიციური აგების პრინციპები თუკიდიდეს
 „პელოპონესის ომის ისტორიაში“
Tatia Mtvarelidze Compositional Principles of the Military Harangues in the "History of
 Peloponnesian War" by Thucydides
- სექცია II
36. პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი -----77
 ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში
Professor Nana Gaprindashvili
 Imagology in Literary Studies in Georgia
37. ასოცირებული პროფესორი ნინო წერეთელი -----80
 XX ს. 30-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება ვიქტორ შკლოვსკის წერილებში
Associate Professor Nino Tsereteli
 Literary Life in the 1930s According to the Letters of Victor Shklovsky
38. ფილოლოგიის დოქტორი ნინო ნასყიდაშვილი -----81
 ფემინისტური დისკურსი XX საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინულ ლიტერატურაში
Nino Naskidashvili Feminist Discourses in Ukrainian Literature of the Second Half of the 20th
 Century
- სექცია III
39. ასოცირებული პროფესორი ქეთევან სიხარულიძე -----83
 ილია ხონელის ფოლკლორული პუბლიკაციები გაზეთში
Associate Professor Ketevan Sikharulidze
 Iliia Khoneli's Folklore Publications in Newspaper
40. ასოცირებული პროფესორი ლელა ხაჩიძე -----85
 მირქმის დღესასწაულის ასახვა ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში
Associate Professor Lela Khachidze
 Reflection of the Presentation of Jesus at the Temple in Georgian Tradition
41. ასოცირებული პროფესორი ხვთისო მამისიმედიშვილი -----88
 ქრისტიანული ელემენტები და მათი ტრანსფორმაცია ჩერქეზულ მითოლოგიურ

წარმოდგენებში (ЗКОИРГО-ში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)

Associate Professor Khvtiso Mamisimedishvili

Christian Elements and their Transformation in the Circassian Mythological Views (According to the Materials Published in ZKOIRGO)

42. ასისტენტ-პროფესორი ელენე გოგიაშვილი -----90
ფოლკლორული წყაროები ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების შესახებ
„კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში“ (1881-1900)
Assistant-Professor Elene Gogiashvili
The Folklore Sources on the Georgian and North-Caucasian Relationships in the “Collection of Materials for Describing the Places and Tribes of the Caucasus” (1881-1900)
43. ფილოლოგიის დოქტორი მარიამ ბაკურიძე -----93
„დედისძმები“ თუშეთში **Mariam Bakuridze** “Dedisdzmebi” (Mother’s Brothers) in Tusheti
44. ფილოლოგიის დოქტორი შოვნა კვანტალიანი -----96
ამინდის ღვთაება მეგრულ ხალხურ ტრადიციაში
Shovna Kvantaliani
The Goddess of Weather in Mengrelian Folk Tradition

სექცია IV Session 4

45. ასოცირებული პროფესორი ეკა ვარდოშვილი -----99
გერონტი ქიქოძე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ
Associate Professor Eka Vardoshvili
Geronti Kikodze About Ilia Chavchavadze’s Literary Heritage
46. ფილოლოგიის დოქტორი ია გრიგალაშვილი -----101
სუსტი რწმენის ტრაგედია
Ia Grigalashvili
The Tragedy of Weak Faith
47. მაია კილაძე დოქტორანტი -----103
პირადი ბედნიერება კოსტას მარინისის „კლიტემისტრას“ მიხედვით
Maya Kiladze
Personal Happiness According to *Clytemistra* by Kostas Marinis

ისტორიის სექცია

History

სექცია I

48. ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე -----106
ჰპატოსი – კონსული VI-VII საუკუნეების საქართველოში
Assistant-Professor Leri Tavadze
Hypatos – Consul in Georgia in the 6-7th cc
49. ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე -----108

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ოლთისი
Associate Professor Bondo Kupatadze
Medieval Town Oltisi (Oltu Castle)

50. ისტორიის დოქტორი მამუკა წურჭუმია -----110
ციხე-ქალაქის შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურაში
Mamuka Tsurtsunia
Qipchaq Trace in the Medieval Georgian Material Culture
51. პროფესორი თედო დუნდუა, ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი -----112
XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი მონეტების მიმოხილვა (ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგის პრეზენტაცია)
Professor Tedo Dundua, Associate Professor Apolon Tabuashvili, Assistant-professor Aleksandre Boshishvili
General Review of the 17th-18th Centuries Coins Struck in Georgia (Presentation of “Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics”)
52. ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე -----114
არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ
Associate Professor Dimitri Shvelidze
Archil Jorjadze about the Origins of the Georgian Nation
53. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე -----115
პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია
Associate Professor Mikheil Bakhtadze
Colonel Irakli Tsaguria

სექცია II

54. ანა ჯორჯოლიანი დოქტორანტი -----117
თუკიდიდეს „ისტორია“ და თანამედროვეობა
Ana Zhorzholiani
Thucydides' History and Contemporaneity
55. ემილ ავდალიანი დოქტორანტი -----120
სასანიდური ირანი გვიან ანტიკურ ხანაში
Emil Avdaliani
Sasanian Iran in Late Antiquity: Strategy for the Creation of the Global Empire
56. ასოცირებული პროფესორი ნანა გელაშვილი -----121
ევროპელი მისიონერები იაპონიაში XVI საუკუნის მეორე ნახევარში
Associate Professor Nana Gelashvili
European Missionaries in Japan at the Second half of the 16th Century
57. ასისტენტ-პროფესორი მიხეილ ბარნოვი -----123
ჯეისონ ბეტზინეზი – „მე ვიბრძოდი ჯერონიმოსთან ერთად“ (აპაჩი ინდიელების მემუარების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა)
Assistant Professor Mikheil Barnovi

Jason Betzinez-“I Fought with Geronimo” (Source-Study Importance of Apache Indians’ Memories)

58. ასისტენტ-პროფესორი ზაალ გოგენია -----124
სამოქალაქო ომის დაწყება ესპანეთში და საფრანგეთის მთავრობის პოზიცია (1936 წლის 18 -25 ივლისი)
Assistant-Professor Zaal Gogenia
The Beginning of the Spanish Civil War and the Attitude of the French Government (18-25 July 1936)
59. ასოცირებული პროფესორი ფატიმა შეყლაშვილი -----126
ნაციონალ-სოციალისტური ქალთა ორგანიზაციები მესამე რაიხში
Associate Professor Fatima Sheklashvili
The Nationalist Socialist Women’s Organizations in the Third Reich
60. ასოცირებული პროფესორი მარია მშვილდაძე -----129
სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები გვიანი ანტიკური პერიოდის რომის იმპერიაში
Associate Professor Marika MshvildaZe
Religious Aspects of State Structure in the Roman Empire of Late Antiquity
61. ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე -----132
ზოონიმური წარმოშობის ტოპონიმები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით
Assistant Professor Ketevan Kutateladze
Toponyms of Zoonymical Origin According to “Kartlis Tskhovreba”

სექცია III

62. პროფესორი გოჩა ჯაფარიძე -----135
ლაზები ეგვიპტის სამხედროპოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში
Professor Gocha Japaridze The Lazians on the Military and the Political Arena of Egypt in the 18th Century and the 20s of the 19th Century
63. ასოცირებული პროფესორი დალი კანდელაკი -----136
იოსებ დუბეტსკის ჩანაწერები რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობების შესახებ
Associate Professor Dali Kandelaki Notes by Joseph Dubetsky on the Relationship Among the People of Russia and Caucasus
64. ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე -----137
ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფია
Associate Professor Merab Kalandadze
Varlam Cherkezishvili and the Historiography of Western Europe
65. მანუჩარ გუნცაძე დოქტორანტი -----140
ეთნიკური უმცირესობების შესახებ საქართველოში არსებული კანონების ანხორციელება და მათი შესაბამისობა რეალობასთან (1918-1921)
Manuchar Guntsadze
Laws about Ethnic Minorities in Georgia and their Implementation and their Relevance to Reality (1918-1921)

ფილოსოფიის სექცია

Philosophy

66. პროფესორი დემური ჯალაღონია —————143
თანამედროვე კრიზისის დაძლევის „ახალი“ გზა – უნივერსალური სინთეზის მომავალი **Professor Demuri Jalagonia**
“New” Way of Overcoming the Crisis of the Modern World – The Future of Universal Synthesis
67. პროფესორი აკაკი ყულიჯანაშვილი —————146
გლობალური და უნივერსალური
Professor Akaki Kulijanashvili
The Global and the Universal
68. პროფესორი ლელა ალექსიძე —————147
სიყვარული, როგორც დაბრუნება საკუთარ თავთან სხვისი მეშვეობით (პლატონური ტრადიცია)
Professor Lela Aleksidze
Love as a Way back to Self Through Other (Platonic tradition)
69. ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე —————149
პაიდეიას ფილოსოფია (ეთიკური ასპექტები)
Associate Professor Anastasia Zakariadze
Paideia’s Philosophy (Ethical Aspects)
70. ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბრაჭული —————152
ანთიმოზ ივერიელი და დასავლური განმანათლებლობა
Associate Professor Irakli Brachuli
Anthim of Iberia and the Western Enlightenment
71. ასისტენტ-პროფესორი ნანა გულიაშვილი —————153
ტერმინ „რომანტიზმის“ განსაზღვრისათვის
Assistant-rofessor Nana Guliashvili
Definition the term *Romanticism*

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია: ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი როლანდ თოფჩიშვილი

XX საუკუნის ქართულ მეცნიერებაში გამორჩეული ადგილი უკავია აკადემიკოსს გიორგი ჩიტაიას. გ. ჩიტაია 125 წლის წინ – 1990 წლის ნოემბერში დაიბადა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიას, აღზარდა არაერთი მეცნიერი ეთნოლოგი. მისი მოწაფეები იყვნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი ეთნოლოგებიც. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ის ყველა ეთნოგრაფიული სამეცნიერო უჯრედის სათავეებთან იდგა, რომელთა შორის საქართველოს მუზეუმის, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილებები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრა შეიძლება დავასახელოთ. განუსაზღვრელია მისი ღვაწლი ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნაში.

თავისი მომავალი მეცნიერული მიმართულება გ. ჩიტაიამ ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის პერიოდში გადაწყვიტა. 1926 წელს გ. ჩიტაიამ მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამავე წელს გ. ჩიტაიამ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებზე სამი მნიშვნელოვანი საპროგრამო ნაშრომი გამოაქვეყნა. და დაიწყო მოწაფეების მომზადება ეთნოლოგიურ მეცნიერებაში. მისი კვლევის სფერო საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის თითქმის ყველა სფეროს – სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის საკითხებს მოიცავდა. გ. ჩიტაიამ დააყენა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგენეტიკური პრობლემა. აკადემიკოსის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომები თეორიული ეთნოლოგიის სფეროში, რომელთაგანაც განსაკუთრებული ადგილი უკავია გამოკვლევას ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის მეთოდების შესახებ. ეს ნაშრომი თავის დროზე რამდენიმე უცხო ენაზეც დაიბეჭდა.

გ. ჩიტაიამ დაასაბუთა, რომ ქართველები ხალხი ოდითგანვე მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი იყო. ქართული სახენული იარაღების შესახებ შექმნილ გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც ამ სფეროში მის მიერ დაწერილ ნაშრომს „პატარა, მაგრამ საუცხოო მონოგრაფია“ უწოდა. ის სათავეში ედგა პირველ და შემდგომ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს, შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო. არ ივიწყებდა მოსწავლეებსაც, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თბილისის მოსწავლეთა სასახლესთან. ორიგინალური იყო გიორგი ჩიტაიას მიერ მომავალი მეცნიერების

აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ხალხს. ამ მემკვიდრეობიდან აშკარად ჩანს, ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე მისთვის ყველაზე მთავარი იყო ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა.

Academician George Chitaia: the Founder of the Georgian Academic Ethnology

Roland Topchishvili

Academician George Chitaia occupies an exceptional place in Georgian scholarship. George Chitaia was born 125 ago in November 1990. He founded the Academic field of Ethnology in Georgia. His disciples were Georgian ethnologists as well as ethnologists from other Caucasian nations. Since the 1920s He stood at the roots of all academic bodies studying ethnography, among which we can list Georgian Museum, ethnology divisions at the Institute of History, and the department of ethnology at Tbilisi State University. Chitaia's efforts are also invaluable for the foundation of the Open Air Museum of Ethnology.

Chiatia defined his own academic career while he still studied in St Petersburg. Chitaia got a job at Tbilisi State University in 1926. He published three fundamental works on the issues of Ethnology during the same year. He started teaching as a private tutor in ethnology studies. His research area embraced almost all the fields of Georgian and Caucasian ethnology whether it was agricultural context, material heritage, social relations or spiritual legacy. G. Chitaia posed and studied academically more than one cultural historical and ethic-genetic problem. Numerous theoretical works in the field of ethnology dedicated particularly to the methods of ethnological study also belong to his pen. One of those works was once published in different languages.

G. Chitaia argued that the Georgian people were historically highly cultivated in agricultural customs. His work on the Georgian plowing tools and mechanisms was especially celebrated by Ivane Javakhishvili who called this work 'a small yet outstanding piece of work'. He organized the first and a few following ethnological expeditions, he travelled all over the country. He never forgot his students. He was in close relationship with the Tbilisi National Youth Palace in Tbilisi.

He employed a rather original method of teaching and bringing up the following generation of ethnologists. He used to organize a round table at home every Wednesday and invite around it interns, young scholars and outstanding students who he engaged in discussions, gave them homework, assessed them and applied a strict academic training to their abilities.

Academician George Chitaia left immeasurable legacy to the Georgian people. This legacy reveals throughout his work his main priority: The National heritage created by the Georgian people.

გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობის თეორიული ასპექტები ნინო მინდაძე

ქართული ეთნოლოგიური სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. იგი სავსე და სამუზეუმო მუშაობას, სამეცნიერო კვლევას, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც უთავსებდა. გიორგი ჩიტაიას ყველა ნაშრომი თეორიული განსჯის საფუძველზეა დაწერილი. ამასთან ერთად მისი ზოგიერთი ნაშრომი ძირითადად მხოლოდ თეორიულ საკითხებს მოიცავს. ასეთია მაგ. გიორგი ჩიტაიას ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი "ქართული ეთნოლოგია", "ცნება "კულტურა", დ სხვ.

ძირითადად კი თეორიული საკითხები განხილულია მისი ლექციების შესავალის იმ ნაწილში, რომელიც "ზოგადი ეთნოგრაფიის კურსის" სახელით არის ცნობილი. ამ ნაშრომებში გიორგი ჩიტაიას მიერ განხილულია ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის კვლევის ობიექტის საკითხები, ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიასთან ერთად, განმარტებულია ცნებები სოციალური, კულტურული ანთროპოლოგია, ჩამოყალიბებულია ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორია ეტაპების მიხედვით და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ჩიტაიას თეორიული კვლევისთვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება – ზოგადთეორიული საკითხების განხილვა -გაშუქება ქართული მაგალითების საფუძველზე.

გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა, კარგად არის ასახული მისი ნაშრომების ხუთტომეულში, რომელიც გამოქვეყნდა მეცნიერის სიკვდილის შემდეგ მისი მოწაფის თამილა ცაგარეიშვილისა და მხატვარ ზურაბ წერეთლის ძალისხმევით. ეს ხუთტომეული და საერთოდ გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა აშკარად მიუთითებს მეცნიერის დამსახურებაზე არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადი ეთნოლოგიის სფეროში.

Theoretical Aspects of Giorgi Chitaia's Scholarly Activities

Nino Mindadze

The activities of the founder of the Georgian ethnological school Giorgi Chitaia was multidimensional and multileveled. He was combining field research, museum activities, scientific research and pedagogical work. Each his scientific piece was based on the deep theoretical considerations. Some of his works are purely theoretical ones, e.g. one of his earliest works “Georgian Ethnology”, or “Concept of “Culture” etc. Theoretical problems are as well discussed in the introductory part of his lectures which is known under the name of “General course of ethnology”. In these works Giorgi Chitaia analyzes the problem of the object of the field, main concepts as ethnology, ethnography, social and cultural anthropology, there is formulated the history of the development of the discipline. It should be especially stressed the characteristic of Giorgi Chitaia's theoretical researches, that he was always considering the theoretical attitudes according the Georgian cases and examples. Giorgi Chitaia's activities are well displayed in his five volume work, which was published by his pupil Tamila Tsagareishvili by the assistance of painter Zurab Tsereteli, after the death of Chitaia. This work is Chitaia's deal not only in development of Georgian Ethnology but also in General ethnological thought.

**აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და სვანეთის
ტრადიციული ყოფისა და კულტურის
კვლევის საკითხები
როზეტა გუჯეჯიანი**

მოსვენებაში მოთხრობილი იქნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას იმ დიდი წვლილის შესახებ, რაც მას მიუძღვის სვანეთის ტრადიციული ყოფისა და

კულტურის შესწავლის საქმეში დაავლენს სვანეთის როლს ერთიანი ქართული კულტურის შექმნაში.

გიორგი ჩიტაიას დამსახურებით მოძიებულ იქნა სვანეთის სულიერი, სოციალური და მატერიალური ყოფის ამსახველი ვრცელი მასალა, რომელიც წლების განმავლობაში იკრიბებოდა. გიორგი ჩიტაია იკვლევდა სვანეთის კულტურულ-სამეურნეო ყოფას, ხალხურ რიტუალებს, სოციალურ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჩიტაია სვანეთის ყოფისა და კულტურის ყოველ სეგმენტს აანალიზებდა ისტორიულ კონტექსტში და წარმოაჩენდა განვითარების სრულ დინამიკას.

გიორგი ჩიტაიას მეთოდურ მითითებებსა და სამეცნიერო ნაშრომებში მოცემულია ვრცელი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი და იგი შედარებულია საქართველოს სხვა მხარეების ეთნოგრაფიულ ინფორმაციასთან, წარმოჩენილია ზოგადქართული მახასიათებლები და კონკრეტული ლოკალური ვარიაციები. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება გიორგი ჩიტაიას მიერ გამოთქმულ სხვადასხვა სამეცნიერო ვარაუდებზე, რომელთა მართებულობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოჩინდა.

Academician Giorgi Chitaia and the Research Issues of the Traditional Life and Culture of Svaneti

Rozeta Gujejiani

The paper will describe the great contribution of academician Giorgi Chitaia in the study of the traditional life and culture of Svaneti and reveals the role of Svaneti in creating the united Georgian culture.

The extensive materials describing the spiritual, social and material life of Svaneti, which had

been gathered throughout the years were discovered with the great help of Giorgi Chitaia. Giorgi Chitaia studied the cultural and economic life, the folk rituals, and the social relations of Svaneti. It should be noted that Giorgi Chitaia analyzed each segment of the life and culture of Svaneti in historical context and revealed the full dynamics of the development.

The analysis of the extensive ethnographical materials is given in the methodical instructions and scientific works of Giorgi Chitaia and it is compared with the ethnographic information from other Georgian regions; the common Georgian characteristics are revealed as well as the concrete local variations.

The paper will focus on Giorgi Chitaia's various scientific suggestions proved over the time.

გიორგი ჩიტაია ეთნოლოგიური სკოლა თაობათა გადასახედიდან გიორგი გოცირიძე

ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკად. გიორგი ჩიტაიას მეცნიერული მემკვიდრეობა დიდი ხანია, რაც გასცდა დროისა და სივრცის ფარგლებს და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად იქცა. თავად ბატონი გიორგის სახელი კი ისტორიოგრაფიაში დარჩება როგორც XX საუკუნის ერთ-ერთი მონუმენტური მკვლევარი, კლასიკოსი ეთნოლოგი და მოქალაქე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

სტატიაში საუბარი გვაქვს არა გიორგი ჩიტაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებზე, არამედ მის მიერ დაარსებული ქართული ეთნოლოგიური სკოლის მოწაფეთა და თანამეკალმეთა მიერ განვლილ შემოქმედებით გზაზე, იმ წვლილზე, რომელიც მათ შეიტანეს დარგის განვითარების ისტორიაში, ამ სკოლის საერთაშორისო აღიარებაში, იმ პოსტულატის დამკვიდრებაში, რომ ქართული ხალხური კულტურული მემკვიდრეობა უნიკალურია და ზოგადკაცასიური და ევრაზიული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია. დაწყებული XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც გიორგი ჩიტაია ეთნოლოგიურ დარგს ჩაუდგა სათავეში, ეთნოლოგიაში მოვიდა პირველი თაობა მკვლევრებისა,

რომელთაც იტვირთეს პირველი ხნულის გავლენა დარგში და თავიანთი ცოდნა, ძალა და მცდელობა ხალხური ყოფითი კულტურის შესწავლას და განზოგადებას შეაღიეს (ვ. ბარდაველიძე, ნ. რეხვიაშვილი, ს. ბედუკიძე, ლ. ბოჭორიშვილი, თ. მამალაძე და სხვ.), რომელთაც შემდეგ შეუერთდა მთელი პლეადა მეორე და მესამე თაობის ეთნოგრაფებისა (ალ. რობაქიძე, რ. ხარაძე, მ. გეგეშიძე, ვ. ჯალაბაძე, ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე და სხვ.), რომელთა ჩამონათვალი ძალიან დიდია.

ეთნოგრაფთა სამეცნიერო მოღვაწეობის ცენტრებს წარმოადგენდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ღია ცის ქვეშ მუზეუმი, „ქარვასლა“ და რეგიონალური სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები (ბათუმი, ქუთაისი, გორი, ახალციხე და სხვ.)

თუ გიორგი ჩიტაიას ეთნოლოგიური სკოლის ისტორიას თაობათა გადასახედიდან შევხედავთ, ვნახავთ, რომ დარგის მიღწევებსა და წარმატებებში მის საერთაშორისო აღიარებაში უფროსი თაობის ეთნოლოგებს განუზომელი წვლილი მიუძღვით (მათი დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის, ნაწილი კი, სხვადასხვა ცენტრებში მოღვაწეობენ, მათ შორის, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრში. თაობათა ცვლა გრძელდება.

A Generational Perspective of the Georgian School of Ethnology

Giorgi Gotsiridze

The splendid scholarly legacy of the founder of the Georgian school of Ethnology, Academician Giorgi Chitaia passed beyond the limits of nationality and became a great contributor into the field of ethnology worldwide. Prof. Chitaia's name will remain in historiography as one of the monumental thinkers of the century -a classical ethnologist and a citizen, in the best sense of the word.

The paper will discuss not the fragments of Prof. Chitaia's life and work, but the pathway that his disciples and co-authors have walked through creatively. We shall also discuss the

contribution they made to the course of history, the school's international recognition, the postulate of the establishment of the Georgian folk cultural heritage as a unique contribution to and integral part of the Eurasian cultural space.

From the beginning of the 20th century, in the 1920s and 1930s, after Giorgi Chitaia headed the branch of ethnology the discipline produced the first generation of researchers, who paved the way and dedicated their knowledge, strength and efforts to studying Folk culture and its generalization (f. Bardavelidze, N. Rekhviashvili, S. Bedukadze, I. Bochorishvili, T.Mamaladze and others), who were joined later by the whole group of the second and third generations of ethnographers (Al. Robakidze, P. Kharadze , M. Gegeshidze, G. Jalabadze, V. Itonishvili, T. Ochiauri, J. Rukhadze and a very long list of others).

The study centres of Ethnographic research activities were State Museum named after S. Janashia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, The Open Air Museum of Ethnology, "Karvasla" and the Regional Academic research Institutions (Batumi, Kutaisi, Gori, Akhaltsikhe ...).

If we consider Giorgi Chitaia's ethnological school from the perspective of generational development, we shall see that the work of the older generation of ethnologists has made an immeasurable contribution to the field's achievements and success at the international level (the majority of them are no longer alive nowadays, some of them were allocated to work at different centres including history, ethnology, religious studies and the research centre of propaganda). The line of Generations will continue.

მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრები ქართველი მუჭაჯირების ანთროპონიმები როლანდ თოფჩიშვილი

თურქეთში, მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკური ცნობიერება შენარჩუნებული აქვს. ქართულ ენასთან და ტრადიციებთან ერთად მუჭაჯირ ქართველთა შთამომავლებს ქართული გვარებიც შემოუნახავთ. რეგიონში დასტურდება როგორც-*მე*, ისე -*შვილი* სუფიქსიანი

გვარები (*აბაშიძე, ლორთქიფანიძე, კირვალიძე, ცისკარიშვილი...*). ამ სუფიქსებს ხშირად *-ებ* ფორმანტიც ენაცვლება – ადგილობრივთა მეტყველებაში ეს სუფიქსები ერთმანეთს ენაცვლება, მაგალითად, *ლონკრიძე* და *ლონკროები*. ზოგჯერ ქართული სუფიქსების შესატყვის თურქულ *-ოღლსაც* ანაცვლებენ (*კავაზაშვილი* და *კავაზოღლი*). სანათესაო წრის აღსანიშნავად მუჰაჯირთა შთამომავლები გამოიყენებენ აგრეთვე ტერმინს – „*ძენ(რ)გლი*“. *ძენ(რ)გლი* ზოგან თუ „დასაცინი სახელია“, ზოგან გვარსახელს აღნიშნავს. ქართული გვარის დანაყოფს კი ხშირად გამოხატავენ ტერმინით „*ლაღაბი*“. ლაღაბები უმეტეს შემთხვევაში – „*ოღლი*“ სუფიქსითაა ნაწამოები („ფაზოღლები კერაბიძეების შიგნით არიან“). მაგრამ გვხვდება ლაღაბები, რომლებიც პირდაპირ მეტსახელიდან არიან გვარის დანაყოფის სახელად ქცეული: *ჯაყვა, ცუცურა, პუი...* ერთ-ერთ სოფელში *ლაღაბი* გვარის მნიშვნელობითაც იხმარეს („*ჩვენები მურკვიეთიდან მოსულან, ლაყაბი მურკვიძეა*“). დადასტურდა მეტსახელის სინონიმი ტერმინიც („*კილი*“), რომელიც დღემდე სამეგრელოშია დადასტურებული.

Anthroponyms of the Forced-Migrated Georgians in the Marmara Sea Region

Roland Topchishvili

The following paper deals with the forced-migrated ethnic Georgians living in the Marmara Sea region in Turkey. The majority of the Georgians has preserved ethnic consciousness. Descendants of the forced-migrated Georgians have also preserved Georgian patronymics alongside the Georgian language and traditions. Patronymics formed by the suffix *-dze* as well as the suffix *-shvili* are confirmed in the Marmara Sea region (*Abashidze, Lortkipanidze, Kirvalidze, Tsiskarishvili...*). Sometimes these suffixes are replaced by the *-eb* suffix in the speech of local inhabitants; we can cite as an example: *Lonkridze* and *Lonkroebi*. Sometimes the above-mentioned suffixes are replaced by the corresponding Turkish suffix *-oghli* (*oğlu*): *Kavazashvili* and *Kavazoghli* (*Kavazoğlu*). For the purpose of designation of the relatives the

descendants of the forced-migrated Georgians also use the term “*dzen(r)gli*”. Here and there *dzen(r)gli* is a funny name, but somewhere it denotes a family name, patronymic. A sub-unit of the Georgian patronymic is often reflected by the term “*laghabi*”. In most cases *laghabis* are formed by the suffix –*oghli* (oğlu): “*Pazoghli (pazoglus) is a sub-unit of the Kerabidzes*”. We have also fixed the *Laghabis* originating from nicknames that turned into a name of the sub-unit of the patronymic: *djakva, tsutsura, pui...* The ethnic Georgians have also used *laghabi* with the meaning of patronymic (“our ancestors have come here from Murkvieti, Murkvidze is our *laghabi*”). There is also confirmed a term “*kili*” as a synonym of a nickname that is used in Samegrelo up to present.

ხის საოჯახო ჯამ-ჭურჭლის ხვეწა ფშავში

ტრისტან მახაური

ხის ჭურჭელს ფშაველები ადგილობრივ ამზადებდნენ საკუთარი ოჯახებისთვის. გარდა ამისა, ჭარბი საქონელი გასაყიდად გაჰქონდათ მეზობელ მთიან კუთხეებში, ჩაჰქონდათ აგრეთვე კახეთში და იქ პურზე სცვლიდნენ.

უბრალო კოვზებისა და ქაფქირების გამოთლა ოჯახის ყველა მამაკაცს შეეძლო, მაგრამ სხვა ჭურჭლის დამზადებას შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა. ამიტომ იყვნენ პროფესიონალი ოსტატები, რომლებიც მხოლოდ ამ საქმიანობას მისდევდნენ და საუკეთესო ხარისხის ჭურჭელსაც ამზადებდნენ.

საგანგებოდ არჩევდნენ სამასალე ხის ჯიშებს, აგრეთვე ხის მოჭრის დროს, რომელიც მთვარის ფაზებთან და განსაზღვრულ სამუშაო დღეებთან იყო დაკავშირებული (უქმეს არ გატეხდნენ). მუშაობდნენ ძირითადად ზამთარში, როცა სხვა სამუშაოებს მოათავებდნენ და სარჩო-საბადებელსაც მოიმარაგებდნენ. ზოგი საკუთარ სახლში მუშაობდა, ხოლო ზოგი ტყეში მიდიოდა, იქ აკეთებდა ფიცრის ქოსს, წაიყვანდა დამხმარეებს და მთელი ზამთრის განმავლობაში მუშაობდნენ.

ხის ჭურჭელი მზადდებოდა სპეციალურ ჩარხზე, რომელსაც „სახვეწელი“ ეწოდებოდა. იყო ხელითა და წყლით საბრუნებელი ჩარხები. ხელის ჩარხზე ჭურჭლის გამოყვანა რთული და შრომატევადი საქმე იყო; მას სამი კაცის შრომა სჭირდებოდა: ერთი ამზადებდა „კოპიტებს“ (ნედლ-მჭკნარი ხის მასალის ნაჭრებს), მეორე ჩარხს აბრუნებდა, მესამე კი ხვეწდა. ეს უკანასკნელი მთავარი ხელოსანი იყო. იგი სახვეწ ჩარხზე იჯდა, ორივე ხელით ეჭირა კარგად გაღესილი რკინის ხელსაწყო - „ხოწი“, რომელსაც ჩარხზე დამაგრებულ მობზრიალე კოპიტს აყოლებდა, შიგნიდან და გარედან ასუფთავებდა და მასზე ნაირ-ნაირი არშიები გამოჰყავდა.

ხვეწის პროცესში იქმნებოდა კაფიები და გაღექსებანი, სადაც ცხადად იგრძნობოდა მთქმელთა პოეტური ნიჭი და ჯანსაღი ფშაური იუმორი.

Carving Wooden Dishware in Pshavi

Tristan Makhuri

The population of Pshavi produced local dishes for the daily use for their own families. Besides, they sold the excess of their cattle in neighbouring mountainous regions as well as in Kakheti where they exchanged it on bread.

Every male was able to cut out plain spoons and skimmers, yet making a more complex dishware required relevant skills and experience. That is why there were professional masters who practiced this specific job alone and produced high quality pieces.

Making of high quality dishware required a selection of special tree species as fine material. It was also important to consider specific times for cutting trees that was related to the moon phases and also to the certain working days (it was not allowed to work on holidays). The wood carvers used to work mainly in winter when the other jobs were completed and the food supplies were already stored. Some masters used to work at home, while the others preferred to make wooden bungalows as their studios where they would take assistant workers and would spend all winter working.

The wooden dishes were made on a special shaper (planer) called “Sakhvetseli” (meaning shaper). Some shapers worked either manually or by a water wheel. Making a dish on a manual

shaper was a very complex and hard work. It required at least three people: One was busy making “Kopitebi” (the air-dried lumber), the other one was turning the wheel and the third one, the chief master, was shaping the actual form. The main master sat at the shaper holding a special sharp metal tool called “khotsi”, which he carried along the lumber piece moving round on top of the spinning shaper. He was cleaning the piece occasionally both from inside and out and then carved different ornaments on it using the sharp tool.

In the process of woodcarving the workers composed quatrains and verses full of poetic sense and local humour.

ეკოლოგიური ანთროპოლოგიის საგანი გიორგი მეურმიშვილი

სტატია ეხება ანთროპოეკოლოგიის, წარმოშობის და განვითარების ისტორიას დასავლეთში XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დღემდე.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ასეთი მაღალია ტექნოლოგიური განვითარების დონე, მწვავედ დგას ადამიანის უსაფრთხოების საკითხი პირველ რიგში სწორედ ეკოლოგიური თვალსაზრისით. XX საუკუნეში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა შექმნა ბუნებრივი ბალანსის დარღვევის საფრთხე. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა მეცნიერებაში და მათ შორის სოციალურ ანთროპოლოგიაშიც, მეცნიერებმა დაიწყეს ამ პრობლემების კვლევა. შეიქმნა მეცნიერების ახალი მიმართულებები, რომლებიც ეკოლოგიურ პრობლემებს იკვლევენ. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ‘ანთროპოეკოლოგია’ (ადამიანის ეკოლოგია), რომლის მიზანია ადამიანისა და ბუნების, ადამიანისა და სოციოკულტურული გარემოს ურთიერთობების კვლევა, რაც დღეს, არსებული ლოკალური და მსოფლიო ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს.

ადამიანის ეკოლოგიამ, როგორც კვლევის მიმართულებამ, განვითარება პოვა XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან და დღეს მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო მიმართულებად მიჩნეული. დღეს უკვე, მეცნიერები, პრობლემის გადასაჭრელად ეკოლოგიურ ანთროპოლოგიაში სხვადასხვა კვლევით მეთოდებს და გზებს მიმართავენ. ერთ-ერთ ასეთ გზას

წარმოადგენს წარსული გამოცდილების შესწავლა და ამ გამოცდილებისა თუ ცოდნის გათვალისწინება და დანერგვა.

Subject of Ecological Anthropology

George Meurmishvili

This article is about anthropology, its establishment and development throughout the history, from the 60s and 70s till today. In our century, during the highest levels of technological progress, safety of humanity from the ecological point of view is very important. Scientific technical progress threatened the condition of natural balance in the 20th century. In order to assist scientists in various sphere, including Social Anthropology (Human Ecology) one of the goals is to study the relationships between humanity and nature, humans and their social-cultural nature. These issues are very significant considering recent local or worldwide events. Ecological Anthropology has developed as a subject of studies during the 60s and 70s and it is acknowledged nowadays as one of the most important directions in Social and Cultural Anthropology. Today scientists are already working on various ways of research and studies to solve problems in ecological anthropology. One of these ways is to study the previous experiences and to use them for future benefits.

ზოომორფული თემატიკა და მისი გადმოცემის სპეციფიკა თრიალეთის კულტურის მასალების მიხედვით მარინე ფუთურიძე

ზოომორფული თემატიკა, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია ბრინჯაოს ეპოქის მასალებისათვის, გამორჩეულად სახასიათო ხდება თრიალეთის კულტურის ლითონის ნაწარმის ორნამენტაციაში. შეიძლება ითქვას, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ეს დაწინაურებული კულტურა აღნიშნული ხასიათის ორნამენტულ თემას წარმოგვიდგენს სრულიად სხვადასხვა კატეგორიის მასალებზე. კერძოდ, ის გვხვება როგორც ძვირფასი ლითონების ჭურჭელსა და სარიტუალო ნივთებზე, ასევე კერამიკაზე და მცირე პლასტიკის ნიმუშის სახითაც კი. სამივე ამ

კატეგორიის ნაწარმი მაღალმხატვრული დონისაა, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემენ კონკრეტული ცხოველის (ლომი, ირემი და სხვა) დამახასიათებელ ნიუანსურ თავისებურებებს. არტეფაქტის მასალის (თიხა, ოქრო, ვერცხლი) შესაბამისად, ზოომორფული სახეები სხვადასხვა ტექნიკური ხერხებითაა გადმოცემული და დამუშავებული. ამისდა მიუხედავად, თრიალეთის კულტურის განსხვავებული კატეგორიის ნიმუშებზე ცხოველის გამოსახულებანი ყოველთვის განსაკუთრებული დახვეწილობითა და პროპორციულობით არის გადმოცემული. ნიშანდობლივია ისიც, რომ საკვლევი კულტურის ტორეგტიკის ნიმუშებზე (ძვირფასი ლითონების ჭურჭელი, შტანდარტი, ოქროს მცირე პლასტიკის დღემდე ცნობილი ერთადერთი ეგზემპლიარი) წარმოდგენილი ზოომორფული გამოსახულებები აშკარად არ იმეორებს იმას, რაც კერამიკულ მასალაზეა მოცემული. ეს ფაქტი კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმ მრავალფეროვნებას, რომელსაც მხატვრულ-სტილისტური და ამავე დროს ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც ფლობს შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის მხატვრული ხელოსნობის დარგი.

Zoomorphic theme and specific of its presentation according the items of the Trialeti Culture

Marine Puturidze

Zoomorphic theme, in general, appears one of the characteristic decoration for the Bronze Age material culture. It became especially popular in ornamentation of precious metal production of the Trialeti culture. It is symptomatic that Middle Bronze Age famous culture of Trialeti suggests the zoomorphic decorations represented on patterns of different categories, such as ceramics, precious metal vessels, items of ritual function and little figurines. In most cases they are greatly differing from the point of stylistic and as well technological issues. In spite of this,

artifacts of all above listed categories with the considered decoration, characterized as fine elaborated and high artistic craft's pattern.

“ჩვენ” და “სხვები” – ქართველთა მიერ სომხების აღქმა ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში ივანე წერეთელი

ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს სატიტულო ნაციისა და ეთნიკური უმცირესობების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამომავალი საგაზეთო პუბლიკაციების შესწავლის საფუძველზე. ამ მასალებში ასახული დამოკიდებულებები დღესაც განაპირობებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების (სატიტულო და არასატიტულო) თვითაღქმას და მათ ურთიერთმიმართებას.

საქართველო მულტიეთნიკური და მულტიკულტურული სახელმწიფოა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც სამოქალაქო ნაციონალიზმის ეპოქაში მეოფი საქართველო დგას, ერთი მხრივ, სამოქალაქო ინტეგრაცია, მეორე მხრივ კი ეთნიკური/კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაა.

ნაციონალიზმის ეპოქაში იდენტობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. იდენტობის განსაზღვრაში არსებით როლს ნარატივი ასრულებს. იდენტობის ნარატივად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ტექსტი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით გამოხატავს იმას, თუ როგორ აღიქვამს ესა თუ ის ხალხი საკუთარ ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ადგილს მსოფლიოში და როგორ სურს, რომ „სხვების“ მიერ აღიქმებოდეს.

იდენტობის ნარატივი განსაზღვრავს ინდივიდის, როგორც ამა თუ იმ ეთნიკური/კულტურული ერთობის წევრის მოქმედებას და მის დამოკიდებულებას სხვა ერთობათა წევრებთან.

პრესა და მასში მოცემული ტექსტები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატივია. ნაციონალიზმის თეორიების მიხედვით, პრესას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ ჯგუფის განსაზღვრაში, ნაციის, როგორც წარმოსახვითი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებული დამოკიდებულებების ფორმირებაში.

ჩვენი ინტერესის საგანს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში გამომავალი გაზეთები წარმოადგენს. იმ პერიოდის პრესაში ხშირად გვხვდება ტექსტები, სადაც კარგად ჩანს დამოკიდებულება ქართველებს, როგორც სატიტულო ნაციასა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ თუ კულტურულ უმცირესობებს შორის. საგაზეთო წერილები ეხება კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების, თბილისის მმართველობაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლობის, აჭარის მუსლიმ ქართველებთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს. გაზეთების ყურარების მიღმა არ რჩება არცერთი მოვლენას თუ ფაქტი, რომლებიც უმცირესობებს უკავშირდება.

კვლევამ აჩვენა ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის საკითხის კომპლექსურობა მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ქართულ ინტელექტუალურ ელიტას გაცნობიერებული ჰქონდა როგორც საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება, ასევე ქვეყნის მომავლისათვის ამ ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა.

“We” and “others” – The Georgian Perception of Armenians in the Process of the Formation of Georgian Identity

Ivane Tsereteli

Georgia is a multicultural and multiethnic state. The civic integration and maintenance of ethnic/cultural diversity are those problems that Georgia is facing currently in the era of civic nationalism. The problem of identity becomes more acute in the era of nationalism. Narrative plays the crucial role in the determination of identity. Any text, which reflects the self-perception

of physical, cultural and intellectual place of society in the world and provides the key to how they should be perceived by others, could be considered as an identity narrative. Identity narrative also determines the mode of action of an individual as a member of a particular ethnic and cultural entity and defines their attitudes towards the members of the out-group.

The media materials are one of the most important narratives. According to the nationalism theories the press plays a crucial role in the determination of the in-group as it sets foundation for the formation of a nation as an imagined community and determines the relations between the ethnic groups. The press materials at the turn of the 20th century are the primary target of our research. Articles, reflecting relations among Georgians, as the titular nation, and ethnic and cultural minorities residing on the territory of Georgia, quite often appear in various newspapers. The problem of self-identification is actualized in Georgia from the 1860s and 1870s. This is the period when the narrative of Georgians, as the titular nation, is being formed. The second half of the 19th century and the beginning of the 20th century is the era of the formation and development of the Georgian national project. Thus, it is interesting to analyze the press materials of this period. The narratives, formed at that time, still determine the self-perception and interrelations of ethnic groups (titular and non-titular) residing on the territory of Georgia.

ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფცია ქართული ნაციონალური პროექტის კონტექსტში (მე-19-20 საუკუნეების მიჯნა) ქეთევან კაკიტელაშვილი

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს 1910-იან წლებში ჩამოყალიბებული ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფცია ქართული ნაციონალური პროექტის ჭრილში. აღნიშნული მიზანი ორ მთავარ ასპექტს აერთიანებს: ერთი მხრივ, განხილული იქნება ქართველ ებრაელთა იდენტობის იდეა და მისი მიმართება ქართული იდენტობის კონცეფციასთან, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა და შექმნა იდენტობის ერთგვარი მოდელი საქართველოში

მცხოვრები სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისთვის, ერთგვარი კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც დაიწყო ამ ერთობების ვინაობისა და ადგილის გააზრება და განსაზღვრა. მეორე მხრივ, ნაჩვენები იქნება, თუ როგორ ათავსებს ებრაული იდენტობის კონცეფცია საერთო ქართულ ნაციონალურ კონტექსტში ამ ეთნორელიგიურ უმცირესობას და, პრაქტიკულად, ქმნის საფუძველს მისი ნაციონალური ინტეგრაციისათვის.

ქართველ ებრაელთა იდენტობის კონცეფცია, მით უფრო, როდესაც საუბარია საერთო ქართულ კულტურულ და ნაციონალურ კონტექსტში მის განხილვაზე, მხოლოდ ებრაელ ავტორთა ხედვას არ ეყრდნობა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იგი ძირითადად ქართველ ინტელექტუალთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. 1910-იან წლებში დისკუსია ქართველი ებრაელების იდენტობისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ თავად ებრაელ ინტელექტუალთა შორის გაიმართა. ქართველ ებრაელთა საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველად ქართველი ებრაელის კონცეფცია. ამ შემთხვევაში, საუბარია არა თავად ტერმინის სიახლეზე, არამედ მის გააზრებაზე, რეფლექსიაზე იმ შინაარსის შესახებ, რასაც ის შეიძლება გამოხატავდეს. ლოგიკურია, რომ ეს საკითხი წამოიჭრა იმდენად, რამდენადაც თავად ქართული იდენტობის კონცეფცია, ქართველთა ჩვენ ჯგუფის განსაზღვრა ამ პერიოდში გახდა აქტუალური. ამ კონტექსტში ქართველი ებრაელების თემი, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც გარკვეული ხარისხით (ძირითადად, ენობრივი და ზოგიერთი სხვა კულტურული ასპექტის გათვალისწინებით) ქართველობის გამო ქართული ნაციონალური პროექტის ფარგლებში ქართველ ერთობასთან მჭიდრო ნაციონალურ (არაეთნიკურ) კონტექსტში განიხილება.

ნაშრომი ეყრდნობა მე-19-20 საუკუნეების ქართველი და ებრაელი ინტელექტუალების - ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გრიგოლ ვოლსკის, დავით ბაახოვის, ნათან ელიაშვილისა და სხვათა პუბლიცისტურ წერილებს, რომლებშიც ასახულია ქართველ ებრაელთა იდენტობის ხედვა. ეს ტექსტები წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ქართული ნაციონალური პროექტის კონტექსტში ებრაული იდენტობის კონცეფციის განსახილველად.

The Conception of Georgian Jewish Identity in the Context of the Georgian National Project (Turn of the 20th century)

Ketevan Kakitelashvili

The paper aims to analyze the concept of Georgian Jewish identity that formed in the 1910s in the context of the Georgian national project. With this aim in mind the study will focus on following issues: on one hand, the idea of Georgian Jewish identity and its relation to the concept of Georgian identity will be examined. The latter was formed in the second half of the 19th century and created a pattern of identity construction for the other ethnic groups residing in Georgia; on the other hand, the way the concept of Georgian Jewish identity prepared a basis for the integration of Georgian Jews into the common Georgian national and cultural context will also be highlighted.

The concept of Georgian Jewish identity was also the topic of reflection among Georgian and Jewish intellectuals. In the second half of the 19th century the issue was discussed mainly by Georgian public figures. The problem of self-identification actualized among Jewish intellectuals only in the 1910s. This was the first time when the meaning of the old term ‘Georgian Jew’ was reflected on and conceptualized. The paper relies on the publications by Georgian and Jewish intellectuals (such as Niko Nikoladze, Sergei Meskhi, Grigol Volski, David Baazov, Nathan Eliashvili and others) which reflect the discussion on Georgian Jewish identity. These texts are the main sources for the study of the concept of Jewish identity within the framework of the Georgian national project.

საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება მაია ქვრივიშვილი

საბჭოთა ცივილიზაციაზე საუბრისას, ბ. ბროდელი აღნიშნავდა, რომ ესაა საზოგადოება, რომელმაც განიცადა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მუტაცია, რომლის შედეგადაც მოხდა ახალი, საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბება.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოხდა ახალი საბჭოთა სოციალისტური იდენტობის-ხალხის ჩამოყალიბება, რომლის ნაწილიც იყო

საქართველოს საზოგადოებას და რომელმაც ფორმირების საკმაოდ რთული და თავისებური გზა გაიარა.

კულტურული რევოლუცია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო და საბჭოთა კავშირის იურიდიულ არსებობამდე გრძელდებოდა ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნას ემსახურებოდა. ბოლშევიკების მიერ გატარებულმა რეფორმებმა რომელიც ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხო, თავისი შედეგი გამოიღო და შეიქმნა ე.წ. ჰომოსოვიეტიკუსი: მორჩილი და უკრიტიკო ადამიანი, პრივილეგირებული პარტიული ნომენკლატურა და საბჭოთა ინტელიგენცია კი ყველაზე კარგად გამოხატავდა საბჭოთა ადამიანის ხასიათს.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სოციალური გადამუშავების საყოველთაო თვისება იყო ტოტალურობა. რომელსაც უზრუნველყოფდა ძირითადად სამი რამ: საყოველთაო საშუალო განათლება (საყოველთაო წიგნიერება), საყოველთაო/საერთო სამხედრო ვალდებულება და საყოველთაო დასაქმებულობა.

შესაძლებელია გამოიყოს საბჭოთა ადამიანის სოციალური “გადამუშავების” ძირითადი ინსტიტუტები:

- საყოველთაო განათლების - ტოტალური გადამუშავება; მრავალსაფეხურებიანობა, სხვადასხვა კურსები ყველასათვის;
- საყოველთაო სამხედრო ვალდებულება მხოლოდ აქ მოახერხეს მთელი სსსრ კავშირის მოსახლეობის ჩართვა;
- ჩაწერის “სამსახურის გარეშე არ არსებობს ჩაწერა- ჩაწერის გარეშე სამსახური-” რომელიც ხალხის მოძრაობის გაკონტროლებას ემსახურებოდა;
- რეპრესიული მიგრაციების გეგმიურ-ნებაყოფილობით, ასე ვთქვათ, მაკომპენსირებელ ხასიათს ატარებდა, დეპორტაციები და ბანაკები, მათი საშუალებით საუკუნის მშენებლობების წარმოება;
- კომკავშირული მშენებლობების –პირობითად ნებაყოფლობით, სტიმულირდებოდა იდეოლოგიით, გარანტირებული კარიერული აღმასვლით, ივსებოდა გულაგებიდან და სტრობატებიდან;

- საკადრო/კადრების სკოლა – დაწყებული სკოლამდელი აღზრდიდან პარტიით დამთავრებული, სხვადასხვა საბავშვო დაწესებულებები, ბანაკები და ა.შ.;
- საბჭოთა ხელოვნების ინსტიტუტი მთლიანად და ცალცალკე:
საბჭოთა ლიტერატურის;
საბჭოთა სიმღერის;
საბჭოთა კინოს;
- საბჭოთა დღესასწაულების – მასობრივი დემონსტრაციები ნაირნაირი სიმბოლიკა, ახალი თარიღების კასკადი, მართმადიდებლური/ კონფესიური დღესასწაულების ჩანაცვლება;
- მასობრივი ფიზიკური კულტურის – სამხედრო-პატრიოტული საბავშვო და ახალგაზრდული ორგანიზაციები და შეჯიბრებები;
- დამწერლობის – არაბულიდან ლათინურზე და კირილიცაზე გადასვლა;
- ტოპონიმიკის – სახელების შეცვლა;
- კვების (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით გამოკვების ინსტიტუტი) – ერთად ჭამა, პრიმიტიზირება ამ ინსტიტუტის, კოლექტივები, შესვენებები;
- ყოფის – საზოგადოებრივი აბანოები, საყოფაცხოვრებო სახლები სადაც ყველანაირი მომსახურება იყო, რაც ფაქტიურად საკუთრების/პირადულის დაკარგვას უზრუნველყოფდა, საცხოვრებლის ინსტიტიუტი-კომუნალკები, ხრუშოვკები და სტალინის არქიტექტურა.

Formation of Soviet Human

Maia Kvrivishvili

While talking on the Soviet civilization, Braudel said, this is a society that passed the process of social, political and cultural mutation and resulted in new Soviet identity.

Georgian society, which was part of the new Soviet identity passed through some complex and original ways of its development. Cultural revolution started in 1920s and being processed till the end of the Soviet union served for creation of a „new“ human type and the formation of Soviet Socialist nation. The reforms done by Bolsheviks intervened in the daily life of people. They resulted in creation of homo-Sovieticus – obedient man without a critical thought.

Privileged party nomenclature and the Soviet „inteligetsia“ provided good examples of the new identity.

General feature of social elaboration of population of the Soviet Union was totality provided by the following elements: secondary education (literacy) for all, inclusion of all in military duties and employment for all.

Some key institutions/systems of „elaboration“ may be distinguished that contributed to the formation of Soviet human being:

- Education for all – total elaboration, multistageness, different courses for all;
- Inclusion of all in military service – involvement of the whole population of the Soviet Union.
- Registration – „there is no registration without a job – there is no job without registration“ (без работы нет писки — без прописки нет работы). It was used for exercising absolute control over people.
- Repressed migrations – planned-voluntary deportations and camps, great industrial constructions by using of repressed peoples.
- Human resources (party cadres) – starting from under school education to the party schools, camps etc.
- Soviet cultural institutions:
 - Soviet literature
 - Soviet song
 - Soviet cinema
- Soviet celebrations – mass demonstrations, symbolic, new dates instead of religious celebrations
- Mass physical culture – military-patriotic and youth organizations
- Writing – transition from Arabic to Latin and Cyrillic.

წინათონური რედაქციის ოთხთავის მეთერთმეტე საუკუნის ერთი ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმიდან (ქუთ.363)

დარეჯან თვალთვაძე

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების შემცველი რამდენიმე ათეული ხელნაწერი ინახება, მათ შორის რამდენიმე მანუსკრიპტი XI-XII საუკუნისა, რომელთა უმრავლესობა სახრების ათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს. ქუთაისში დაცული წინათონური რედაქციის ტექსტის შემცველი რამდენიმე მანუსკრიპტიდან ჩვენი შესწავლის საგანია 1013 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი, რომელიც მუზეუმში 363 -ითაა დაცული. ხელნაწერი ფრაგმენტულია და შეიცავს მხოლოს ლუკას სახარების (14,34- ბოლომდე) და იოანეს სახარების დასაწყისს (48 მუხლს), ახლავს გადამწერის და მომგებლის ვრცელი ანდერძები და რამდენიმე გვიანდელი ანდერძ-მინაწერიც.

ოთხთავის აღნიშნული ხელნაწერით პირველად არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) დაინტერესდა, რომელმაც 1916 წელს გამოაქვეყნა ლუკას სახარების ტექსტის ნაწყვეტი და ხელნაწერზე დართული ანდერძიც, რომელშიც მითითებული ქრონიკონის მიხედვით (სლგ = 233) იგი 1013 წლით დაათარიდა, თუმცა 1964 წელს ე. ნიკოლაძის მიერ შედგენილ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში მანუსკრიპტის გადაწერის თარიღად 1545 წელია მითითებული, რაც, რასაკვირველია, შეცდომაა. აღნიშნული მანუსკრიპტის გადაწერის თარიღისა და ადგილის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა თ.ჯოჯუამ, რომელმაც სწორად შენიშნა, რომ ხელნაწერს დართულ ანდერძებში მეფე ბაგრატ მეოთხის თანამედროვე ისტორიული პირები და რეალიები ასახული და ამიტომ ოთხთავის დათარიღებისას ათვლა XIII მოქცევის დასაწყისიდან (780 წ.) უნდა მოხდეს, რაც სწორედ 1013 წელზე მიუთითებს.

ხელნაწერის პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად გამოიკვეთეთ, რომ მანუსკრიპტის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მახასითებელებიც მეთერთმეტე საუკუნეზე მიუთითებს და არა მეთექვსმეტეზე, მასში დაცული ტექსტი კი წინათონური (მეთერთმეტე საუკუნის შუა წლებამდე შექმნილი) რედაქციის ტექსტია.

როგორც მანუსკრიპტში დაცული ტექსტის წინათონური რედაქციის სხვა ნუსხების მონაცემებთან შედარებამ გვიჩვენა, ქუთ. 363-ში დაცული ტექსტი პროტოვულგატური ხელნაწერების იმ ჯგუფს უახლოვდება, რომლებიც ჯრუჭის, პარხლის და მეთაე საუკუნის სინურ ოთხთავებშია დაცული.

An 11th Century Manuscript of the Pre-Athonite Edition of the Four Gospels From the Kutaisi Museum of Ethnography (Kut.363)

Darejan Tvaltadze

Kutaisi State Historical-Ethnographic Museum named after N. Berdzenishvili preserves a several dozen of manuscripts containing the old Georgian translations of the Four Gospels. A few of them are dated by the 11th-12th centuries, the majority of which contain the texts of the Athonite edition. The target of our research is a particular manuscript, which has been transcribed in 1013 and is located under N363. The manuscript is fragmented and contains only a fragment of the text from St. Luke's Gospel (from 14:34 to the end) and the beginning of St. John's Gospel (verse 48), it has attached the lengthy versions of the wills by the transcriber and the donor as well as some later additions of wills and notes.

The first person who became interested in the mentioned Four Gospels was Archimadrite Amvrosi Khelaia, who published the fragment of St. Luke's Gospel in 1916 together with the will attached to it. He dated the transcription of the manuscript by 1013 relying on the reference in the will to chronology (*slg* 233 using the Georgian alphabet). However, the description of the

manuscript at the Kutaisi Muzeum compiled by E.Nikoladze in 1964 dates the manuscript transcription by 1545 that is obviously incorrect. An interesting point was made by T. Jouja about dating the transcription of the above mentioned manuscript. He rightly noted that the wills that were attached to the transcription contain multiple references to the historical people and realms that were contemporary to king Bagrat IV. Therefore the date should be based on the 13th cycle (780) that leads exactly to the year 1013.

The paleographic and textual study ultimately drew a conclusion that the paleographic-codicological peculiarities also refer to the 11th century instead of the 16th. The texts preserved in it obviously comes from a pre-Athonite (by the middle of the 11th century) edition.

The comparative analysis of this particular manuscript with other enumerations of the pre-Athonite editions confirmed that the text (Kut. N363) is closer to that group of protovulgate manuscripts, which are presented in the Four Gospels of Jruchi, Parkhali, and the 10th century Sinai.

-ები/-ება დაბოლოება, როგორც არაცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნების ყალიბი მერი ნიკოლაიშვილი

ქართული ენის ანალიზის დროს ყურადღებას იქცევს ზმნების ცვლადი და არაცვლადი კონსტრუქციები. ჩვენი აზრით, ამ პროცესების განმსაზღვრელი ზმნის გარდამავლობაა. გარდაუვალ ზმნებს არაცვლადი კონსტრუქცია აქვს, დაბოლოება კი (აწმყო-მყოფადში) - ები/-ება (რამდენიმეს -ევი/-ევა ან -ობი/-ობა). ეს დაბოლოება ზოგს აქვს აწმყო-მყოფადში, ზოგს კი მხოლოდ მყოფადში საკუთარი ან ჩანაცვლებული ზმნის ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ მყოფადში ხდება ამ ტიპის ზმნების გაერთმნიშვნელობა.

მაგალითად: აწმყო-მყოფადში (დინამიკური ზმნები): ვთბები-გავთბები; ვეფერები-მოვეფერები; ვიზრდები-გავიზრდები; ვწითლდები-გავწითლდები... აწმყო-მყოფადში (სტატიკური და საშუალო ვნებითები): ჰკიდია-ეკიდება; აფენია-ეფენება; მიყვარს-მეყვარება, არის- იქნება...

ამრიგად, -ები/-ება დაბოლოება აწმყო-მყოფადში ზმნების არაცვლადი კონსტრუქციის მქონე ზმნების განმსაზღვრელია და, შესაბამისად, ამ ტიპის ზმნები გარდაუვალია.

-ები/-ება Ending as the Gauge of the Verb of the Nonchangeable Construction

Mary Nikolaishvili

Changeable and non-changeable constructions are noticed in Georgian language. In our opinion, transitivity is the definition of this process. Intransitive verbs have non-changeable construction, ending - -ები/-ება in the present and the future tenses (some of them -ევი/-ევა or -ობი/-ობა). Some of them have this ending in the present and in the future tenses, and some of them only in the future tense with the same form or with the changeable word. We may say, that these type of verbs are identified in the future tense.

For example: Present and future tenses (dynamic verbs) ვთბები-გავთბები; ვეფერები-მოვეფერები; ვიზრდები-გავიზრდები; ვწითლდები-გავწითლდები... Present and future tenses (static and media-passive verbs) ჰკიდია-ეკიდება; აფენია-ეფენება; მიყვარს-მეყვარება, არის- იქნება...

Thus -ები/-ება ending is the definition of the non-changeable construction of the verbs in the present and future tenses and accordingly to this they are intransitive verbs.

**ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-
ინგლისურ ლექსიკონში ქართველური**

ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიული საფუძვლებისათვის რამაზ ქურდაძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სახის ლექსიკონს ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მით უფრო მაშინ, როცა სამწერლობო-სალიტერატურო ენის გვერდით არაერთი დიალექტი და უმწერლობო მონათესავე ენა არსებობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსიკონი, რომელიც ყველა ქართველური ენის მონაცემს წარმოგიდგენს შესაბამისი ინგლისური თარგმანით.

ეს ლექსიკონი ხუთენოვანია (ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური), რომლის შედგენის მიზნებს წარმოადგენს: საერთოქართველური ლექსიკონის გენეტიკური ნათესაობის, საერთოქართველური მსოფლმხედველობისა და ქართველურ ენათა განვითარების დინამიკის ერთ ლექსიკონში ჩვენება; ამავე დროს ინგლისური თარგმანის არსებობით ქართველ მკითხველთან ერთად შესაძლებლობა მიეცეს საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებულ წრეებს გაეცნონ მდიდარ და საინტერესო ქართველურ ლექსიკას.

ქართველური მასალის სისტემატიზაციისათვის ამოსავალია ქართული ენა და ამის შესაბამისად წარმოდგენილია მონათესავე ქართველური ენების სალექსიკონო ერთეულები სემანტიკური შესაბამისობის გათვალისწინებით. ამას მოჰყვება ქართული ენის მონაცემების თარგმნა ინგლისურად, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ინგლისური თარგმანი ახლავს სპეციფიკურ ქართველურ ლექსიკურ ერთეულებსაც.

მოსხენებაში ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონის ქართველური ენების მონაცემთა სისტემატიზაციის თეორიულ საფუძვლებს განვიხილავთ როგორც საერთოქართველური ფუძე ენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულების, ასევე სხვა ენებიდან სხვადასხვა დროის ნასესხობების საშუალებით.

For the Theoretical Bases of Systematization of the data of the Kartvelian Languages in Georgian-Megrelian-Laz-Svan-English Dictionary

Ramaz Kurdadze, Maia Lomia, Ketevan Margiani

It's a well-known fact, that any type of a dictionary occupies an important position in the life of each nation, especially, in those cases, when the literary language co-exists with some dialects. For this reason, a special attention must be paid to the dictionary, which presents the data of all Kartvelian languages and their English equivalents.

Our dictionary comprises five languages: Georgian, Megrelian, Laz, Svan and English. It was compiled for the achievement of the following goals: the indication of the genetic kinship of general Kartvelian vocabulary, the depiction of the dynamics of the general Georgian worldview and development of the Kartvelian languages, the indication of the English equivalents for the presentation of rich and interesting Kartvelian vocabulary to the Georgians and to the interested circles of the international society. The systematization of the Kartvelian material is based on the Georgian language, which is accompanied by semantically related lexical units of the Kartvelian languages. This process is followed by the translation of the data of the Georgian language into English. However, in certain cases, the English translation accompanies specific Kartvelian lexical units.

Our paper discusses the theoretical basics of systematization of the Kartvelian languages by the means of lexical units coming from the general Kartvelian root and on the basis of the borrowings from other languages belonging to different epochs.

**აქტიური და პასიური ფორმალური
მოდულების შერჩევის ალგორითმი
ქართულში**

რუსუდან ასათიანი

ქართულში ნათლად გამოიყოფა ორი ფორმალურად განსხვავებული მოდელი, რომელთაც ტრადიციულად “აქტივისა” და “პასივის” დაპირისპირების გამომხატველად მიიჩნევენ. თუმცა, ცალსახა ინტერპრეტაცია ამ ფორმალური მოდელისა გართულებულია, რამდენადაც ე.წ. “პასიური მორფოსინტაქსური კონსტრუქცია” ყოველთვის არ გამოხატავს პასივისათვის დამახასიათებელ ფუნქციონალურ ცვლილებებს (ე.ი. არ წარმოადგენს აქტივის კონვერსიულ ფორმას) და სხვადასხვაგვარი სემანტიკური ნიუანსების მარკირებას ემსახურება: არაკონვესიული დინამიკური თუ სტატიკური “პასივები”, გარდაუვალი დინამიკური ტელიკური მოქმედებები, პოტენციალისები, რეციპროკალები, რეფლექსივები, დეპონენსები და სხვა. ამდენად, შეუძლებელი ხდება მარტივი ცალსახა შესაბამისობის დადგენა ამ მოდელებსა და მათ ძირითად ფუნქციასა თუ სემანტიკას შორის.

მოსხენებაში შემოთავაზებულია მოდელი, რომელიც მ. შიბატანის თეორიული მიდგომების ჩარჩოში აიგება. მოდელს ალგორითმის სახე აქვს – იერარქიულად ორგანიზებული ოთხი იმპლიკაციური წესი ასახავს აქტივ-პასივის კონტინუუმის ლინგვისტური სტრუქტურირების გენერატიულ პროცესს, რომლის დროსაც ფორმალური მოდელის შერჩევა “კონვენციონალურ კოგნიტიურ გადაწყვეტილებს” ეფუძნება. ამ გადაწყვეტილებებს განაპირობებს სემანტიკური “როლებისა” და “გარდამავლობა-დინამიკურობა-ტელიკურობა” ნიშნების სხვადასხვაგვარი კომბინაციები.

The Algorithm Defining the Appearance of Active-Passive Formal Models in Georgian

Rusudan Asatiani

Two different formal models traditionally called the ‘Active’ and ‘Passive’ ones are clearly distinguished in Georgian; yet, it is difficult to give simple semantic and/or functional interpretation of the models inasmuch as the ‘Passive Construction’ does not always express a functional passive and actually represents a variety of verb semantics: conversive passives, non-conversive passives (as dynamic so static), actives (intransitive/dynamic/telic), reciprocals, potentials, deponents, and etc. Thus, it is almost impossible to find simple correspondences between the ‘form’ and the ‘meaning’.

The paper offers a cognitive productive model created within the M. Shibatani’s theoretical approach. The suggested model is based on semantic features that define the choice of either passive or active formal models for the grammatical representations of verbs showing so-called medial semantics. The model is organized as an algorithm with the four stages of implication rules and mirrors the hierarchically organised optimal generative process of linguistic structuring of an active~passive continuum.

გრამატიკალიზაციის თანმხლები სემანტიკური და მორფოსინტაქსური ცვლილებები საღომე ოშიაძე

მოსხენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ტერმინი „გრამატიკალიზაცია“ და „გრამატიკალიზაციის“ დეფინიციათა ანალიზი;
- გრამატიკალიზაცია, როგორც სემანტიკური პროცესი, როგორც მნიშვნელობის გენერალიზაცია.

- გრამატიკალიზაცია – კონტექსტთა გაფართოების, სინქრონიული პოლისემიის წყარო.
- ენობრივ ერთეულთა მორფოსინტაქსური სტატუსის ცვლილება გრამატიკალიზაციის პროცესში.
- გრამატიკალიზაციის პოტენციის მქონე ენობრივი ერთეულები.
- გრამატიკალიზაციის კონკრეტული მაგალითები თანამედროვე ქართულში.
- გრამატიკალიზაციასთან დაკავშირებული გრამატიკულ-პუნქტუაციური შეცდომები თანამედროვე მედიადისკურსში.

Semantic and Morphosyntactic Changes, Accompanying Grammaticalization

Salome Omiadze

In the paper will be examined the following issues:

- The term “grammaticalization” and analysis of the “grammaticalization” definitions
- Grammaticalization as a semantic process, as a generalization of meaning.
- Grammaticalization – a source of contexts’ expansion, synchronic polysemy.
- Change of the morphosyntactic status of linguistic units during the grammaticalization process.
- Linguistic units, having grammaticalization potency.
- Specific examples of grammaticalization in modern Georgian.
- Grammatical and punctuation errors in modern media discourse, connected with grammaticalization.

**სურვილის გამოხატვის სპეციფიკა
ქართულში**

რუსუდან ზექალაშვილი

პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნების საფუძველი ქართული ზმნის პოლიპერსონალურობაა. როგორც ცნობილია, ინვერსიის დროს ზმნის გრამატიკული და რეალური სუბიექტი ერთმანეთს არ ემთხვევა. გარდა საყოველთაოდ ცნობილი შემთხვევებისა (აქტიური ზმნების მესამე სერიის მწკრივები და „მიყვარს“/„მახვლებს“ ტიპის ზმნები), პირის ნიშანთა ინვერსიას ქართული ენა იყენებს მაშინაც, როცა უნდა გამოხატოს სურვილი ან ნატვრა. ასეთ მაგალითებში ზმნა დგება წყვეტილში და შეინიშნება რამდენიმე თავისებურება:

1. იცვლება სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშანთა ფუნქციები;
2. მცირდება ზმნის აგებულებით მოსალოდნელი პირების რაოდენობა: სამპირიანი ზმნა ხდება ორპირიანი, ხოლო ორპირიანი - ერთპირიანი, რადგან გრამატიკული სუბიექტის შესაბამისი სახელი იკარგება. შდრ. მომაფიქრებინა მან მე ის → მომაფიქრებინა მე ის! შემაქმნევინა მან მე ის → ნეტა შემაქმნევინა მე ის! ამახსნევინა მან მე მას → ამახსნევინა მე ის! მომატარა მან მე ის → ნეტა მომატარა მე ის! მაოცნება მან მე → ნეტა მაოცნება მე! მამუშავა მან მე → ნეტა მამუშავა მე! ვლინდება შემდეგი კანონზომიერებაც: გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა ჩანაცვლებულია ფორმით ორპირიანი და შინაარსით ერთპირიანი გარდამავალი ზმნით: გამაქცია მან მე → ნეტა გამაქცია მე! (იგივეა, რაც: ნეტა გავიქცეოდე!). ნატვრის გამომხატველი პირი გრამატიკული ობიექტია, რეალურად კი - აღმქმელი სუბიექტი.
3. იცვლება დრო: ისევე, როგორც ბრძანებითი კილოს შემთხვევაში, წყვეტილი აქაც მომავალ დროს მიემართება, რადგან სურვილი/ნატვრა მხოლოდ მომავალს გულისხმობს.
4. გეხვდება შუალობითი კონტაქტის ფორმა გარდამავალ ზმნებსთან, მაგრამ მას დაკარგული აქვს კაუზატივის გაგება (დამათესვინა მან მე ის → ნეტა დამათესვინა მე ის!). ამ მოვლენაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ენაში ზმნის ფორმისა და შინაარსის დაცილება განპირობებულია მოუბარი პირის ინტენციით, წინ წამოსწიოს რეალური ანუ აღმქმელი სუბიექტი და ამიტომ მას წარმოადგენს „მან“-ის რიგის ნიშნებით. ზმნა ასეთ შემთხვევაში იმპერსონალური ხდება, რადგან გრამატიკული სუბიექტი დაკარგულია და არც აღდგება.

The Specificity of the Expression of Desire in the Georgian Language

Rusudan Zekalashvili

In the evolving functions of verbal performance indicators is poly-personality of the Georgian verb. As you know, in the inversion of grammatical and real entities are not the same. In addition to the known cases (forms of the third series of active verbs and verbs of the type "love"/"cough") the Georgian language uses inversion personal indicators in the expression of desires or dreams. In such examples, the verb is in the form of aorist and observed a few peculiarities:

1. Changing the function of subjective and objective indicators.
2. Decreases the number of persons expected structure of the verb: they tend to lose the person that corresponds to the subject.

მომავიქრებინა მან მე ის → მომავიქრებინა მე ის! (momapikrebina man me is → momapikrebina me is!) მამუშავა მან მე → ნეტა მამუშავა მე! (mamushava man me → net'a mamushava me!)

Also noticed the following pattern: intransitive verb is replaced by the form transitive verb: გამაქცია მან მე → ნეტა გამაქცია მე! (gamaktsia man me → net'a gamaktsia me!).

A person expressing a desire/dream is a grammatical object, but really it is the perceiving subject.

3. Time changes: as in the aorist tense in the imperative mood, the verb refers to future time, as the desire/dream implies future time.

4. A lot of transitive verbs has the form of causativa, but his semantics are lost: დამათესვინა მან მე ის → ნეტა დამათესვინა მე ის! (damatesvina man me is → net'a damatesvina me is!).

Observation of this phenomenon makes us think that the separation of verb form from its meaning is caused by the intention of the speaker, to put forward real-perceiving subject and to express it with an indicator of "man". The verb becomes impersonality because the grammatical subject is lost and cannot be restored.

მსაზღვრელი სახელების სახეები წარმოებისა და ფუნქციის მიხედვით ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი

მსაზღვრელ სახელად, უპირველეს ყოვლისა, ზედსართავი სახელი მოიაზრება. ზედსართავი სახელი, როგორც ცნობილია, ორგვარია: ვითარებითი - პირველადი, მაგ.: დიდი, პატარა, შავი, ლამაზი... და მიმართებითი, ნაწარმოები სხვა მეტყველების ნაწილისაგან, ანუ წარმოქმნილი ფორმა, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს ამოსავალ სიტყვასთან მიმართებით. მაგალითად: არსებითი სახელისაგან ნაწარმოები: ფულიანი, ბედნიერი, დროებითი, გულადი: რიცხვითი სახელისაგან: პირველადი, ოციანი; ნაცვალსახელისაგან: ჩვენებური, ჩემიანი; ზმნისაგან: წერითი, დახატული; ზმნიზედისაგან: გუშინდელი, აქაური...

მსაზღვრელი სახელები, ჩვეულებრივ, არსებით სახელს განსაზღვრავენ, იქმნება წყვილი- მსაზღვრელ-საზღვრული. წყობა შეიძლება იყოს ორგვარი: პირდაპირი და შებრუნებული.

მსაზღვრელს სახელებს განსხვავებული ფუნქციები აქვს, რაც არის მათი საზღვრულთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი.

Types of the Definite Words According to the Formation and Functions

Nino Bagration-Davitashvili

Definite word, first of all is implied with the adjective. It is known, that there are two types of the adjective: primary-didi, patara, Savi, lamazi... and relative, which is formed from the different parts of the speech, i.e. they are forms, which express the description of the things.

For example: The words which are formed from the noun: fuliani, bednieri, droebiTi, guladi: from the numerals: pirveladi, ociani; from the pronouns: Cveneburi, Cemiani; from the verbs: weriTi, daxatuli; from the adverbs: guSindeli, aqauri...

Definite words usually define the noun and then the pair is made, named- qualifying word. There are two types of structure- - direct and indirect.

Definite words have different functions and they determine the relation to the noun.

არტურ ლაისტი და საქართველო გახტანგ იმნაიშვილი

ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, თავისი დროის ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი არტურ ლაისტი (1852-1927) ჩვენთვის უცხოელად მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს. თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან საქართველოში გაატარა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი მეორე სამშობლო იყო. სანამ ქართულ მიწაზე დადგამდა ფეხს, იგი დაუკავშირდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და შემწეობის აღმოჩენა სთხოვა ქართული ენისა და მწერლობის შესასწავლად საჭირო ლიტერატურით მომარაგებაში. არტურ ლაისტი თბილისში პირველად 1884 წლის ივნისში ჩამოვიდა, მეორედ – ერთი წლის შემდეგ, ხოლო 1892 წლიდან საბოლოოდ დაემკვიდრა ჩვენში და სიცოცხლის ბოლომდე ქართული მიწის სურნელი არ მოჰკლებია. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ მან სულ ორ-სამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული, ისე რომ თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა. ლაისტი დღენიადავ ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გვერდით ტრიალებდა. იგი განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა და მისი ხშირი სტუმარი იყო, მეტადრე საგურამოში. ილია ლაისტს „შორეულ თავისიანს“ ეძახდა, მაღლიერმა ქართველმა ხალხმა კი მას „ჩვენი აბო“ უწოდა და განსასვენებელი ადგილი დიდუბის პანთეონში მიუჩინა.

არტურ ლაისტზე არაერთი საინტერესო ინფორმაციაა გამოქვეყნებული, მე მსურს, მათ დავუმატო ერთი-ორი შტრიხი მისი პიროვნების წარმოსაჩენად და რამდენიმე საინტერესო ცნობა მისი 14 წერილიდან, რომლებიც ამა თუ იმ

კუთხით ეხება ქართველ ხალხს, ქართულ სინამდვილეს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ეს წერილები არტურ ლაისტს სახელგანთქმული ავსტრიელი მეცნიერის, საქართველოს დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის, ჰუგო შუხართის, მისამართით აქვს გაგზავნილი ავსტრიაში და მოიცავს თითქმის ოცწლიან პერიოდს – 1888 წლიდან 1907 წლამდე. წერილებიდან ირკვევა, რომ შუხართის დაკავშირებას ქართველ ხალხთან, მის საუკეთესო წარმომადგენლებთან სწორედ არტურ ლაისტმა შეუწყო ხელი, სწორედ ის იყო ერთგვარი შუამავალი ევროპულ მკვლევრებსა (განსაკუთრებით კი ქართული ენით დაინტერესებულ ვიწრო წრესა) და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს შორის უშუალო კავშირის დამყარებაში და, თამამად შეიძლება ითქვას, მთავარი ორგანიზატორი, უწინარესი მედროშე ქართული ღირებულებების ევროპულ მერიდიანზე გატანისა და დამკვიდრებისა.

Arthur Leist and Georgia Vakhtang Imnaishvili

Arthur Leist (1852-1927), a great friend of Georgian people, celebrated writer of his time and publicist, can be considered a foreigner only conventionally. He spent a great deal of his life in Georgia, that can be said was a second home for him. Before he set foot on Georgian land, he got in touch with Georgian writers and public men and asked them to assist him in providing the necessary literature for learning Georgian language and literature... Arthur Leist came to Tbilisi for the first time in June, 1884, the second visit was after a year and in 1892 he permanently settled here where he spent the rest of his life and breathed the scent of Georgian land. His contemporaries noted that for some two or three years, he thoroughly mastered the Georgian language so that he could speak and write fairly fluently.

Leist moved in the circle of Georgian writers and public figures. He developed especially close friendship with Ilia Chavchavadze and frequently visited him in Saguramo. Ilia called Leist “distant relative” and grateful Georgian people called him “Our Abo” and assigned him a special place at the Didube Pantheon. Much has been written about Arthur Leist, I would like just add one bit more for representation of his personality and several interesting data from his 14 letters which have reference to Georgian people, Georgian reality and processes taking place in

Georgia. These letters were written by Arthur Leist to the famous Austrian scholar, Georgia's great friend and supporter, Hugo Schuchardt in Austria and contain almost twenty-year period from 1888 to 1907. These letters evidence, that it was Arthur Leist who contributed to Schuchardt's relationship with Georgian people, its best representatives. He was a kind of mediator in establishing a direct link between European scholars (especially a narrow circle interested in Georgian language) and Georgian public figures and we can safely say the main organizer, the flagman in introduction and establishment of Georgian values to the European meridian.

ინგლისურ ნასესხობათა ასიმილაცია ფრანგულში ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

თანამედროვე ფრანგულ საიტებზე შეინიშნება, რომ ანგლო-ამერიკული ნასესხობები უხვადაა ფრანგული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ნასესხობები უკავშირდება, კულტურათაშორისი კონტაქტების პირობებში, ინფორმაციათა აქტიურ გაცვლას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული, თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ასახვას პოულობენ ენაშიც. ინგლისურენოვან ნასესხობათა დიდი ნაწილი, რომლებიც ხშირად გვხვდება ფრანგულ საიტებზე, ჯერ კიდევ არ არიან შესაბამისად ფიქსირებულნი ფრანგულ ლექსიკონებში.

ინგლისურენოვანი ნასესხობების ფრანგულ ენაში გამოყენებისა და ასიმილაციის ხარისხის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ინგლისურენოვანი ნასესხობების ფონეტიკური ასიმილაცია ფრანგულ ენაში მდგომარეობს ინგლისური ბგერების ფრანგული ენის ბგერითი საშუალებებით გადმოცემით და ნასესხები სიტყვების ორთოგრაფიის შენარჩუნებით; თუმცა, რიგ შემთხვევებში, ფრანგულ ენაში შეინიშნება ორთოგრაფიის ინგლისურენოვან უღერადობამდე “გაჭიმვის” პროცესი (როგორც მაგ., სიტყვა chat-ში). როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში, სიტყვის ბგერითი ფორმა მნიშვნელოვანი მსახდვრელია სიტყვის “ინტერნაციონალური ცნების” შენარჩუნებისათვის.

ინგლისურენოვან ნასესხობათა გრამატიკული ასიმილაცია, თანამედროვე ფრანგულ ენაში, მდგომარეობს ნასესხები ლექსიკური ერთეულების სიტყვათა გრამატიკული კლასებისადმი მიკუთვნებაში და მათ დაყოფაში შესაბამისი გრამატიკული კატეგორიებით. უახლესი ინგლისურენოვანი ნასესხობები, რომლებიც გვხვდება ფრანგულ საიტებზე, ძირითადად, ინტერნაციონალური ხასიათისაა.

Assimilation of English Borrowings in the French Language

Tsiuri Akhvlediani; Giorgi Kuparadze

The process of borrowing and establishing of lexical units from one language into another has always been the object of discussion and bitter debates among linguists. The emergence of the borrowings is related to the active exchange of information within the cross-cultural conditions. The modern social - economic and political processes existing in the social life find their reflection in the language too. In the presented paper we tried to elicit those frequently met English borrowings on the French sites, that are still actively used in the French language, but have not yet been fixed in the word stock of the French dictionaries. According to the range of usage of English borrowings in the French language and the degree of assimilation, we can conclude that in most cases, the phonetic assimilation of the English borrowings in the French language is achieved by preserving the orthography of the borrowed words and conveying the English sounds through the French sound means. However, in some cases, in French, it has been observed the English like sound "stretch" of spelling (as in the word: chat). It seems that in such cases, the spelling of a word turns out to be an important modifier for keeping the "international concept" of the given lexical unit. Grammatical assimilation of the English borrowings in modern French implies the ascription of the borrowed lexical units to the grammatical classes of the words and their division into grammatical categories. The latest English borrowings, which are found on the French sites, are mostly international in their character.

**იდიომებისა და ანდაზების
ელექტრონული ბაზის აგების ძირითადი
მომენტები**

მანანა რუსიეშვილი

მოსხენება ეხება იდიომებისა და ანდაზების ელექტრობაზის შექმნის პრინციპებს ქართულსა და 6 ენაში (ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, თურქულ და არაბულ ენებში). მიმოხილული იქნება მონაცემთა ბაზის ძირითადი მომენტები და მისი მნიშვნელობა ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის.

Fundamentals of an Electronic Database of Idioms and Proverbs Manana Rusieshvili

The paper will describe basic principles of creating an electronic database of idioms and proverbs of the Georgian language with their equivalents in six languages (English, Russian, French, German, Turkish and Arabic) and discuss the significance of such research for interdisciplinary studies.

ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და მწერების გერმანული, ქართული და რუსული სახელწოდებებისაგან ნაწარმოები გვარების ლინგვისტური ანალიზი თამილა სესიაშვილი

ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და მწერების სახელწოდებებისაგან ნაწარმოები გვარები გერმანული, ქართული და რუსული ენების ლექსიკის მნიშვნელოვან სემანტიკურ ჯგუფებს წარმოადგენს, რომელთა კლასიფიკაცია და

შესწავლა შესაძლებელია როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ნიშნების მიხედვით. ლინგვისტურ ნიშნებად ითვლება გვარის მაწარმოებელი ფორმანტები: სუფიქსები, პრეფიქსები და ინფიქსები, რომლებიც განაპირობებს დერივატული გვარების წარმოების შესაძლებლობას. არსებობს უსუფიქსო და უინფიქსო გვარებიც, რომლებიც განსაკუთრებით გერმანული გვარებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, Adler და Fuchs. ამგვარი გვარები რუსულშიც გვხვდება, როგორც მაგალითად, лебедь და филин. ქართულისათვის კი, ის სრულიად უცხოა.

სამივე ენაში დერივატიული გვარების წარმოების წყაროს წარმოადგენს როგორც გარეგანი, ანუ სუფიქსიანი, ასევე შინაგანი, ე.ი. ინფიქსიანი დერივაცია. ქართული გვარების მაწარმოებელი მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსებია: -ძე, -შილი და -ია. გვხვდება ასევე: -აური, -აული, -ავა, -ელი, -იანი, -ური ფორმანტებით ნაწარმოები გვარებიც. რუსული გვარების მაწარმოებელი ძირითადი ფორმანტებია: -ов, -ев/ёв, -ин/цын, -ко, ский/цкий, -ич/вич და სხვა. ერმანულ გვარებში გვხვდება სუფიქსები: -el, -lin, -le, -er, -e.

დერივატული გვარების წარმოების მეორე მნიშვნელოვანი წყაროა შინაგანი დერივაცია – სიტყვის ძირში ინფიქსის ჩართვა, რაც განაპირობებს ბგერათა ცვალებადობას სიტყვის შუაში და შედეგად დერივატული გვარების სხვადასხვა ფორმების წარმოებას, როგორც მაგალითად: ლომძე – ლომიძე, ლომღვილი – ლომიაღვილი ქართულში, Бобрнев, Бобринский, Бобровский რუსულში და Wurm – Worm გერმანულში.

Linguistic Analysis of the Derivation of German, Georgian and Russian Surnames from the Names of Animals, Birds, Fishes and Insects

Tamila Sesiashvili

Surnames derived from the names of animals, birds, fishes and insects build up a significant semantic group in German, Georgian and Russian lexicology, which can be classified and studied according to the linguistic as well as extralinguistic signs. Linguistic signs are formants producing surnames: suffixes, prefixes and infixes, which make possible the formation of derivative surnames. There are surnames without suffixes or prefixes most common to German surnames such as *Adler* and *Fuchs*.

Similar construction is also observed in Russian such as *лебедь* and *филн*. To the Georgian language however, the surnames even without suffixes are alien. In the Georgian surnames derived from the names of animals, birds, fishes and insects we can consider external suffixes as well as internal infixes. The main suffixes in Georgian surnames are: -dze, -shvili, and -ia. We also have the ones formed by the formants such as – auri, -auli, -ava, -eli, -iani, -uri. Another important source forming the derivative surnames is also internal derivation, in other words an infix inbuilt within the root of the word, which conditions the change of the sound in the middle of the word and results in the formation of different derivative surnames. Such infixes are responsible for producing the surnames like: Lomiidze – Lomiadze, Lomiashvili – Lomiiashvili, Lomiinashvili – Lomiineishvili etc. The main formants for creating Russian surnames are: -ов, -ев/ёв, -ин/цын, -ко, ский/цкий, -ич/вич and others. The shaping source in Russian surnames can be either an external or internal derivation, for example: Бобренев, Бобринский, Бобровский in Russian like Wurm – Worm are in German.

ართარგმნადი კულტურგეოგრაფიული რეალიები და მათი ეკვივალენტები მარინა ანდრაზაშვილი

წინამდებარე გამოკვლევა მოიაზრება როგორც გეოგრაფიულ სახელთა სუბკლასის გრამატიკულ-სემანტიკური ასპექტებისადმი მიღწილი ციკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მისი მიზანია, შესასწავლი ობიექტიდან საგანგებოდ

გამოყოს ის სახელები, რომელნიც ერთდროულად არიან მარკირებულნი როგორც პროპრიალური, ისე უშუალოდ დესიგნატიურ-სემანტიკური მახასიათებლებით, რის გამოც სპეციფიკურ სირთულეებს ქმნიან ტრანსფერირების თვალსაზრისით.

ამ ტიპის სახელთათვის ისეთი ეკვივალენტების შესარჩევად, რომელნიც იქნებიან ერთდროულად მორგებულნიცა და მეცნიერულად დასაბუთებულნიც, ნაშრომში შემოთავაზებულია სამსაფეხურიანი პროცედურული ხერხი: პირველ ეტაპზე ხდება ზემოხსენებულ სახელთა კლასიფიკაცია მათ ზოგადსემანტიკასა და ფუნქციურ დატვირთულობაზე დაყრდნობით; მეორე ეტაპზე – მათში ჩადებულ პროპრიალურ და კონკრეტულსემანტიკურ-დესიგნატიურ მარკერთა ხვედრითი წილის გარკვევა ერთმანეთთან მიმართებაში; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი ხდება ტრანსფერირების ამა თუ იმ კონკრეტული მეთოდის მისადაგება სახელთა ცალკეული სუბკლასისადმი.

პირობითად შემდეგი ქვეჯგუფის სახელებს გამოვყოფთ:

- საკუთრივ გეოგრაფიული რეალიების აღმნიშვნელ სახელებს, რომელთა დენოტატები ობიექტურ სინამდვილეში არსებული ფენომენებია, აღმოცენებული ამა თუ იმ კონკრეტული კლიმატური/სეისმური/გეოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით, და რომელთაც სხვა გეოგრაფიულ არეალში ანალოგი არ მოეძებნებათ. ამ ტიპის სახელები საკვალიფიკაციო დატვირთულობასთან ერთად გარკვეულწილად ტერმინის სტატუსსაც ატარებენ, თუმცა ყოველთვის არ ფლობენ ლათინურ ეკვივალენტს და, მსგავსად აპელატივებისა, ენაში შესულნი არიან გერმანული ძირით. მათი ფიქსირებულობა მხოლოდ ერთ გეოგრაფიულ არეალზე გამორიცხავს ტრანსლირებას და გვაფიქრებინებს მათი ტრანსფერირების მართებულობას. ასეთებია, მაგალითად ჩრდილოეთის ზღვის რეალიები Hallig da Außensand (Außensände: Japsand, Norderoogsand, Süderoogsand / Hallige: Oland, Südfall, Süderoog, Gröde, Habel, Langeneß, Hamburger Hallig);
- პოლიტიკურ-გეოგრაფიულ რეალიებს (მსგავსად Bundesland / Landkreis-ისა), რომელთა ტრანსლირებაც ასევე ცალკე განსჯის საგანია, მიუხედავად მათი აპელატიური ბუნებისა;
- კულტურისტორიული ან კულტურგეოგრაფიული ლანდშაფტების სახელებს, რომლებმაც გარკვეულ შემთხვევებში მეორეული ნომინაციის გზით პოლიტიკური

სტატუსიც შეიძინეს (Schwarzwald-Baar-Kreis / Bodenseekreis / Mecklenburgische Seeplatte / Jerichower Land / Weimarer Land / Lüneburger Heide), შედეგად კი გახდნენ არატრანსლირებდნი;

- ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელებს, რომლენიც მიღებულნი არიან გეოგრაფიულ სახლზე თავსართის ფუნქციით ლექსიკური ერთეულის, კეროდ ჰორიზონტის მხარის (Nordfriesland / Ostholstein / Nordhausen) ან ადგილის ზმნიზედის (Niederlausitz / Oberlausitz / Unterfranken / Mittelfranken / Niederbayern) დართვით, თუმცა სახელს მაინც შენარჩუნებული აქვს პროპრიალურობა. ანალოგიური დაპირისპირებულობა საგანგებო სირთულეებს გვიქმნის ქართულში ნაწილობრივ აღონიშების (ბავარია / სილეზია / ფრანკონია / საქსონია) ლეგიტიმურობის, ნაწილობრივ კი ლექსიკური ელემენტის თარგმნადობის ტრადიციის ფონზე.

Non-Translatable Cultural Geographic Realia and their Equivalents

Marina Andrazashvili

The present study is a part of the cycle on grammatical-semantic aspects of geographical names subclass and is aimed to single out the names, simultaneously marked with proprial and designative-semantic characteristics, which causes specific difficulties from the viewpoint of transferring.

To select for names of this type, equivalents that are suitable and justified scientifically, a three-stage procedural method is offered: first - classification of names based on their general semantics and function; second - identification of share of their proprial and specific semantic-designative markers in relation to each other; based on obtained results, particular transferring methods are applied to individual subclasses of names.

Conventionally names of following subgroups are identified:

- Names denoting geographic realia proper, their denotata being phenomena in objective reality, originated under the influence of particular climatic/seismic/geological factors, and not finding analogies in other geographical areas. Along with qualifying function, such names have the status of terms, but do not always have Latin equivalents and, like appellatives, have entered the language with the German root. Their attachment to one geographical area rules out translation and suggests their reasonability of their transferring. E.g. North Sea realia: Hallig and Außensand (Außensände: Japsand/Norderoogsand/ Süderoogsand; Hallige: land/Südfall/Süderoog/Gröde/Langeneß);
- Designata of administrative realia (Bundesland/Landkreis), translation of which is object of separate discussion, regardless of their appellative nature;
- Names of cultural historical or cultural geographical landscapes, which in some cases by secondary nomination also acquired political status (Schwarzwald-Baar-Kreis/Bodenseekreis/Mecklenburgische Seeplatte/Jerichower Land/Weimarer Land/Lüneburger Heide), becoming as a result non-translatable.
- Names of political-administrative units, derived by addition to the geographical name of a lexical unit with the prefix function, namely, cardinal directions (Nordfriesland/Ostholstein/Nordhausen) or place adverbs (Niederlausitz/Oberlausitz /Unterfranken/Mittelfranken/Niederbayern). However, the name retains proprial characters. Similar opposition causes special difficulties in Georgian, partially against the background of legitimacy of allonyms (Bavaria/Silesia/Franconia/Saxonia) and partially due to translatability tradition of lexical units.

გადმოცემის კატეგორიის ზოგიერთი ასპექტი შეპირისპირებითი ანალიზის ჭრილში მარინე ალექსიძე

მოსხენებაში განხილულია გადმოცემის კატეგორიის ზოგიერთი ასპექტი შეპირისპირებითი ანალიზის ჭრილში ისეთი ტიპილიგიურად განსხვავებული ენების მასალაზე, როგორცაა რუსული და ქართული ენები.

გადმოცემა განიხილება როგორც თარგმანის ერთ-ერთი სახე (შიდაენობრივი თარგმანი, გადარქმევა - რ.იაკობსონის მიხედვით), რომელიც წარმოადგენს ნიშანთა ინტერპრეტაციას იმავე ენის სხვა ნიშნების მეშვეობით. „მთარგმნელი“ (მეორე მოლაპარაკე) ხელახლა ახდენს კოდირებას და გადასცემს შეტყობინებას, რომელიც მას აქვს მიღებული სხვა წყაროდან, ასეთი თარგმანი წარმოადგენს გადმოცემას. გადმოცემა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ირიბი დადასტურების ძირითადი ქვეკატეგორია როგორც რუსულ, ასევე ქართულ ენაში. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ როგორც რუსული, ასევე ქართული კომუნიკაციური ქცევისათვის დამახა-სიათებელია ისეთი დომინანტური თავისებურებანი, როგორიცაა გულდიაობა, ემოციურობა, კომუნიმაციური დემოკრატიზმი, კომუნიკაციური დომინანტობა, მუდმივად ინფორმაციის მიღებისაკენ ლტოლვა.

ირიბი მეტყველების გადმოცემის საშუალებათა მრავალფეროვნება რუსულ და ქართულ ენებში შესაძლებლობას იძლევა განვიხილოთ გადმოცემის კატეგორია ამ ენებში, თავის მხრივ, როგორც გადმოცემის ფუნქციურ-სემანტიკური ველი, რომელიც შედგება სამი კომპონენტისაგან: პირდაპირი მეტყველების მიკროველი, ირიბი მეტყველების მიკროველი და არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველების მიკროველი. ირიბი მეტყველების მიკროველების შეპირისპირებითი ანალიზი რუსულ და ქართულ ენებში გვაჩვენებს, რომ მათ დომინანტას წარმოადგენენ სინტაქსური კონსტრუქციები ლექსი-კურ საშუალებებთან ერთად, რომლებიც ქმნიან ირიბი მეტყველების ე.წ. „სტანდარტულ მოდელებს“: «მან თქვა, რომ...», «Он сказал, что...». მოცემული სინტაქსური კატეგორიის დიფერენციული ნიშნები გამოსახიულია აღნიშნულ სტრუქტურებში საკმაოდ მკაფიოდ, ვინაიდან გამოიყენება მისი შემქნელი ყველა შესაძლო საშუალება.

ირიბი მეტყველების გადმოცემის საშუალებათა შეპირისპირებითი ანალიზი რუსულ და ქართულ ენებში შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ ბევრი საერთო ამ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სტრუქტურაში: ორგანიზაცია ველის პრინციპით, ველის დომინანტისა და ზოგიერთი ბირთვული სტრუქტურის ერთნაირი ლინგვისტური სტატუსი, ირიბი მეტყველების, რომელიც

საკუთარი ფორმების ნაირსახეობას ავლენს ტექსტის სტრუქტურაში, ვარირების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები. განსხვავებები აღინიშნება ველის სტრუქტურაში დომინანტისაგან დაშორებისას.

Some Aspects of the Comparative Analysis of Narrative Categories in Light of Comparative Analysis

Marine Aleksidze

The article considers the comparative analysis of some aspects of expression based on the two different languages as Russian and Georgian languages are. In the article the Expression represented as a type of translation (inter-language translation, renaming, according to Jacobson R.O.). The expression also represents interpretations of the signs through the signs of the same language. The translator (second Speaker) re-cods and transmits a message, which he has received from another source... This type translation is an expression... The expressions we can represent as a subcategory of a indirect accept in Russian as well as in Georgian language. This is because that for communicative conduct of both Georgian and Russian languages characterized such dominant peculiarity as communication, emotionality, communicative democracy, communicative dominance, Constant Aspiration of receiving information... The variety of ways to transfer indirect speech in Georgian and Russian languages can be considered category of expression as a functional-semantic field, consisting of three components: microwave of direct speech, microwave of indirect speech as well as microwave of another's indirect speech. The comparative analysis of microwaves of indirect speech in Russian and Georgian languages shows that dominant are syntax structures, in conjunction with lexical means, which together create “standard models” of indirect speech: “he said that...”, „მან თქვა, რომ ...“, «Он сказал, что...». In various structures we see signs that differentiate given syntax categories because every means of making it is in use.

The comparison of the types of transmission of indirect speech in Russian and Georgian languages, allows us to relieve many similarities in the composition and in the structure of

this functional-semantic category: organization, based on the field, the same linguistical status of the dominant fields and some of its constituent structure, the possibility of a significant variation of models of indirect speech, revealing the diversity of their forms in the structure of the text. The differences observed in the structure of the field are away from its dominant.

აღქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაცია ვირჯინია ვულფის რომანში 'ტალღები' ნინო მუნჯიშვილი

მოხსენების მიზანია აჩვენოს, თუ როგორ რეალიზდება ლინგვისტურად აღქმის კატეგორიები ვირჯინია ვულფის რომანში 'ტალღები'. აღნიშნული თემა აქტუალურია, ვინაიდან აღქმის კატეგორიები ვულფის რომანებში, მათ შორის 'ტალღებში' ენობრივი თვალსაზრისით ჯერ არ არის შესწავლილი. შესაბამისად, საკითხი მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტიკისთვის, ასევე ლიტერატურისთვის. ლინგვისტიკისთვის ღირებულია იმდენად, რამდენადაც განიხილავს ლექსიკურ-სემანტიკურად შესწავლილი აღქმის კატეგორიები როგორ რეალიზდება ფართო ლიტერატურულ კონტექსტში, ანუ ახალი კუთხით არის დანახული მოცემული ენობრივი ერთეულების შესაძლებლობები.

პროტოტიპული აღქმის კატეგორიები ლექსიკურ-სემანტიკური კუთხით საკუთრივ ლინგვისტიკაში დამუშავებულია, მაგარმ ფართო ლიტერატურულ კონტექსტში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვ. ვულფის რომანებში ენობრივად არ არის შესწავლილი. მაგალითად, ვულფის რომანებზე, როგორც იმპრესიონიზმის ლიტერატურულ ვარიანტზე, არსებობს ლიტერატურული კრიტიკა.თუმცა იმპრესიონიზმი ენობრივად არ არის შესწავლილი. გარდა ამისა, არ არის დამუშავებული სინესთეზიის მოვლენა. 'ტალღები', ისევე როგორც ვულფის სხვა რომანები, არ დანახულა კონცეპტუალურ და კოგნიტურ ჭრილში. კოგნიტური

მიდგომა კი, გვეხმარება სრულფასოვნად გავიგოთ რომანის პერსონაჟი, მისი იდეა, თემა და სტილი.

მოსხენება ითვალისწინებს ლექსიკურ-სემანტიკურ, სტილისტურ და კოგნიტურ მიდგომას. კოგნიტური მიდგომა, როგორც ვიცით, დუალისტურია: გონებაში მოცემული ინფორმაციული სტრუქტურები, კოგნიცია (გონება) ეფუძნება ადამიანის თავისებურ ფიზიკურ აღქმას(სხეული).შესაბამისად,აღქმის კატეგორიების ლინგვისტური რეალიზაციის შესწავლისას უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის დავეყრდენი, როგორც ბიოლოგიაში (პირობითად სხეული), ასევე ფსიქოლოგიაში (პირობითად გონება) მიღებულ აღქმის ზოგად კლასიფიკაციას.

ტრადიციულად გამოიყოფა აღქმის ხუთი კატეგორია. ვიზუალური, აუდიტორული, ტაქტილური, ყნოსვა, გემოვნება.ამ აღქმის კატეგორიებიდან მხოლოდ ის კატეგორიები და ქვეკატეგორიებია წარმოდგენილი, რომლებიც რელევანტური გახლდათ ნაწარმოებისთვის.შედგებად გაირკვა, რომ აღქმის კატეგორიები ქმნიან პოსტიმპრესიონისტული ნაწარმოების ვერბალურ ვარიანტს;არსებით როლს ასრულებენ პერსონაჟთა მხატვრული სახეების შექმნაში.გამოვლინდა მთელი რიგი სინესთეტური მეტაფორებიც,რომელთაგანაც უმეტესი ავტორის ნამდვილ სინესთეტობას მიუთითებს.გამოიყო აღქმის კატეგორიებით აგებული კონცეპტუალური მეტაფორები და მეგამეტაფორები,რომლებიც ნაწარმოების საერთო კოგნიტურ მოდელს ქმნიან.

Linguistic Realization of Perceptual Categories in Virginia Woolf's Novel 'the Waves'

Nino Munjishvili

The aim of the report is to study how perceptual categories are linguistically realized in Virginia Woolf's novel 'The Waves'. The issue is important as long as perceptual categories have not yet been studied linguistically in V. Woolf's novels, including 'The Waves'. Consequently, the work becomes essential for both linguistics and literature. It is important as it shows how semantically

studied linguistic units are realized in a wide literary context, i.e. it makes us look at their ~potential” from a new angle.

Prototype perceptual categories are studied in linguistics from lexical-semantic point-of-view but not in a wider literary context, more specifically in V. Woolf’s novels. For instance, there is a huge source of criticism on Woolf’s novels as impressionistic works. However, impressionism is not linguistically researched. Besides that, synaesthesia is not explored. ’The Waves’ together with Woolf’s other novels have not been studied from conceptual and cognitive point-of-view. Cognitive approach helps us get insight into characters, idea, theme and style of the novel.

The report employs lexical-semantic, stylistic and cognitive approach. The basis of cognitive theory is dualism: our informational structures, cognition (mind) is embedded in physical perception.(body).Therefore, in the report the perceptual categories are based on perceptual categorization accepted both in Biology (as a body) and psychology (as mind).

Traditionally, five perceptual categories have been singled out: visual, auditory, tactile perception, smell and taste. Only those categories and subcategories are studied which are relevant to the novel. The result of the research is as follows: perceptual categories create verbal picture of post-modernism; create literary images of characters; a number of synesthetic metaphors were observed, some of which indicate to genuine synaesthesia of the author. The report singles out conceptual metaphors and mega-metaphors based on perceptual categories and constituting the cognitive model of the novel.

რეალისი და ირეალისი თაბასარანულ ენაში ცირა ბარამიძე

თაბასარანულ ენაში დრო-კილოთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. მორფოლოგიური და მოდალური კატეგორიების სიმრავლე და სირთულე ადასტურებს თაბასარანული ენის, ისევე, როგორც დანარჩენი ჩრდილოკავკასიური ენების, თავისებურებას სინტაქსის ფორმირების შესახებ. თაბასარანულ ენაში ჰიპოტაქსი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების გზაზეა და ამიტომ ენას აქვს რთული მორფოსინტაქსი, რომელშიც მორფოლოგიის ხვედრითი წილი გაცილებით დიდია,

ვიდრე სინტაქსისა. ამჯერად რეალისისა და ირეალისის ოდენობას განვიხილავთაბასარანული ენის დრო-კილოთა ფორმების მიხედვით.

მოსხენებაში განხილულია თაბასარანული ენის კილოს კატეგორია, რომელშიც უნდა გამოიყოს რეალისისა და ირეალისის ლინგვისტური ოდენობა. ინდიკატივი გამოხატავს რეალური მოქმედების პროცესს; ეს არის რეალობის ფაქტის კონსტატაცია სამივე დროის ფორმაში. ინდიკატივს არა აქვს მოდალობის არანაირი მარკერი, ნოლოვანი მარკირებაა, განსხვავებით დროის ფორმებისაგან. დროის აღმნიშვნელი მარკერები ჩნდება თუ არა, მაშინვე იკარგება კოლოსადმი გაგებისადმი ნეიტრალურობა. ინდიკატივის დროის ფორმები, რომლებიც გამოხატავს დამოკიდებულებას უბნობასა და მოქმედებას შორის, მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება არის რეალური ფაქტის ასახვა. კილოს კატეგორია დაკავშირებულია რეალისისა და ირეალისის გამოხატვასთან. პირობითი კილოც თხრობითის მსგავსად გადმოსცემს რეალურ მოქმედებას და ჩვეულებრივ შეიცავს დადასტურების, გაკვირვების, უარყოფის და სხვა სემანტიკურ-მორფოლოგიურ ასახვას, მაგრამ, მიუხედავად მოდალობის სიმრავლისა, იგი გადმოსცემს ობიექტურ სინამდვილეს, როგორც ფაქტს; ე.ი. რეალისია. ბრძანებითი კილოს ფორმები განიცდიან გრამატიკალიზაციას, მაგრამ ნეიტრალურია რეალის-ირეალისის მიმართ. ირეალისის, არარეალიზებული, უნახაობის, პირობითობისა და სხვა სემანტიკის შემცველი ლინგვისტური ოდენობა განსაკუთრებით გამოიყოფა კონიუნქტივიტის ფორმებში. კავშირებითი კილო დროის კატეგორიის ყველა ზმნურ ფორმაში გამოხატავს ირეალისს. მოსხენებაში განხილულია ირეალისის ყველა შესაძლებელი ფორმა და დასმულია საკითხი რეალის-ირეალისის, როგორც ლინგვისტური ოდენობის, გამოყოფის თაობაზე.

Realis and Irrealis in the Tabasaran Language

Tsira Baramidze

The Tabasaran language and dialects represent a wide spectrum of tense and mood. Abundance and complexity of morphological and modal categories prove the properties of the Tabasaran

language, as well as other North Caucasian languages in formation of syntax. In the Tabasaran language a hypotaxis is still developing and therefore the language has complex morpho-syntax, in which the specific portion of morphology is much larger than of the syntax. This time I discuss realis and irrealis according to tense and mood forms of Tabasaran. The paper deals with the mood category of Tabasaran in which the linguistic meaning of realis and irrealis should be outlined. An indicative (fact-mood) expresses the process of the real action. This is the statement of the real fact in three tense forms. An indicative cannot mark modality; it is a zero marker, in contrast to tense forms. When tense markers occur, neutrality of understanding a mood is lost. Tense forms of an indicative that reflect the attitude between narration and action indicate that the action reflects a real fact. Mood category expresses realis and irrealis. Like an indicative mood, a conditional one denotes a real action and usually reflects confirmation, surprise, denial, and other semantic-morphological categories, but regardless the abundance of modality, it expresses an objective reality as a fact – i.e. it is a realis. The imperative mood form undergoes grammaticalization, but it is neutral in relation with realis-irrealis. Linguistic meaning of irrealis, non-realized, unseen, conditionality and other semantics especially occurs in the forms of subjunctive mood. Subjunctive mood expresses irrealis in all verbal forms of tense category. The paper deals with all possible forms of irrealis and raises the question about singling out a realis-irrealis as linguistic meaning.

ქართველურ ენათა ისტორიულ- შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი

რევაზ აბაშია

მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით არაერთი ღირებული სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა, ქართველოლოგიური კვლევების გაგრძელება კვლავაც აუცილებელია სათანადო საკითხთა სრულყოფილი შესწავლისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, რომელთა განხილვას ზოგ შემთხვევაში თვალსაზრისთა სხვადასხვაობაც ახლავს ხოლმე.

საერთოქართველური ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციისათვის საჭირო ისტორიული ლექსიკური მასალის უქონლობა ან ნაკლებობა, ბუნებრივია, თვალსაზრისთა სხვადასხვაობასაც იწვევდეს. მიუხედავად ამისა, ახლად გამოვლენილი დიალექტური ლექსიკა და ძველ ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი, აქამდე შეუსწავლელი ლექსიკური ერთეულები საშუალებას იძლევა ქართველოლოგიური შედარებითი კვლევების განახლებისა და განვითარებისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელთა განხილვა კვლავაც დისკუსიის საგანია, კერძოდ:

- 1) საერთოქართველურ ფუძე-ენაში ორი ან სამი რიგის სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რეკონსტრუქციის საკითხი;
- 2) ზოგიერთი ფონემის (მაგალითად, ფარინგალური მჟღერი სპირანტის ჟ) ფუძე ენაში დაშვების საკითხი;
- 3) ახლად გამოვლენილი ქართველური დიალექტური ლექსიკის მიხედვით საერთოქართველური ფუძე-ენის ფონემატური სისტემის რეკონსტრუქციის საკითხი და სხვა.

Some Issues of the Historical-Comparative Phonetics of the Kartvelian Languages

Revaz Abashia

Notwithstanding, there are lots of valuable scholarly works on the historical-comparative studies of the Kartvelian languages, kartvelological studies still need to be proceeded to study some issues thoroughly. To this point, the reasons for various views about some issues of the historical-comparative phonetics are of particular interest. Naturally, the lack and sometimes non-existence of essential material in order to reconstruct the common Kartvelian phonological system causes the different standpoints. Nevertheless, the newly revealed dialectal vocabulary

and the lexical entries of the old Georgian manuscripts which haven't been studied up to date gives us a possibility to carry on and develop the Kartvelian comparative studies.

In this respect it is noteworthy to study those issues of the historical-comparative phonetics which are still urgent for discussion. In particular:

1. Issue of sibilant spirants and affricates in common Kartvelian pre-language;
2. Issue of admitting some phonemes (e.g. pharyngeal voiced spirant ʒ) in a pre-language;
3. Issue of reconstruction of phonemic system of a common Kartvelian pre-language according to the newly revealed Kartvelian dialectal lexical material, etc.

ლექსემა "სინდიოფალა" ეტიმოლოგიისათვის ნანა მაჭავარიანი

ქართულ ენაში „სინდიოფალა“ ერთ-ერთი ცხოველის სახელწოდებაა. ჩვენი აზრით ეს სიტყვა უნდა წარმოადგენდეს კომპოზიტს:

*სირ (თ) დედოფალა > სინდიოფალა, სადაც სონორი რ ჩაანაცვლა, ასევე სონორმა ნ-მ, ხოლო თ მჟღერი დ-ს წინ გაუჩინარდა.

სიტყვასიტყვით: სირთა ჩიტების დედოფალი. ვფიქრობთ, ეს ტერმინი სიტყვის ტაბუირების მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს ამავდროულად.

On the Etymology of the Lexeme *Sindiopala* (weasel) Nana Machavariani

In Georgian *sindiopala* ‘weasel’ is the name of an animal. I suppose that the word is a compound word: *sir(t)dedofala > sindiofala in which a sonor r was alternated by a sonor n, and a voiced t was lost before d. Word for word: ‘queen of small birds (sparrows)’.

I suppose that the term can be an example of taboo simultaneously.

კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდების შესაძლებლობები დარგობრივი კომუნიკაციის კვლევაში ნუნუ კაპანაძე

კორპუსის გამოყენება ლინგვისტურ კვლევებში კარგა ხანია სიახლეს არ წარმოადგენს. მთავარი, რის შესაძლებლობასაც კორპუსის ლინგვისტიკა იძლევა, ეს არის ენის გამოყენების სიხშირული ანალიზის ჩატარება, ენის გამოყენების ნიმუშების დადგენა.

თუმცა კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდთა გამოყენების თვალსაზრისით ჯერაც ბევრი რამ არის გასარკვევი, რადგან ამ მეთოდების გამოყენებისას სირთულე იწყება იქ, სადაც საჭიროა აღიწეროს ხშირად გამეორებადი მიმართებები ენობრივ ფორმებსა და საკომუნიკაციო ფუნქციას შორის. კომპიუტერული ლინგვისტიკისა და კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდები საშუალებას გვაძლევს ლექსემით დაწყებული ვიდრე ფრაზამდე, სინტაქსურ ნიმუშებამდე და კონსტრუქციებმდე გაითვალისწინოთ, გაიზომოს შაბლონური, ნიმუშის ხასიათის მქონე სტრუქტურები, მათ მიესადაგოთ ანოტაციები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს როგორც კორპუსისათვის, ასევე დისკურსისათვის დამახასიათებელი მაღალსიხშირული და სიგნიფიკანტური ერთეულები, რაც შემთხვევითი მოვლენა ვერ იქნება. ამ მეთოდს ორი ძლიერი მხარე აქვს. ჯერ ერთი, იგი შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ პირველი შედეგები და გამოვთქვათ მოსაზრებები ისე, რომ თავად არ მოგვიწიოს მთელი

კორპუსის გადასინჯვა. და მეორე, ამ მეთოდით მიღებული შედეგების შეფასება უფრო საიმედო და წარმომადგენლობითი ხასიათისა არის.

თუმცა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებისას სირთულე ჩნდება იქ, სადაც საჭიროა აღიწეროს მიმართებები ენობრივ ფორმებსა და საკომუნიკაციო ფუნქციას შორის. ფორმალური მახასიათებლების ავტომატური ანოტაცია, რაც ამ მეთოდის საფუძველია, ყოველთვის სირთულეების გარეშე არ მიმდინარეობს, მაგრამ პრინციპულად ასეთი სირთულეები მაინც ტექნიკური ხასიათის პრობლემას წარმოადგენს. ფუნქციური ნიშნები კი ფორმალურისაგან განსხვავებით ტექსტისათვის იმანენტური არ არის, ისინი გააზრების შედეგად უნდა დაემატოს, ამიტომ აქ წარმოიქმნება მოაზროვნე ანოტატორის საჭიროება. არსებითად, აქ ვუპირისპირდებით საკითხს, თუ რამდენად შეიძლება ფუნქციური ნიშნები ენობრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს. შესაბამისად, რაოდენობრივი მეთოდებით მიღებულ შედეგებს აუცილებლად დაჭირდებათ ინტერპრეტაცია, რადგან რაოდენობრივი მეთოდი სრულად ვერ ენაცვლება მეთოდს, რომელიც ინტერპრეტაციულ-თვისებრივ ანალიზს გულისხმობს. მოხსენებაში ნაჩვენები იქნება, თუ სად არის კორპუსის ლინგვისტიკის მეთოდების შესაძლებლობების ზღვარი, რა გზით შეიძლება მისი თვისებრივი მეთოდით შევსება და უფრო სრულყოფილი შედეგების მიღება კორპუსისა და დისკურსის კვლევებში.

The Scope of Corpus Linguistic Methods in Special Communication

Nunu Kapanadze

The use of corpus in linguistic studies is not a novelty in the recent years. The main opportunity that the corpus linguistics enables us is to conduct frequency analysis of typical language usage, to expose recurring formulae and patterns of language usage and their variations. However, from the view point of the usage of corpus linguistics methods there are still many issues to be clarified. Computer linguistics and Corpus linguistics methods allow us to calculate, measure recurring structures from lexemes to phrases, syntactic patterns and structures and further

annotate them, thus ensuring the detection of significant and high-frequency units characteristic for the discourse.

This method has two strong sides. Firstly, it gives us a chance to see the first results and to express our hypotheses in a way, that we ourselves do not require to review the entire corpus. And secondly, this method is more reliable and representative for the evaluation of results. The difficulties in applying this method arises when it is necessary to describe regular correlations between the linguistic forms and communication functions. The automatic annotation of formal characteristics, which is the basis of this method, does not always run smoothly, but in principle similar problems are of technical nature. However, the functional features in contrast to formal ones are not inherent for the text, they need to be added after realizing, that's why, and they demand a human thinker as annotator.

Correspondingly, here the question rises to what extent the functional features could be determined independently. Therefore, the results obtained by means of the quantitative methods will require the further interpretation, as they cannot fully replace the method, which involves the interpretative-qualitative analysis. The paper aims at revealing the capacity limits of Corpus linguistics methods, their further enrichment by the qualitative method and thus gaining the target results.

სამეტყველო აქტი და ლინგვისტური ექსპერტიზა ხატია ხატიაშვილი, ნათია ამირეჯიბი

ლინგვისტური ექსპერტიზა თანამედროვე კვლევების შედეგებით ახალი დარგია, რომელიც ენათმეცნიერებისა და იურისპრუდენციის მიჯნაზე მდებარეობს. იურიდიულ ლინგვისტიკაში (იგივე იურისლინგვისტიკაში) ტექსტის ლინგვისტური ანალიზის კვლევის საგანი იურიდიული და არაიურიდიული ხასიათის ტექსტებია. იურიდიული ტექტების ლინგვისტური ექსპერტიზა აუცილებელია ზოგადად სამართლის ენის დასახვეწად, განსაკუთრებით ეს ეხება ნორმატიული აქტების პროექტებს. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შედგენა რამდენიმე წესს გულისხმობს: სიტყვათა თანმიმდევრობა, წინადადების

სინტაქსური მკაფიოობა, წინადადების სინტაქსური სტრუქტურა, განსასახლვრი სიტყვის განსახლვრებათა რაოდენობა და ა.შ. არაიურიდიული ტექსტების ლინგვისტური ექსპერტიზა საჭიროა მათი ავტორების ვინაობის, ავტორთა რაოდენობის, მონტაჟის არსებობა/არარსებობის დასადგენად.

დემოკრატიის პირობებში სამართლებრივ სფეროში ჩართულ მოთამაშეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ტოტალიტარული რეჟიმების სინამდვილეში. მასმედიის შესახებ კანონის თანახმად, დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეს გააჩნია სიტყვის, რელიგიური მრწამსისა და სინდისის თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყოველივე XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დიდი მონაპოვარია. მაგრამ, ამასთან, ნეგატიური მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების შესახებ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში (როდესაც საქმე კონკრეტულ პირებს, მათ შორის, ოფიციალურ პირებს ეხება), შესაძლოა, სასამართლო განხილვის მიზეზი გახდეს, როგორც შეურაცხყოფის დელიქტი ან დიფამაციის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში კვლევის ობიექტი პუბლიცისტური ტექსტია. ამასთან დაკავშირებით, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით გაჩნდა მოთხოვნა პუბლიცისტური ტექსტების ლინგვისტურ ექსპერტიზაზე.

ლინგვისტური ექსპერტიზის დროს ყველაზე რთული ჰერმენევტიკული ხასიათის ამოცანების გადაჭრა. მათი ადეკვატურად გადაწყვეტისას ჯ. ოსტინის მიერ დამუშავებული სამეტყველო აქტების თეორია უნდა მოვიშველიოთ. გარდა ამისა, დამატებით სირთულეს წარმოადგენს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან ამ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვანია და, პრინციპში, სუბიექტურია, ცალკეულ პიროვნებებზეა დამოკიდებული, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული სიტყვა/ფრაზა შეურაცხყოფად, უწესობად. სიტყვიერ დონეზე მოსაუბრის სემანტიკური და პრაგმატული პრესუპოზიციის დასადგენად ლოგიკურ მეთოდებთან ერთად, გამოიყენება ლექსიკური სემანტიკის (კომპონენტური) ანალიზიც, რაც ამარტივებს და მეტად მკაფიოს ხდის კონკრეტულ კონტექსტს.

Speech Acts and Linguistic Examination

Khatia Khatiashvili, Natia Amirejibi

Linguistic examination is a rather new field in modern studies, which merges between linguistics and Jurisprudence. The linguistic analysis of the text in legal linguistics (or jurislinguistics as it is sometimes referred to) targets legal and non-legal texts as the subject of consideration. Linguistic examination of legal texts (e.g. projects of statutory acts) is necessary with the aim of perfecting the language. Recommendations about drawing up the texts of standard legal certificates presume several rules: rules of a word order, syntactic clarity, syntactic structures of sentence, the number of definitions of the words to be defined, etc. Linguistic examination of non-legal texts is used in order to confirm the identity and number of authors, and a possible presence or absence of their being edited and montaged.

Legal sphere involves more players under the conditions of democracy than it does under a totalitarian regime. According to the Law on Mass Media each citizen of a democratic country has the right to the freedom of speech, religious confession and the freedom of conscience. It is without a doubt, that all this is a great acquisition of the end of the 20th and the beginning of the 21st centuries. At the same time however, information on negative events and social life spread by the media (especially when they deal with particular people and state officials) can become the motivation for starting legal cases for their use of statements containing delict and defamation. In a case such as this the target of study is a journalistic text. In this respect the last few decades saw an enormous need for the linguistic examination of media publications with the aim of promoting respect towards human dignity, personal reputation and work ethics. The most challenging part during the linguistic examination is finding convincing solutions to hermeneutic tasks. We might need to employ the theories of Speech Acts formulated by J.L. Austin while looking for adequate solutions. Besides, extra complication is added by the issues regarding terminology, since the estimation of the decency of certain phrases and words entirely depends upon particular people and is therefore destined to be subjective. In order to establish the semantic and pragmatic presupposition of a speaker, the method of the Componential analysis of lexical semantics can be applied as well as logical method that adds to the simplicity and clarity of understanding a particular context.

დროისა და სივრცის მოდელირება ვირჯინია ვულფის რომანში „ტალღები“ მანანა გელაშვილი

მხატვრული დროისა და სივრცის ნოვატორული მოდელირება მოდერნისტული ლიტერატურის ერთერთ უმნიშვნელოვნეს მახასიათებელს წარმოადგენს. ეს პრობლემა საინტერესო ინტერპრეტაციას იღებს ვირჯინია ვულფის შემოქმედებაში, განსაკუთრებით მის ყველაზე ექსპერიმენტულ რომანში „ტალღები“ (1931). ამ რომანში აღარ არსებობს ის მინიმალური სიუჟეტიც კი, რომელიც ვულფის 20-იანი წლების რომანებში („მისის დელოუი“, „შუქურისაკენ“) არსებობდა. რომანი რამდენიმე სტატიური მონკვეთისგან შედგება, რომელიც პერსონაჟთა ცნობიერების ნაკადს წარმოადგენს. რომანის მხატვრული დრო ერთი დღეა, რომელზეც პროეცირდება პერსონაჟთა მთელი ცხოვრება ბავშვობიდან გარდაცვალებამდე. თხრობის ფრაგმენტულობა, დროის წრფივი განვითარების რღვევა რომანის სივრცულ ფორმას წარმოქმნის.

ნაშრომში დროისა და სივრცის პრობლემა განხილულია ორ დონეზე: ერთი მხრივ როგორც რომანის ერთერთი თემა, პრობლემა, რომელზეც ნაწარმოების გმირები ფიქრობენ და ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში განიხილავენ. ხოლო მეორე მხრივ, დრო და სივრცე, როგორც რომანის პოეტიკის ნაწილი. ორივე ასპექტის ერთინობა წარმოქმნის სრულ წარმოდგენას ნაწარმოების ქრონოტოპის თვისებებზე.

Time and Space Modelling in Virginia Woolf's Novel *The Waves* Manana Gelashvili

Innovative modelling of Time and Space is one of the major characteristics of modernist literature which gains an interesting interpretation in the works of Virginia Woolf, particularly in her most experimental novel *The Waves* (1931). The novel is characterized by the absence of the minimal plot-structure that was apparent in Woolf's novels of the 20-s (*Mrs. Dalloway*, *To the Lighthouse*). *The Waves* comprises several static passages which represent its six characters'

stream-of-consciousness. The time of the novel is a single day on which the author projects the characters' entire lives from childhood to death. Fragmented narrative, absence of linear movement of time leads to the spatial form of the novel.

The present paper studies two aspects of the problem of time and space in the novel: on one hand – time and space as a theme, a problem on which the characters of the novel speculate giving their philosophical and psychological perception of the problem. On the other hand time and space is one of the most important aspects of the poetics of the novel. These two aspects of the problem give a comprehensive picture of the chronotope of the novel.

არაბული და უცხო ელემენტები არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებში ნინო ეჯიბაძე

მოსვენება ეძღვნება არაბულ ფოლკლორულ ზღაპრებს. დადგენილია ფორმალური მარკერები, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა საკუთრივ არაბული და არაარაბული წარმოშობის ზღაპრების ერთმანეთისგან დიფერენცირება.

Arabic and Foreign Elements in Arabic Folkloric Fairy Tales Nino Ejibadze

The article deals with Arabic folkloric fairy tales. Formal markers are identified on the basis of which it is possible to differentiate fairy tales of Arabic proper and non-Arabic origin.

დუმბილის ხელოვნება - პასკალ კინიარის მედუზა გორგონა ნინო ქავთარაძე

პასკალ კინიარს ფრანგული მწერლობის ერუდიტს უწოდებენ: ლიტერატურის, ისტორიის თუ მუსიკის სფეროში მისი ცოდნა თანამედროვეთა გაცეხას იწვევს. შემოქმედებითი გზის დასაწყისში - ფილოსოფოსი (ფილოსოფიური ესე ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოსზე (1969 წ.). შემდეგ - კეთილსინდისიერი და თვალგაფაციცებული მკითხველი (ესე „მკითხველი“ (1976 წ.) და ბოლოს მწერალი – რომანი რომის იმპერატორზე „კარუსი“ (1979 წ.): ასე ხანგრძლივი და შემოვლითი იყო პასკალ კინიარის გზა მწერლური ოლიმპოსკენ. უკვე მრავალი წელი, მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში, მხოლოდ კინიარისთვის ჩვეული კეთილხმოვანებით, მწერალი ძველ მითებს აცოცხლებს. ამჯერად მედუზა გორგონას მითი იპყრობს მის ყურადღებას.

მედუზა გორგონას შესახებ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. თავის ტექსტებში, პასკალ კინიარი გორგონას მითს ორჯერ უბრუნდება: პირველად, მედუზას მითის ინტერპრეტაციას კინიარი 1993 წელს შეეცადა. ეს მოთხრობა ცაკლე გამოქვეყნებული პატარა წიგნის ნაწილია, რომელიც მხოლოდ ორ ნაწარმოებს აერთიანებს: „სახელი ენის წვერზე“ და „მედუზა გორგონა“. შემდეგ, მედუზა გორგონას სახეს პასკალ კინიარი იმ დიდ ნაშრომში უბრუნდება, რომელიც ანტიკურ მითებს მიუძღვნა. („სექსი და ძრწოლვა“ (1994 წ.)). მითის განსხვავებული გააზრება უცხო არ უნდა იყოს მწერლისთვის, მით უფრო განსხვავებულ კონტექსტში - ეს მხოლოდ კინიარის სიღრმისეული წვდომის სურვილზე მიუთითებს. კინიარი, რომლის მწერლური სტილი ხშირად გაკვირვებას იწვევს (2002 წელს, მოხეტიალე აზრდილების მხატვრულ-ლიტერატურულ ეკლექტიურობას გონკურების ჯილდო ერგო), ქმნის წარსულის, შესაბამისად აწმყოსა და მომავლის უნივერსალურ სურათს; ქმნის ახალ მითს, სადაც იღანდება გამოუთქმელი, მაგრამ არა უთქმელი სევდა, რომელიც თან სდევს ადამიანს პირდაცულს, მაგრამ არა უენოს, უძრახველს, მაგრამ არა ხმაამოუღებელს.

მწერლის ნაწარმოებების სათაურებშივე ამოიკითხება კინიარის ბავშვობისდროინდელი სენი: პირზე კლიტედადებული იმ დიდი საქმისთვის რომ ემზადებოდა, სიტყვის გაცოცხლება რომ ჰქვია : „გარინდული ნავი“ (2009 წ.), „ექო“ (2005 წ.), „სახელი ენის წვერზე“ და „მედუზა გორგონას პატარა შეთანხმება“ (1993

წ.). კინიარი, „პროზის დიდი პოეტი“, თავის მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებს ცხოვრებას უახლოვებს, ყოველ სიტყვას ლიტერატურული კანონების რკინის მარყუქებიდან ათავისუფლებს; სიტყვის თითოეული წახნაგის კიაფს აკვირდება და ხშირად დაყუჩებას ამჯობინებს იქ, სადაც მწერლური სიტყვა უნდა მეფობდეს. რატომ მედუზა გორგონა? სანამ ათენა ფარზე მედუზას სახეს გამოსახავდა, გორგონას სისხლიდან ფრთოსანი პეგასი იშვებოდა, ფორკევის და კეტოს სამი ქალიშვილიდან ერთადერთი მოკვდავი, უხარმაზართავიანი, კბილებდაკრეჭილი და თავზე გველებდაყრილი არსება, შიშის ზარს სცემდა და მზერით აქვაგებდა ყოველივე სულდგმულს. კინიარისთვის მედუზა გორგონა უბრალო მოკვდავთ კი არ ერჩის მხოლოდ, მარტო ნახევრად-ღმერთებს კი არ ემუქრება, არამედ ხელოვნების სიმბოლოს წარმოადგენს, რომლის წინაშე ხელოვანიც კი ირინდება.

Art of Silence - Pascal Quignard's Medusa Gorgon Nino Kavtaradze

They call Pascal Quignard an erudite of French literature. His knowledge is huge not only in literature but also in music and history. He is the author of various Philosophical and Literary theories. Pascal Quignard's first novel was published in 1979. His eclectic style of "The Wanderer ghosts" won the Prix Goncourt award in 2002.

Pascal Quignard is interested in antique myths. In the year 1993 he published his novella "The little treaty of Medusa", and in 1994 he went back to myth of Medusa in his work "Sex and fear". Quignard, "the big poet of prose", liberates a word from literature rules with iron claws; he observes every facet of a word and often prefers to stay quiet where a word of a writer must be ruled.

Why Medusa Gorgon? The one having the face of hideous human female with living venomous snakes in place of hair, daughter of Phorcus and Ceto, turned everyone into stone. For cynare medusa is a symbol of art which freezes any artist before it.

მოსხენების სათაური: ორი სიმართლის საკითხი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ- მასპინძელში“ ლევან ბებურიშვილი

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა აღიარებული, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ უძირითადეს საკითხად პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა გვევლინება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთაა დასმული პოემა „სტუმარ-მასპინძელში“.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, ნაწარმოებში, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ფონზე არსებითად გადმოცემულია ორი სიმართლეს შორის მოქცეული ადამიანის ტრაგედია, განპირობებული ურთიერთშეუთავსებელი, სავალდებულო ზნეობრივი ნორმების კონფლიქტით. ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს ისეთი ავტორიტეტული კრიტიკოსი, როგორცაა აკაკი ბაქრაძე. მისი შეხედულება გაზიარებულია არაერთი სხვა მკვლევრის მიერაც.

სინამდვილეში პოემაში აღწერილი სიტუაცია არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ეთიკური დილემა. ნაწარმოების მიხედვით, საზოგადოება პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე არღვევს საკრალურ ტრადიციას (სტუმარმასპინძლობას), პიროვნება (ჯოყოლა) კი წინ აღუდგება ამ ადათის უგულვებელყოფას, რის გამოც საზოგადოება გარიყავს მას. შესაბამისად, არ გვაქვს იმის საფუძველი, რომ საზოგადოების მოქმედებაში ვეძიოთ სამართლიანობის რაიმე ნიშნები. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“ ერთმანეთს უპირისპირდება არა ორი სიმართლე, არამედ სიმართლე და უსამართლობა. მაშინ, როდესაც მთელი თემი არღვევს სავალდებულო ეთიკურ ნორმას, ერთი ადამიანი, ზნეობრივი გმირი იცავს საკუთარი ოჯახის, თემისა და, საერთოდ, ადამიანობის ღირსებას. „სტუმარ-მასპინძელში“ გადმოცემულია იმ ადამიანის ტრაგედია, რომლისთვისაც უმრავლესობის ნებაზე მაღლა ზნეობრივი ღირებულება, სინდისის გრძნობა დგას. მიუხედავად იმისა, რომ ჯოყოლა ფიზიკურად მარცხდება, იგი სულიერად იმარჯვებს და სწორედ ზნეობრივი

მოვალეობის პირნათლად აღსრულებაში ხედავს ვაჟა-ფშაველა ადამიანის ცხოვრების უმთავრეს საზრისს.

Two Issues of Truth in Vazha-Pshavela's “Host and Guest” Levan Beburishvili

This paper will discuss an ethical problem, which is depicted in Vazha-Pshavela's poem “Host and Guest”. A group of literary critics determine the conflict presented in the “Host and Guest” as a human tragedy that rises between two different truths. In the work the mentioned view is analyzed in a critical way and based on relevant arguments claiming that the situation should not be considered as an ethical dilemma. In fact according to the poem the society infringes sacred (religious) traditions for practical purposes, a person (Jokola) resists to this pattern of infringement, for which he becomes excluded from the society. So we have no reason to look for any signs of justice in the behaviour of society. Therefore the poem presents not a mere conflict of moral values but it shows the moral tragedy of personality, which is imposed by social injustice.

საბრძოლო მოწოდებების კომპოზიციური აგების პრინციპები თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორიაში“ თათია მთვარელიძე

თუკიდიდეს "პელოპონესის ომის ისტორია", გარდა ისტორიული ღირებულებისა, მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებია. ათენელთა და პელოპონესელთა მრავალწლიანი დაპირისპირების თხრობისას, ისტორიულ ნარატივებთან ერთად, ვხვდებით ე.წ. სიტყვებსა და მოწოდებებს,

რომელთა წარმომავლობის საკითხი მკვლევართა შორის დღემდე საკამათოდ რჩება: ერთნი მიიჩნევენ, რომ ტექსტში დადასტურებული სიტყვების, მათ შორის - საბრძოლო მოწოდებების გადმოცემისას თუკიდიდე ყურდნობა გარკვეული სახის წერილობით წყაროებს, რომლებშიც ეს სიტყვები უნდა ყოფილიყო დაცული. შესაბამისად, ამ თვალსაზრისის მომხრენი აღნიშნულ სიტყვათა ავთენტურობას ეჭვქვეშ აყენებენ. მკვლევართა მეორე ნაწილი თვლის, რომ თუკიდიდეს მთელი ისტორია ემყარება იმ ფაქტებს, რომელთა თვითმხილველიც თავადვე იყო და რომ ტექსტში დადასტურებული სიტყვების ერთადერთ წყაროს ავტორის მესხიერება წარმოადგენს. მკვლევართა სხვა ნაწილი კი დასახელებულ ორ თვალსაზრისს ერთმანეთთან აჯერებს და მიიჩნევს, რომ ზოგიერთი სიტყვისა თუ მიმართვის გადმოცემისას, ისტორიოგრაფს წერილობითი წყარო უნდა გამოეყენებინა, ხოლო სიტყვების ნაწილი ატიკელ და პელოპონესელ წინამძღოლთა მიერ წარმოთქმული და თუკიდიდემდე ზეპირი გზით მიღწეული მიმართვების თუკიდიდესეულ ინტერპრეტაციას უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს, თუმცა დაპირისპირებულ მხარეთა საბრძოლო მოწოდებების კომპოზიციური აგების პრინციპები და სტრუქტურათა შედარებითი ანალიზი ახალ მიდგომას წარმოადგენს თუკიდიდესთან დადასტურებული სიტყვების ავთენტურობის საკითხის კვლევისას. ათენელთა მხარეს მებრძოლ წინამძღოლთა და პელოპონესელ წინამძღოლთა მოწოდებების სტრუქტურათა და სტილის თანხვედრა, შესაძლოა, ავტორისეულ მხატვრულ მეთოდზე მიუთითებდეს და წერილობითი წყაროების გამოყენების ვერსიის კონტრარგუმენტად გამოდგეს, ხოლო მათმა განსხვავებულობამ - საპირისპირო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცეს.

მოსხენება მიზნად ისახავს, თუკიდიდეს ისტორიაში დადასტურებული სიტყვების ერთი ნაწილის - კერძოდ კი, 12 საბრძოლო მოწოდების სტრუქტურული და შედარებითი ანალიზის გზით, განისაზღვროს მათი კომპოზიციური აგების პრინციპები, რაც საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ სიტყვათა წარმომავლობის საკითხის კვლევისას.

Compositional Principles of the Military Harangues in “The History of the Peloponnesian War” by Thucydides

Tatia Mtvarelidze

The History of Thucydides besides the immeasurable historical value also has very important literary value. During presenting the long-lasting quarrel of Athenians with Peloponnesians, Thucydides along with the historical narratives introduces several speeches and military harangues, which many times have kindled interest of scholars because of their provenience’s problem, that still remains unresolved in classical scholarship: Some scholars regard that while writing speeches and military harangues, Thucydides should have as an example some sources, where these speeches were kept in written form; accordingly, the supporters of this view cast doubt in the authenticity of these speeches. The other group of scholars considers that while being eye-witness of Peloponnesian War, in the process of writing the speeches, Thucydides had the only source – the memory of his own. There are some scholars who synthesize both above mentioned hypotheses and think that some of the speeches could be based on the earlier written sources, but there is the other part of speeches, which should come from the oral speeches of Athenian and Peloponnesian leaders and were interpreted in written form by Thucydides. There are a huge number of scientific researches about the problem of authenticity of Thucydidean speeches, but the comparative analysis of structures and compositional principles of the speeches has not be done at appropriate level yet. Such analysis casts as a new approach to the problem of authenticity and serves as a basic method for my research, which will be presented in this report. Coincidences that may occur between the structures and the styles of Athenians’ and Peloponnesians’ speeches should indicate to the literary method of Thucydides and be one of the supporting arguments for the Thucydidean attribution, and vice versa. This report aims - through making a structural and comparative analysis of 12 military harangues attested in the History of Thucydides, to define the Thucydidean techniques of speech composition that leads us to very interesting conclusions about the authenticity and provenience of Thucydidean speeches.

ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიური კვლევები საქართველოში

ნანა გაფრინდაშვილი

ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია, რომელიც თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივისტიკის აქტუალურ მიმართულებად არის მიჩნეული საქართველოში ახალი დარგია, თუმცა ზოგადად ლიტერატურათმცოდნეობა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი ტრადიციული სამეცნიერო დარგია, რომელიც მუდმივად ვითარდება, რათა სრულყოფილად ასახოს ქართული ლიტერატურის ისტორია და მიმდინარე სალიტერატურო პროცესები და იღვეს ფილოლოგიური მეცნიერებების განვითარების თანამედროვე დონეზე. ვფიქრობთ, ინტერკულტურულ დიალოგში ჩართული ქართული ლიტერატურის შესწავლაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიის განვითარება და ქართული ლიტერატურის გამოკვლევა მისი თვალთახედვით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკეული გამოკვლევები, რომლებშიც იმაგოლოგიური პრობლემატიკაა განხილული, მისი მრავალი თეორიული საკითხი თუ პრაქტიკული ასპექტი ჯერ კიდევ შესასწავლია, თუმცა ამ დარგის მნიშვნელობა და ფუნქცია განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ჩვენი ქვეყნისათვის მისი განვითარების თანამედროვე კულტურულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ეტაპზე, რადგან მოწოდებულია, შექმნას ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო. როგორც სამართლიანად შენიშნავს ჰუგო დიხერიინკი, იმაგოლოგიას უმნიშვნელოვანესი ჰუმანიტარული ფუნქცია ეკისრება, იგი თანამედროვე, საკმაოდ რთულ და მრავალფეროვან მულტიდისციპლინურ გარემოში ხალხს ხელს უწყობს, უკეთესად შეიცნონ ერთმანეთი. იმაგოლოგია ჰუმანიტარული კვლევის მეტად პერსპექტიული სფეროა. ცნობილია, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიის მასალებს ნდობის მაღალი ხარისხი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ

ლიტერატურაში მრავალი პირობითობაა, მას შეუძლია შთამბეჭდავად და ამადელვებლად ასახოს ადამიანთა ურთიერთობები, მათი განსხვავებული ხასიათები, დამკვიდრებული სტერეოტიპები და ამით დიდი გავლენა მოახდინოს მკითხველთა ფართო წრეებზე.

1991-2013 წლების ქართული ლიტერატურის პროცესები ჯერ კიდევ არ არის სიღრმისეულად შესწავლილი; მისი იმაგოლოგიური ასპექტების ინტერპრეტაცია და ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგიის თეორიული ასპექტების სიღრმისეული გააზრება დღევანდელი ეპოქის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი. დღესდღეობით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი სამეცნიერო გამოცდილების შექმნა პოსტკოლონიური ეპოქის ლიტერატურული იკონოგრაფიის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებშიც პოსტკოლონიური ეპოქის ქართული ლიტერატურა შესწავლილი იქნება კულტურათა შორის დიალოგის თვალსაზრისით. გამოკვლევული იქნება იმაგოლოგიური პრობლემატიკა, ანუ ეთნიკურად და კულტურული თვალსაზრისით განსხვავებული ხალხის სახეები (იმიჯი) 1991-2013 წლების ქართული ლიტერატურის ტექსტებსა და ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ ცნობიერებაში; სიღრმისეულად იქნება გააზრებული იმაგოლოგიის ძირითადი კონცეპტი, მისი ძირითადი ბინარული ოპოზიცია („ჩემი“ - სხვისი“).

Imagology in Literary Studies in Georgia

Nana Gaprindashvili

The imagology of literary studies is regarded as an urgent direction of the contemporary literary comparativistics. In Georgia it is considered as a comparatively new branch. However, literary studies is one of the traditional scientific branches of the Georgian humanities. It develops constantly and aims at a perfect depiction of the history of Georgian literature and current literary processes in order to stand on the contemporary level of the development of philological sciences. The Georgian literature is actively involved in the intercultural dialogue. Therefore, we believe, that the development of imagology and the research of literature from the imagological point of view will play an important role in its study. It's worth mentioning, that the Georgian

literary studies comprise certain researches , which discuss imagological problematics. However, many theoretical issues and practical aspects of imagology must still be studied. Moreover, the significance and function of this branch become especially prominent for our country on the current stage of its cultural, political and social development. Imagology aims at the creation of the atmosphere of people’s trust and mutual understanding. As H. Dyserinck fairly mentioned, it has the most significant humanitarian function - it helps people to cognize one another in the diverse multidisciplinary environment. Imagology is a very perspective sphere of humanitarian researches. Its materials have a high degree of trust. Despite of conditionalities, imagology can impressively and excitingly depict people’s relationships, their character, existed stereotypes and therefore, influence a wide circle of readers.

The processes of the Georgian literature of 1991-2013 have not been profoundly studied. However, our epoch demands the interpretation of the imagological aspects of literature and a profound comprehension of the theoretical aspects of the imagology of literary studies. Nowadays, the greatest urgency acquires the creation of a new scientific experience from the point of view of literary iconography of post-colonial epoch. Unfortunately, the Georgian literary studies does not comprise fundamental works, which:

- study the Georgian literature of the post-colonial epoch from the point of view of the dialogue between cultures;
- study the imagological problem of the images of ethnically and culturally different persons in the texts of the Georgian literature and the Georgian literary-cultural consciousness;
- comprehend the major concept of imagology and its binary opposition (“my – other’s”).

XX საუკუნის 30–იანი წლების ლიტერატურული ცხოვრება ვიქტორ შკლოვსკის წერილებში ნინო წერეთელი

1933 წელს ვ.შკლოვსკის სტატიის „სამხრეთ –დასავლეთი“ გამოქვეყნების შემდეგ გაჩაღდა მასშტაბური ბრძოლა ფორმალისმის წინააღმდეგ. ამას მოყვა.

შკლოვსკის „მონანიება“. რაც გამოიხატა მისი წერილით“ წერილი რედაქციას“, სადაც თავის სტატიას, სამხრეთ-დასავლეთი“ თავად უწოდა „არასწორი“ და „მავნე“. თუ რა ზეწოლის შედეგი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, პასუხს ამ პერიოდის ვ.შკლოვსკის პირადი წერილები გვაძლევს. ოპრიკის და გ.ბებუთოვისადმი გაგზავნილ წერილებში ვ.შკლოვსკის სულიერი მდგომარეობა ჩანს. ი. ტინიანოვისადმი გაგზავნილ წერილში კი ის წინააღმდეგობრივი ვითარება, რაც 30-იანი წლებში, სტალინური რეპრესიების წინარე პერიოდში, საბჭოთა ლიტერატურული ცხოვრებისთვის იყო დამახასიათებელი. საბჭოთა იდეოლოგიის მძლავრ ბერკეტს მთავლიტი წარმოადგენდა, რომელიც საფოსტო განყოფილებებშიც ფხიზლად მუშაობდა და კორესპონდენციას აკონტროლებდა. ის რაც გადარჩენილია და ჩვენამდე მოღწეული, მათ გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია, ამ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების მკაფიო სურათის დადგენა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით, წერილების როლი შეუფასებელია. წერილის მნიშვნელობა ყველაზე სწორად და სრულად ი.ტინიანოვმა განმარტა: „წერილი, რომელიც დოკუმენტი იყო, ლიტერატურული ფაქტი გახდა“.

Literary Life in the 1930s According to the Letters of Victor Shklovsky

Nino Tsereteli

Personal letters of the 1930-s period by the founding father of Formalist school V.Shklovsky reveal him as living a "double life" characteristic to a Soviet writer. From the correspondence we can vividly see the tendencies of the Soviet literary life, the link with its politics. It should be taken into account that ‘Glavlit’ - the main censorship department worked in particular strict regime: in the departments of post offices special points were opened to control the correspondence. It is difficult to find a sincere attitude of the creative *Intelligensia* during the toughest years of the Great Purge. From this viewpoint the letters written in the thirties represent a priceless heritage for researchers.

ფემინისტური დისკურსი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინული ლიტერატურაში ნინო ნასყიდაშვილი

მეოცე საუკუნის 80-90 წლების უკრაინულმა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. მოცემულ პერიოდში მოხდა საზოგადოების ესთეტიკური კრიტერიუმების ნგრევა, შეიქმნა მხატვრული აზროვნების ახალი პარადიგმები. ამ დროს იბეჭდება ცნობილი ეთნოგრაფების, კულტუროლოგების, პოლიტოლოგების შრომები, რომელთა კვლევებმა საშუალება მისცა მკითხველს ახლებურად მოეხდინა უკრაინის ისტორიის აღქმა, მისი ადგილის განსაზღვრა ევროპულ კონტექსტში. დაიბეჭდა ადრე აკრძალული ნაწარმოებები, რომელთა ავტორებიც იყვნენ მიკოლა კოსტომაროვი, პანტელეიმონ კულიში, ივან ნეჩუილოვიცი, ვასილ სტეფანიკი და სხვა. მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, უკრაინულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ძირითადი მიმდინარეობა: მოდერნისტული, ნეომოდერნისტული, პოსტმოდერნისტული და ფემინისტური, რომლებზეც გავლენა იქონიეს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ასევე კულტურულმა და ეროვნულმა ფაქტორებმა.

ფემინისტური დისკურსი ორიგინალური მხატვრული მოვლენაა უკრაინულ ლიტერატურაში, რომელსაც საფუძვლად დაედო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის უკრაინული მწერლობის ფემინისტური მიმდინარეობა, როელიც ნათლად აისახა ნაწარმოებებში „ადამიანი“, „დედოფალი“ ემანსიპირებული ქალების ნათელი სახეებით.

მეოცე საუკუნის უკრაინული ლიტერატურის ფემინისტურ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან ნილა ზბოროვსკა, ოქსანა ზაბუკო, მარია მატიოსი, გალინა პაგუტიაკი, ლიუბოვ პონომარენკო, ლიუდმილა ტარანი, ირენა კარპა და სხვები, მათი ნაწარმოებები ხასიათდება ქალისადმი პატივისცემითა და ქალური პრობლემების ასახვით, ყოფის ეგზისტენციალური საკითხებით, ქალის, როგორც სულიერი საყრდენის თვითიდენტობით. მწერლები, რომლებსაც უკრაინელი

ლიტერატურათმცოდნეები მიაკუთვნებენ ფემინისტრუს მიმდინარეობას, იცავენ „ქალური წერილის“ კონცეპციას. ფემინისტური დისკურსის ერთ-ერთი გამოვლენაა ორივე სქესის წარმომადგენლების გენდერული ურთიერთობა. თავის ნაწარმოებებში ფემინისტი მწერლები არიან პატრიარქალური კულტურის ოპოზიციონერები, რომელმაც ქალს შეუზღუდა თვითრეალიზაცია და პიროვნულობა.

ფემინისტური დისკურსი მნიშვნელოვანი მოვლენაა უკრაინულ ლიტერატურაში, რომელსაც თავის მხრივ, მრავალი კრიტიკოსი და შემფასებელი ჰყავს.

Feminist Discourses in Ukrainian Literature of the Second Half of the 20th Century

Nino Naskidashvili

Ukrainian literature of 80-90th of the 20th century has been significantly changed. During the given period, aesthetic criteria of society have been destructed, new paradigms of artificial thinking have been formed. At that time, works of well-known ethnographers, culture experts and political scientists have been published and their studies gave the readers an opportunity to perceive the Ukrainian history in a new mode, to define its place in European context. Early-prohibited works have been published, authors of which were Mykola Kostomarov, Panteleimon Kulish, Ivan Nechuy-Levytsky, VasylStefanyk and etc.

In consideration of many factors, several main discourses have been created in Ukrainian literature: modernist, neo-modernist, post-modernist and feminist influenced by public-political as well as cultural and national factors.

Feminist discourse is an original artificial phenomenon in Ukrainian literature which was based on feminist discourse of Ukrainian writing at the end of the 19th century and at the beginning of the 20th century, which was clearly reflected in the work “Human-Being”, “The Queen” with bright faces of emancipated women.

Representatives of feminist discourse of Ukrainian literature of the twentieth century are Nyla Zborovska, Oksana Zabuzhko, Maria Matios, Galyna Pagutiak, Lubov Ponomarenko, Ludmila Taran, Irena Karpa and others. Their works are characterized with respect of woman and

reflection of woman problems, existential issues of life, self-identity of a woman as a spiritual support. Writers belonging to feminist discourse by Ukrainian literature experts maintain the concept of “feminine letter”. One of the demonstrations of feminist discourse is a gender relation of representatives of both genders. In their works, feminist writers are oppositionists of patriarchal culture, which prohibited self-realization and personality for woman.

Feminist discourse is an important phenomenon in Ukrainian literature, which has many critics and estimators.

ილია ხონელის ფოლკლორული პუბლიკაციები გაზეთში ქეთევან სიხარულიძე

1884–1905 წლებში თბილისში გამოდიოდა სალიტერატურო–პოლიტიკური რუსულენოვანი გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“. გაზეთში გარკვეული ადგილი ეთმობოდა ფოლკლორულ–ეთნოგრაფიულ მასალას, რომლებსაც ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებ აქვეყნებდნენ.

1888–1890 წლებში გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლობდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და მთარგმნელი ილია ბახტაძე ფსევდონიმით „ხონელი“. იგი რუსულად თარგმნიდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ ტექსტებს, რომლებსაც მას აწვდიდა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ილია ხონელი ბეჭდავდა უპირატესად პროზაულ ტექსტებს – თქმულებებს, ლექსებს, ზღაპრებს – და ყოველთვის უთითებდა, თუ ვინ იყო მათი ჩამწერი.

ილია ხონელი კარგად იცნობდა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამას, რომლის მიხედვით, ხალხური ტექსტები არ უნდა შეიცვალოს. მიუხედავად ამისა, მის მიერ გამოქვეყნებული ყველა ფოლკლორული ტექსტი ლიტერატურულად დამუშავებულია. მათში გვხვდება ისეთი პასაჟები და ელემენტები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ხალხური შემოქმედებისათვის. როგორც ჩანს, ამ გზით იგი ცდილობდა

მეტი აზრი შეემატებინა ხალხური მოთხრობებისთვის და რუსი მკითხველისთვის შეექმნა შთაბეჭდილება მდიდარი ქართული ფოლკლორის შესახებ.

Ilia Khoneli's Folklore Publications in Newspaper Ketevan Sikharulidze

1884-1905 was running a literary-political newspaper "Novoye obozrenie". The Folklore-Ethnographic materials received some attention in the newspaper, which was published by the representatives of the Georgian Intelligentsia.

1888-1890 years, the newspaper "Novoye obozrenie" cooperated with the well-known journalist and translator Ilia Bakhtadze who was known by his pseudonym "Khoneli". He translated and published folklore texts in Russian, by which he supplied the Society for the Spreading of Literacy among Georgians. Ilya Khoneli preferably published the prose - stories, legends, fairy tales - and always referred to their recorders.

Ilya Khoneli knew that the Society's regulations did not allow the practice of changing the folk texts. However, all the published folk texts were literally shaped and structured. We can find there such passages and elements that are not typical for folk legacy. It seems that in this way he was trying to add more sense to folk stories and impress the Russian reader's by showing them the splendour of the Georgian folklore.

მირქმის დღესასწაულის ასახვა ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში ლელა ხაჩიძე

მირქმა ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია. მის შესახებ საუბარია ლუკას სახარებაში. აქ აღწერილი რიტუალი ემყარება ძველ იუდაისტურ ტრადიციას. მოხუცი სვიმეონი, შემდგომში მართლად წოდებული, ღვთის ნებით იქნა განწესებული ჩვილი იესოს „მიმრქემელად“. მისი სიტყვები წარმოადგენს

წინასწარმეტყველებას ახალ აღთქმაში აღწერილი სხვა მოვლენების შესახებ.

მირქმის კომპოზიცია ფართოდაა ასახული ქრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. IX საუკუნიდან ჩამოყალიბდა მირქმის კანონიკური კომპოზიციის სქემა.

საქართველოში, ბიზანტიურ ხელოვნებაში არსებულ ტრადიციასთან ერთად, ადრეულ ხანაშივე გავრცელდა განსხვავებული იკონოგრაფიული სქემა, რომელზეც გამოსახულია ანთებული სანთელიც (ან სანთლები). მირქმის სცენაში ანთებული სანთლების გამოსახვა, როგორც ჩანს, უძველესი იერუსალიმური ტრადიცია იყო, მაგრამ იერუსალიმური წარმოშობის ძეგლებზე შემორჩენილი არ არის. ქართულ ტრადიციაში მისი დამკვიდრება განპირობებული უნდა იყოს ადგილობრივი რიტუალითაც, რომელიც „ლამპრობის“ სახელითაა ცნობილი. „ლამპრობა“ ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია. მას დიდი პატივით აღნიშნავდნენ ძველად იერუსალიმის ეკლესიაში.

მიგებების დღესასწაული საქართველოში ცნობილი იყო „ლამპრობის“ სახელწოდებით. ამ სახელწოდებით გვხვდება იგი „უძველეს იადგარში“, აპოკრიფში „მაცხოვრის სიყრმის შესახებ“ და „ქართლის ცხოვრებაში“. „ლამპრობას“ ძველ ტრადიციად მიიხსევენ და მას უკავშირებენ სვანურ დღესასწაულ „ლიმპაირს“.

ქართულ ხელოვნებაში მირქმის კომპოზიციაში ანთებული სანთლის (ან სანთლების) გამოსახვა „ლამპრობის“ დღესასწაულის ანარეკლი უნდა იყოს. ეს დღესასწაული მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული საქართველოში.

ამ ტრადიციის ანარეკლი ჩანს ქართულ სასულიერო მწერლობაში. ქართულ „მრავალთავებში“ შესულია მთელი რიგი ჰომილიებისა, რომლებიც მირქმის (მიგებების) დღესასწაულს ეძღვნება. ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობლები გვხვდება ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესულია მირქმის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც იოანე მინჩხს ეკუთვნის.

საგალობელში შთამბეჭდავადაა გადმოცემული ამ ეპიზოდის თეოლოგიური გააზრება. საგალობელში საუბარია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებაზე,

რომელიც განხორციელდა ახალ აღთქმაში. საგალობელში ხდება მირქმის დღესასწაულის განზოგადება, მისი უნივერსალური შინაარსის ჩვენება. სწორედ ამ დროს შემოდის „ლამპრობის“ დღესასწაულის თემა. ამ შემთხვევაში იოანე მინჩხი ქართულ ხელოვნებაში არსებულ ტრადიციას მისდევს.

ქართულ მწერლობაში ფართო გავრცელება ჰპოვა მირქმის ეპიზოდში სვიმეონ მართლის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომლებიც წარმოადგენს წინასწარმეტყველებას ღვთისმშობლის ტანჯვის შესახებ. ამ სიტყვების სიმბოლური შინაარსი გახსნილია დიდი ქართველი პოეტების - იოანე მინჩხის, ეფრემ მცირისა და დავით გურამიშვილის მიერ.

Reflection of the Presentation of Jesus at the Temple in Georgian Tradition

Lela Khachidze

The Presentation of Jesus at the temple is one of the twelve Great Feasts. The story of the Presentation is told in the Gospel of Luke. The composition of the Presentation of Jesus is broadly reflected in various fields of Christian art. The scheme of canonical composition of the Presentation has been established since the 9th century. Along with the tradition existing in Byzantine art, from the earliest times in Georgia there has been spread different iconographic scheme which also represents a lighted candle (or candles). Representation with the lighted candles in the scene of the Presentation seems to be an ancient Jerusalemite tradition but it has not been preserved on the monuments of the Jerusalemite origin. Its establishment in Georgian tradition must be also conditioned by the local ritual known as "Lamproba" (feast of the lighted lamps).

The feast of the Presentation was known in Georgia as "Lamproba". Under this name it is mentioned in the "Old Iadgari", apocrypha of "The Infancy of the Savior" and "The Life of Kartli."

In Georgian art the representation of a lighted candle (or candles) in the composition of the

Presentation must have been a reflection of the feast of "Lamproba. This feast day appears to have been firmly established in Georgia.

The reflection of this tradition can be seen in Georgian hymnography too. One of the hymns by Ioane Minchkhi is dedicated to the feast of the Presentation in which the theme of the feast of "Lamproba" is introduced. In this case Ioane Minchkhi follows the tradition established in Georgian art.

In Georgian literature prophetic words of Simeon the Righteous said in the episode of the Presentation are widely spread. The symbolic meaning of these words is disclosed by the great Georgian poets - Ioane Minchkhi, Ephrem Mtsire and David Guramishvili.

მოსხენების სათაური: ქრისტიანული ელემენტები და მათი ტრანსფორმაცია ჩერქეზულ მითოლოგიურ წარმოდგენებში (ЗКОИРГО-ში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით) ხვთისო მამისიმედიშივილი

XIX საუკუნის 30-იან წლებში, მუჰაჯირობამდე კარგა ხნით ადრე, მთიან ჩერქეზეთში იმოგზაურა დოქტორმა ლ. ი. ლიულემ, რომელმაც ЗКОИРГО-ს (Записки кавказского отдела императорского русского географического общества, тифлис) V ტომში 1862 წელს გამოაქვეყნა უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა ჩერქეზების რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ (Верования, религиозные обряды и предрасудки у черкес, ст. 121-137). როგორც ნაშრომიდან ირკვევა, ისლამის დომინანტის მიუხედავად, ჩერქეზთა დაბალ ფენებში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გახალხურებული ქრისტიანული ელემენტები და წარმოდგენები, რომლებსაც მკვლევარები უძველეს წარმართობასთან აკავშირებდნენ.

ჩერქეზული გადმოცემები „ღვთაებებზე“, როგორც ვერბალური ტექსტები, ყალიბდებოდა სრულიად რეალური მოვლენების არეკვლის შედეგად. მათ

საფუძვლად უნდა დასდებოდა ქრისტიანული წარმოდგენები, რომლებმაც X-XII საუკუნეებში საქართველოს სამეფო ხელისუფლების მეოხებით ჩერქეზეთის ყველაზე მიუვალ ხეობებსა და სოფლებამდე მიაღწია.

მომდევნო საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს გავლენა შესუსტდა და ქრისტიანობამ მთიან ჩერქეზეთში თავისი პოზიციები დათმო, რის შემდეგაც დადგა მითოლოგიური შემოქმედების მეორე ხანა და ქრისტიანულმა კულტურამ ცალკეული სიუჟეტების, რელიგიური სტერეოტიპებისა და ინფორმაციული ელემენტების სახით ხალხურ რიტუალებში, რწმენა-წარმოდგენებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში გაგრძელა სიცოცხლე.

ჩერქეზული გადმოცემებისა და რიტუალების ქრისტიანულ ძირებზე მიუთითებს არაერთი ელემენტი: თაყვანისცემა ჯვარისა, რომლის ჩერქეზული სახელწოდებაც არის „ჯურ“; გადმოცემები მხენელ-მთესველთა მფარველ სოზირისზე, რომელსაც დღესასწაულობენ ქრისტეშობის დღეს და მის მოსვლას რიტუალურად 25 დეკემბერს ელოდებიან; გადმოცემები მეფუტკრეობის მფარველ მერიემზე, რომელსაც უწოდებენ „დიდი ღმერთის დედას“ (мериём ггешхуо и янь) და დღესასწაულობენ აგვისტოში, ღვთისმშობლის მიძინების დღეს; ხორციელისა და ყველიერის მარხვა (Ллеумёшхе и коаяште), აღდგომის დღესასწაული (Кутишь), ქართველი მთიელების მსგავსი მსხვერპლშეწირვისა და კულტმსახურების წესები; ქრისტიანულ კალენდარზე დაფუძნებული ხალხურ დღეობათა კალენდარი და სხვ.

როგორც ლ. ლიულეს მასალებიდან ირკვევა, ჩერქეზული მითორელიგიური ჟანრის ტექსტებისა და რიტუალების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ, რომელიც ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავდა შუა საუკუნეებში აღორძინებული „მითოლოგიური შემოქმედების ბუმის“ შედეგად.

Christian Elements and their Transformation in the Circassian Mythological Views

(According to the Materials Published in ZKOIRGO)

Khvtiso Mamisimedishvili

In the 1830s, long before the muhajir age, Dr. L.I. Liule traveled to mountainous Circassia. In 1862, he published valuable materials about the beliefs, views, religious rites and superstitions of the Circassian people in vol. V of ZKOIRGO (Reports of the Caucasian Department of the Emperor's Russian Geographical Society) (Beliefs, Religious Rites and Superstitions of the Circassians, pp. 121-137). As the work shows, despite the Islam domination, the paganised Christian elements and imaginations still played an important role in the lower societal layers of the Circassians, what the researchers used to associate to ancient paganism.

Circassian legends about the “deities”, as verbal texts, originated as the stories of absolutely real events. They were based on the Christian imaginations surviving in folk rituals, beliefs and views and mythological legends as individual stories, religious stereotypes and information elements. There are a number of elements demonstrating the Christian roots of the Circassian legends and rituals: worshipping the cross with the Circassian name Juar; stories about Soziris, a guarding deity of ploughmen and tillers with its commemoration day celebrated on the Nativity feast day and who is awaited to appear on December 25; legends about Meryem, guarding deity of bee-raising, who is called the Mother of Great God (Meryem Ggehshou and Yian) and commemorated in August, on the Dormition of the Virgin Mary, the cheese-fare Sunday and the week of apokries (Lleumehshe and Koyashte), the Easter (Kutish); rules of immolation and cult service similar to those of Georgian highlanders; calendar of folk dates based on the Christian calendar, etc.

The data by L. Liule makes it clear that the origination of Circassian mythic-and-religious genre and rituals was much influenced by the Georgian Christian culture refined locally as a result of the “Boom of mythological art” in the Middle Ages.

**ფოლკლორული წყაროები ქართულ-
ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების
შესახებ**

„კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში“ (1881-1900)

ელენე გოგიაშვილი

მიხნეულია, რომ მეცნიერება ინტერნაციონალურია და მისთვის პოლიტიკური საზღვრები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო მუშაობა ყოველთვის რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მიმდინარეობს. სახელმწიფო - იქნება ის მეცნიერების ხელშემწყობი თუ დამორგუნველი, იქნება ის დამკვეთი თუ კვლევის ობიექტი, მეცნიერებას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. მე-19 საუკუნეში დასავლეთ ევროპაში მეცნიერება სახელმწიფოს გაძლიერებას ემსახურება. აღმოსავლეთ ევროპაში მეცნიერება ჰაბსბურგების, ოსმალეთისა და ცარიზმის იმპერიალურ კონტექსტში ვითარდება. კავკასიაში, როგორც იმპერიაში შემავალ რეგიონში, მეცნიერებას განსაკუთრებულ პირობებს უქმნის იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელი მულტიეთნიკურობა, ენობრივი მრავალფეროვნება და ცენტრისა და პერიფერიების პოლარული ურთიერთმიმართება.

მოსხენება ეხება ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორული მასალებს, რომლებიც პერიოდულ გამოცემაში - „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალათა კრებულში“ („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“) დაიბეჭდა 1881-1900 წლებში. კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს ამ გამოცემამ 1929 წლამდე იარსება და დიდი სამსახური გაუწია კავკასიის კულტურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხების შეკრებასა და პუბლიკაციას. კრებულის გამოცემის მიზანი იყო კავკასიის ხალხთა ყოველმხრივი შესწავლა და გაცნობა, რასაც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სარჩული ჰქონდა. რუსეთის ცარიზმისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახლადშემოერთებული ხალხების შემომტკიცების საქმეში მათი ზნე-ჩვეულებებისა და მენტალიტეტის ცოდნას.

ფოლკლორული მასალის კვლევისას ჩნდება რამდენიმე კითხვა, თუ როგორი იყო სამეცნიერო მუშაობის პრაქტიკა იმპერიალიზმის პირობებში: როგორ

მოქმედებდნენ მეცნიერები და სამეცნიერო ორგანიზაციები იმპერიალურ სივრცეში? რა მასშტაბებით ახდენდნენ კონკურენციას ნაციონალური ძალები იმპერიალურთან? რა როლს ასრულებდნენ ამასთან საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ცალკეული რეგიონები და ქვეყნები თავიანთი კულტურული თავისებურებებით?

The Folklore Sources on the Georgian and North-Caucasian Relationships in the “Collection of Materials for Describing the Places and Tribes of the Caucasus” (1881-1900)

Elene Gogiashvili

Science is often considered to be an international practice in the first place. The state, however, provides an important framework for scientific research. The state shapes scientific practice in many ways, by being either a patron or an oppressor, an employer, or simply by providing a geographic area for study. Science often operated in the context of emerging national states during the 19th century in Western Europe. Science operated in the imperial framework of the Habsburg, Ottoman and Czarist Empires in Eastern and East-Central Europe. The imperial characteristics of the state, such as multi-nationality, linguistic diversity, and a pronounced polarity between centres and peripheries, created specific conditions for the development of sciences in Caucasus.

My presentation deals with the Georgian and North-Caucasian folklore published in the “Collection of materials for describing the places and tribes of the Caucasus”. The Board of Caucasian Academic District began to issue this periodical collection from 1881. It existed until 1929 and largely contributed to accumulation and publication of issues of the Caucasian culture, ethnography, archaeology, language, literature and folklore. The purpose of the publication was

to thoroughly study and become familiarized with the Caucasian nations, which had political-state background. Knowledge of customs and mentality of newly joined peoples had a great importance for the Russian Czarism for their assimilation.

The goal of this paper is to demonstrate folkloric material within the imperial context. With this goal of mind, the following questions must be answered: To which extent did scholars and their organizations operate in an imperial space? To which extent did national organizational structures compete with the imperial ones? What was the role of particular regions and countries with their cultural peculiarities, such as the Georgian and North-Caucasian lands in the Czarist Empire?

"დედისძმები" თუშეთში მარიამ ბაკურიძე

თუ მომაკვდავის სულთან ბრძოლა – სიკვდილისწინა აგონია გახანგრძლივდებოდა, დედისძმები მას „მგებრის სუფრას“ მიუტანდნენ. თუშების წარმოდგენით მიცვალებულის სულს სულეთის კართან „მგებრნი“ – დედისძმათა, დედის მხრის მიცვალებულთა სულები შეეგებებიან, წაიყვანენ მას, უიმათოდ სული სულეთში ვერ შევაო. მომაკვდავი რომ იტანჯება, “მგებრნი“ სულას არ იღებენო-ამბობენ თუშები.

თუშეთში მიცვალებულის წლისთავზე იმართება დოღი და დალაობა. „დალაი“, რომელიც მხოლოდ თუშეთშია გავრცელებული, წარმოადგენს კანონიკურ ტექსტს თავისი მკაცრი, შეუცვლელი სტრუქტურით.

„დალაობა“ მამაკაცთა სამგლოვიარო ზარია, რომელიც სრულდება იმ შემთხვევაში თუ წლისთავს დოღით იხდიან. სხვადასხვა მოდალავეთა ნათქვამი ტექსტები ვარიანტულად განსხვავდება. ტექსტში შექებულია მოყმის მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები და სინანული, რომ იგი აღარ განმეორდება. „დალაობის“ ტექსტში არის ერთი ადგილი, რომელიც ყველგან უცვლელია:

„კარზე გიდგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლება?

ღისწულო, დედისძმათასა კარგამ არ დაუხვდება?

„დალაობის“ დამთავრების შემდეგ მოდალავეები მიდიან დედისძმებში. დედისძმის ეზოში დახვდებოთ გაშლილი სუფრა და მასთან მსხდომი დედისძმის

მხრის მოტირალი ქალები. სუფრა საკმაოდ დიდია (50-70)კაცი. აქ კიდევ ერთხელ მიცვალებულის შესანდობარს დაღვევენ და პირდაპირ სადოღე ადგილისაკენ მიდიან.

ქორწილშიც დედისძმები დიდ როლს ასრულებენ. საქორწილო პურობა შუამდის რომ მიაღწევს, დედისძმანი დაიწყებენ ჯვრის მოსატანად მზადებას. გამოსვლილას თოფს დაცლიან, ეს არის მაუწყებელი დედისძმათა მოსვლისა. თამადა ხალხს სიმშვიდეს სთხოვს, რადგან დედისძმის სადღეგრძელო უნდა დაილიოს. წინ მომავალ დედისძმას, ე.ი. დედისძმებში უფროს პირს, ხელში სპილენძის დიდი ლანგარი უჭირავს, რომელზედაც საგანგებოდ გამომცხვარ დიდ პურში ჩარჭობილი ხის ჯვარი დგას ჯვრის განივ ტოტებზე ორი სანთელი ანთია. თოფს დროდადრო ისვრიან. დედისძმები მოდიანო-ისმის შექახილები.

დედისძმებმა ხალხურ პოეზიაშიც თავისი ადგილი ჰპოვეს:

„დისწული დედისძმათასა,
სკამს უკრძალავად დაჯდება,
ეგ რომ დედისძმათ ეწყინოს,
ის კერა ოხრად დარჩება“.

ბალადაში „ბალათერ ჯაბუსანური“ დედისძმებისაგან მოითხოვს მამისეულ ჩაჩქანს, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მათ ჰქონდათ მიბარებული. ბიძებმა არ მისცეს ჩაცქანი, არ ჩათვალეს მოწიფულად. გაჯავრებული გამოისტუმრეს ბალათერა „ქვა-რკინას ამტვრევს კბილითა“, მაგრამ ბალათერამ მოიგერია მტერი და სისხლმდინარენი გააქცია ისინი, მაგრამ არც თვითონ გადარჩენილა.

ქისტები და ლეკები ნადავლის სახით იტაცებდნენ ქალებს, მიერეკებოდნენ საქონელს. მომხდარ უბედურებას უნდა მოჰყოლოდა შურისძიება, რისი დაუცხრომელი მოთხოვნილებითაც იყო გამსჭვალული არა მარტო კაცი, არამედ ქალიც. ლექსში ვკითხულობთ:

„დეღეში ამომიყვანეს, უკან გვაბრუნებს ქარიო,
დავღეწე საყურ-ბეჭედი, მალვით დაენიშნე გზანიო,
ხიწვაგ, შენ ჩემო საქმარევ, აღარსად შენთვის ქალიო,
დედისძმას შეატყობინე, ძმურად გიჭიროს მხარიო.“

გარდა იმისა, რომ კაცებთან ერთად თუში ქალებიც შურისძიებას ამადლებული გრძნობითა და შეგნებით უყურებდნენ და მის დასაცავად ბრძოლაში მონაწილეობის სურვილსაც იჩენდნენ, ლექსი იმის მეტყველი დადასტურებაცაა, რომ პირველ შურისმაძიებელ პირად საქმროსთან ერთად დედისძმა ითვლებოდა, რომლის როლი და უფლებამოსილება აშკარად ჩანდა ჭირშიც დალხინშიც. ლიტერატურამაც ვერ ჩაუარა გულგრილად დედისძმებს. ონისე დარდის გასაქარვებლად დედისძმათს გაემგზავრა („ხევისბერი გოჩა“).

The Phenomenon of the “Dedisdzmebi” (Mother’s Brothers) in Tusheti

Mariam Bakuridze

If the death agony of the person prolonged too long, the “dedisdzmebi”, (mother’s brothers) laid “a salutatory table” for easing one’s departure. According to the beliefs of the Tushetians, the souls of the dead were welcomed in the other world by the souls of their relatives on the mother’s side who have died earlier. No man could enter the world of souls without being met by them. When the person suffers on his/her deathbed, The Tushetians say, that the "welcomers" refuse to take the soul.

A special horse-race takes place at the anniversary of somebody’s death in Tusheti and also the “Dalaoba” is performed (the mourning ritual performed exclusively in Tusheti). “Dalaoba” lays out a text with a strict, habitual structure.

“Dalaoba” is a mourning song of men, performed at the horse-race. Texts pronounced by different singers only differ in versions. In texts are extolled heroic acts of the departed and they express a regret, that they will not be able to repeat those acts ever again. Some paragraphs in the texts of “Dalaoba”, which remains unchanged every time they are said:

“Guests are waiting by your door; will you not lead them in?”

Nephew of yours uncles, will you not meet them kindly for our sake?”

After the end of “Dalaoba” the singers go to the relatives on the mother’s side. They are met with a table laid in a court yard, surrounded by crying women. The table is big enough for 50-70

people. Here they once again drink for the peace of the departed and go directly to the racing place.

A considerable role is also performed by the “Dedisdzmebi” at wedding ceremonies. When the wedding feast reaches the peak, the “Dedisdzmebi” begin their preparation for elevating the cross. They fire guns at the exit as a sign of arrival of relatives on the mother’s line. The host calls the gathered visitors to calm down since he is about to toast to the “Dedisdzmebi”. The relative striding ahead of all, as the main person among the “Dedisdzmebi” holds in his hands the big copper tray on which they keep a bread especially baked for the event with the wooden cross stuck in it. Two candles are lit on both sides of the cross. From time to time the “Dedisdzmebi” continue shooting from their guns. “Go Dedisdzmebi!” – The exclamations are heard. The “Dedisdzmebi” have taken place in national poetry as well:

“The nephew of the “Dedisdzmebi”,
Will take a chair ungraciously,
If it offends the “Dedisdzmebi”
No one else will care for the hearth”.

In a ballad “Bagater Jabusanuri” demands the “Dedisdzmebi” to give him his father’s helmet which they have been keeping since the death of his father. The uncles do not give it to him for his lack of maturity. Left with empty hands, angry Bagatera “is gnashing his teeth upon stone and iron”. He defeats the enemy and banishes them with bleeding wounds but after that he dies as well.

The Kisti and Lezghins were well known for looting women and stealing cattle. The misfortune was expected to be followed by a revenge that was on the mind of not only men but women as well. We read in one of the poems:

“Being led over a ravine, the wind takes us back,
I broke my earrings and rings, have secretly marked the way
Khitsva, you, my groom, I am no longer your bride
Tell the uncle, to stand by your side like a true brother”.

Besides the fact, that Tushetian women shared the male outlook on revenge as referring to their own dignity and also showed a desire to fight, this poem also reveals that the first person a woman would ask for help in her revenge would be the uncle together with her groom, whose responsibility was obvious in mourning as well as in happiness. Literature could not avoid the

theme of the “Dedisdzmebi” either. Like Onise, trying to dispel his grief, approached his relatives on his mother’s side (“Khevisberi Gocha”).

ამინდის ღვთაება მეგრულ ხალხურ ტრადიციაში შოვნა კვანტალიანი

სამეგრელოში დამკვიდრებული დარ-ავდრის გამომწვევი რიტუალი და მასთან დაკავშირებული ხალხური სიტყვიერება ზოგადქართული წარმოდგენების ამსახველია.

სამეგრელოში ამინდის ღვთაებად მიჩნეულია ელია. გადმოცემის მიხედვით, მას ჭირნახულის დაცვას შესთხოვდნენ: „წმინდა ელია, დიდებულო, ჩემს ნაშრომს ჯვარი დასწერე და დაიცავი“. პარალელურად ამ ფუნქციას ითავსებს წმიდა გიორგიც. ლეგენდის მიხედვით, „როცა ციდან ჭექა-ქუხილი მოისმის, ეს არის ფეხის ხმა წმიდა გიორგის რაშისა, როცა მუხი გავარდება, ეს არის მისი ნასროლი ბოსილი“... მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დარ-ავდრის გამგებლად ერეხიც იკვეთება („ერეხელი ვარ და მერეხელი“). ერეხი მეგრულად ნიშნავს ჭექა-ქუხილს. სამეგრელოში ამინდის ღვთაების ზოგადი სახელი „უინი ღორონთია“ („ზემთა ღმერთი“). ზემთა ღმერთს გვალვით შეწუხებული ხალხი ევედრებოდა: „გეხვეწებით, ზემთა ღმერთო, კაცს წვიმა უწყალობე“... ცა-ღრუბლის ღვთაებათა გულის მოსაგებად სიტყვიერ შემოქმედებას თან ახლდა მაგიური ხასიათის სადიდებელი რიტუალები. ერთ-ერთ სარიტუალო საგნად ნატრისაგან შეკერილ თოჯინას იყენებდნენ, რომელსაც სამეგრელოში „ბოჭყუდიას“, „ძიძიკვაკვას“, „ძივოუს“ ეძახდნენ. ამინდის ღვთაებისადმი მიმართული ქმედებები მსხვერპლშეწირვით გამოიხატებოდა: თოჯინას ახრჩობდნენ და კიოდნენ - წვიმის მოსვლის იმედით. შესაძლოა, უძველეს დროს, თოჯინას მაგიერ ამინდის ღვთაების სახელზე ადამიანსაც ატანდნენ მდინარეს. მეგრელთა წარმოდგენები დამხრჩვალზე („გაი, დასაქცევი პარასკევი“) შეიცავს ამ ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვის კვალს

(„ჩემი წილი იწვიმე“). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამინდის ღვთაების დღე პარასკევი უნდა ყოფილიყო.

სამეგრელოში ფიქსირდება ქალების მიერ წყალში გუთნის გატარების („წყლის ხვნის“) ჩვეულებაც. წამყვანი მნიშვნელობა ამ სიმბოლური ქმედებისა მამაკაცური ბუნების გაღიზიანებაა, რომლის მიზანი წვიმის გამოწვევაა. წვიმამ უნდა გაანაყოფიეროს მიწა, რომელსაც ამინდის ღვთაება გზავნის.

სამეგრელოში დამკვიდრებული დარ-ავდრის წეს-ჩვეულებები და მისი ამსახველი სიტყვიერი შემოქმედება განსაკუთრებულ აზრს იძენს იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადქართული მასალების საყურადღებო ვარიანტების გარდა, გვხვდება ისეთი მეტად საინტერესო ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ ამ კუთხეშია დაფიქსირებული („ერეხელი ვარ, და მერეხელი“).

The Goddess of Weather in Mengrelian Folklore Tradition Shovna Kvantaliani

In Samegrelo the ritual that causes good and bad weather reflects Georgian belief and is connected with their folklore. In Samegrelo Elya is considered as God of weather. According to the legend people asked him to defend the harvest: "Saint Elya, majestic, cross and defend my yield!" St. George has the same function. According to the legend thunderstorm lets us hear a hoof sound of fast horse of St George. At that time we see thunderclap St George throws out thunderbolt. According to the Mengrelians' belief Ereghi is also considered as a chief of weather. Ereghi means "thunder" in the Mengrelian language. In Samegrelo the weather goddess has a common name "Jini Goronta" ("The Upper God"). The people who were worried about draught asked the Upper God: "Please, God, give the water to the man". People used oral folklore and magical rituals to encourage the Goddess of the sky and clouds. They used as a ritual thing a puppet sewed from the clothes. In Samegrelo people called it "Bochkudia", "Dzidzikvaka", "Dzivou". The people have been making sacrifices and by the way they expressed their actions. They drowned the puppet and were crying. They predicted the rain. Presumably, in old times

they threw the person in the river. Mengrelians' belief on a drowned person consists of an idea about the sacrifice. ("Rain come to me"). It was said that Friday was a day of Weather Goddess. The women's habit of the water ploughing is spread in Samegrelo. It expresses symbolic action: the women can excite a man who is God of weather and He gives them rain. Rain has to fertilize the ground. Native customs and the folklore about good and bad weather in Samegrelo are valued because we know also Georgian materials that are also very important and interesting. Among them we meet very interesting models that are spread only in this region.

გერონტი ქიქოძე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ ეკა ვარდოშვილი

სანამ ი. ჭავჭავაძის შესახებ გერონტი ქიქოძისეულ შეფასებებს შევეხებით, გვინდა შევნიშნოთ, რომ გ. ქიქოძე იყო ღრმად განსწავლული პიროვნება, განათლება მიღებული ჰქონდა ლაიფციგსა და ბერლინში. ზედმიწევნით კარგად იცნობდა ანტიკურ, ბერძნულ, შუა საუკუნეთა კულტურას. მეცნიერული კვლევისას ეყრდნობოდა რუს და დასვლეთ-ევროპელ მწერალთა და ფილოსოფოსთა ნააზრევს. იგი იყო ბრწყინვალე მთარგმნელი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე.

ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ იგი შემდეგ წერილებსა და ნარკვევებში გვესაუბრება: „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“, „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, „ილია ჭავჭავაძე“, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, „პოეზია და სინამდვილე“. „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ილია ჭავჭავაძის შესახებ მნიშვნელოვანია გ. ქიქოძის შემდეგი დებულებები: ილიამ სალიტერატურო უნარებისა და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა. ილიას იგი მიიჩნევს პირველ ქართველ მწერლად, რომელმაც პოეზიას თავის სამშობლოს უახლოესი სინამდვილე დაუდო საფუძვლად. ამასთანავე ქიქოძე თვლის, რომ პატრიოტული

ლექსების უმრავლესობა პროგრამული ხასიათისაა ან განსაზღვრული თემის განვითარებას წარმოადგენს. „განდევილი“ მას ყველაზე აბსტრაქტულ ქმნილებად მიაჩნია ილიას ნაწარმოებთა შორის, რომლის მორალი სრულიად გარკვეულია, ესაა ასკეტიზმის უარყოფა ჰუმანიზმის სახელით. ასევე აღნიშნავს, რომ ილიამ, როგორც მხატვარმა, განსაკუთრებით სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი ნაწერებით გაითქვა სახელი. მკვლევარი შენიშნავს, რომ ეროვნული ვინაობის დამცველად „მგზავრის წილებში“ ილიას გამოყვანილი ჰყავს უბრალო მოხვევა, რომელიც თავისი აზროვნებითა და მეტყველებით ისტორიული წარსულისაა. სახელდობრ, დამოუკიდებელი საქართველოს ნიადაგზე დგას. 1936 წლით დათარიღებულ წერილში „ქართლი კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“ გ. ქიქოძე ასკვნის: „რუსთველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა ნაციონალური კარნაკტილობისაგან, მან ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცობრიობის დიდ დეურ მოძრაობას დაუკავშირა. მხოლოდ რუსთაველის დროს ყველაზე მოწინავე წინა აზიის და ბიზანტიის კულტურა იყო. ილიას დროს კი დასავლეთ-ევროპის კულტურა“ (გ. ქიქოძე). გ. ქიქოძისეული თვალთახედვა ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ დღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია.

Geronti Kikodze About Ilia Chavchavadze’s Literary Heritage Eka Vardoshvili

Before we speak of Geronti Kikodze’s evaluations about I. Chavchavadze, we would like to note that G. Kikodze was a highly educated person; he studied in Leipzig and Berlin. He was familiar with antiquity, Greek and medieval cultures. During his scientific researches he relied on thoughts of Western European writers and philosophers. He was a brilliant translator, a critic and a theorist of literature.

He speaks of Ilia Chavchavadze’s personality and works in his following letters and essays: “For the portrait of Ilia Chavchavadze”, “The Georgian Cultural Traditions and Ilia Chavchavadze”,

Ilia Chavchavadze”, “Sense of the tragic in Georgian poetry”, “Poetry and Reality”, “From the History of Georgian Literature of 19th century”. G. Kikodze’s following provisions about Ilia Chavchavadze are significant: Ilia democratized literary genres and types. He considered Ilia to be the first Georgian writer who based his poetry on the closest reality of his homeland. Besides, Kikodze considers the majority of Ilia’s patriotic poems as a set of series for he believes they develop a common subject. He considered “The Hermit” as the most abstract creation among the Ilia’s works, the moral of which is completely clear, which is a rejection of asceticism in the name of humanistic ideals. He also notes that Ilia as an artist became famous especially through his writings on social issues. The researcher notices that Ilia lets a common Mokheve be a defender of national identity in “The Traveler’s Letters”, who with his thinking and speech is from the historical past. Namely, he stands on the ground of independent Georgia. In a letter dated by 1936 “Kartli, traditions of culture and Ilia Chavchavadze” G. Kikodze concludes: “Like Rustveli Ilia Chavchavadze freed Georgian Literature from national seclusion, he united healthy traditions of Georgian culture with a great ideological movement of advanced mankind. Only in the times of Rustaveli, the cultures of Asia and Byzantium were most advanced, but in Ilia’s times – it was the culture of Western Europe”. G. Kikodze’s viewpoint on I. Chavchavadze’s literary heritage is still immensely relevant and important even today.

სუსტი რწმენის ტრაგედია ია გრიგალაშვილი

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა შორის ძალიან პოპულარული იყო სოლომონ რაზმაძის პოლიტიკური ხასიათის არაკი „დათვი და ცხვარი“. მოხუცი ცხვარი, რომელიც მდინარის პირას ბინადრობს, შეწუხებულია ნადირთა თავდასხმებით. საშეკლად მიმართავს დათვს, რომელიც აფთარს უგზავნის ნადირთა ჯარით. მალე გარდაიცვლება მოხუცი ცხვარი. აფთარი ჯარს უბრძანებს საბრალო ცხერის ცოლ-შვილს შემოერტყნენ და გადაასახლონ. ჭაობიან ადგილას დასახლებული ბატკნები დათვს საყვედურობენ, რადგან, მართალია მგელი განდევნეს დათვის დახმარებით, მაგრამ თვითონ აღმოჩნდნენ დატყვევებულები.

სოლომონ რაზმაძის არაკის მიხედვით დათვი როგორც კი დაინახავს დასუსტებულ ბატონებს, მტაცებლურ ბუნებას მაშინვე ავლენს. მოხუცი ცხვრის სახეში მკითხველი ხედავს ერეკლე მეორეს, რომელმაც ნდობა გამოუცხადა რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფალთ, რაც საბოლოოდ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა.

წმინდა ილია მართლის პოემის „განდევილის“ მიხედვით ჭექა-ქუხილი და საშინელი სეტყვა მოუსწრებს მყინვარის სილამაზის ცქერით გართულ მწყემს ქალს, რომელიც მონასტერს მიაშურებს. განდევილი შეიფარებს მას. განდევილის გარეგნული ქრისტიანული ქცევები: გამუდმებული ლოცვა, ხორცის დათრგუნვაში თავის დაჯერება, ლოცვანზე მზის სხივის დაჭერა ლოცვისას ვერ ფარავს მის ვნებიან ბუნებას. მას ხორციელი ლტოლვა უნდება ლამაზი ახალგაზრდა ქალის მიმართ. ბერს შეადრწუნებს საკუთარი ფიქრები და განწყობა, ლოცვანზე აღარ მოხდება მზის სხივის დაჭერა. განდევილი იღუპება. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნულია, რომ როცა წმინდა ილია მართალმა „განდევილი“ დაწერა, 1883 წელს, სულ რამდენიმე ბერი თუ იქნებოდა საქართველოში. მაშასადამე, ილია ჭავჭავაძე ვერ იქნებოდა ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის წინააღმდეგი.

ვფიქრობთ, წმინდა ილია მართალს კარგად ესმოდა რა სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დაკავშირებას ერთმორწმუნე რუსეთთან. თუმცა კარგად ხედავდა, რომ მოკავშირე ქვეყნის ხელმძღვანელებს არ აღმოაჩნდათ მტკიცე ქრისტიანული რწმენა, რათა მოკავშირეობის მოსურნე ქართველებისათვის ერთგულებით ეპასუხათ.

შეიძლება გულწრფელი, უშუალო მწყემსი ქალის სახეში ვიგულისხმოთ მოკავშირეობის მძებნელი ქართველობა, რომელნიც ერთმორწმუნე რუსეთის მეთაურების მხრიდან ქრისტიანული რწმენის სისუსტეს წააწყდნენ. განდევილი რწმენის სისუსტის გამო იღუპება. შესაძლოა, წმინდა ილია მართლის კრიტიკა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მძაფრია და უკომპრომისო.

The Tragedy of Weak Faith

Ia Grigalashvili

The Political tale "A Bear and a Sheep" by Solomon Razmadze was very popular among the conspirators at the time of 1832 conspiracy. An old sheep lived near the riverside. He was worried about a possibility of being attacked by beasts. He asked a bear to help him. The bear sent a hyena with the army of beasts. The old sheep died. The hyena ordered the army to occupy the sheep family. They exiled the sheep family on a marshy place. The annoyed lambs said to the bear: you've helped us, a wolf disappeared but we are arrested now. According to the tale by Solomon Razmadze readers can see the bear as a metaphorical image of Russia. In the image of the old sheep they might see Erekle II, who trusted Russia, but in the end the country lost its independence.

In the poem "The Hermit" by Ilia Chavchavadze we can see the same motif. The Hermit prayed all the time, he was sure that he defeated his passions. The beam of the sun was always on the prayer book during the hermit's prayers. Beautiful shepherdess asked him to help her and the hermit was defeated by his passion. So he lost the battle and died. The Georgian literary critic noted: when Ilia wrote "The Hermit" in 1883, there were only a few hermits in Georgia. So, Ilia was not against the institution of monasticism.

I suppose Ilia knew that Russia played a very important role in the social-political life of Georgia. But the government of Russia didn't have a real Christian belief. The Georgians who wanted to find faithful ally were deceived. Their faith at that time was very weak. In the image of shepherdess we can see the Georgians who understood that the government of Russia had a weak belief at that time. The Hermit died because of his weak belief. Presumably, St. Ilia's criticism and predictions are very sharp and uncompromising.

პირადი ბედნიერება კოსტას მარინისის „კლიტემისტრას“ მიხედვით მაია კილაძე

მოსხენებაში განხილულია ესქილეს „აგამემნონი“-ს ახალბერძნული რეცეფცია, კოსტას მარინისის „კლიტემისტრა“.

თანამედროვე ავტორი უგულებელყოფს ყველა იმ მოტივს, რომლის საფუძველზეც ანტიკური ტრაგედიის მკვლევარები კლიტემნესტრასა და აგამემნონის კონფლიქტს განიხილავდნენ როგორც გენდერულ დაპირისპირებას (მდედრობითი ღირებულებები /მამრობითი ღირებულებები, მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლა მმართველობითვის, ძველი და ახალი საზოგადოებრივი წყობილების დაპირისპირება), ოჯახი/საზოგადოება, ოიკოსი/პოლისი.

ახალბერძნული პიესის მთავარი ოპოზიცია პირადი ინტერესი და საზოგადოების წინაშე აღებული/დაკისრებული მოვალეობებია. აგამემნონი, ეგისტოსი და ქსენი (კლიტემნესტრას მეგობარი) მიიჩნევენ, რომ მთავარია ადამიანის პირადი ბედნიერება, მისი პირადი სურვილი (საკმარისია, რომ ამით სხვას არ მიაყენოს ზიანი).

კლიტემნესტრას მყარად სწამს, რომ მთავარია საზოგადოების წინაშე აღებული მოვალეობების პირნათლად შესრულება და კანონიერი ქმრის ერთგულება საკუთარ უპირველეს მოვალეობად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გაათხოვეს და უადრესად უჭირს საკუთარ სურვილებთან გამკლავება - თავის პირველ და ერთადერთ სიყვარულთან, ეგისტოსთან ურთიერთობაზე უარის თქმა.

მის ამ პოზიციას ამყარებენ მამა და ძიძა, რომლებიც შესაძლოა, მოძალადე საზოგადოებად განვიხილოთ, რადგან ადამიანის პირად სივრცეში იჭრებიან და კარნახობენ მას, როგორ იცხოვროს.

ქსენი და აგამემნონი ურთიერთობას ამყარებენ იმ ადამიანებთან, ვინც მათ მოსწონთ, უყვართ და სურთ. ეგისტოსს მიაჩნია, რომ კლიტემნესტრა თვითონ ირთულებს ცხოვრებას და მასაც ტყუილად ტანჯავს.

ათწლიანი ომიდან დაბრუნებული აგამემნონი პირადი ბედნიერების მოტივით კანონიერ ცოლს კასანდრათი ანაცვლებს. კლიტემნესტრა ცდილობს, დაიბრუნოს საკუთარი შვილების მამა. როდესაც რწმუნდება, რომ მისი მოლოდინი ამაო იყო, იგი არ პატიობს აგამემნონს, რომ მისი მიზეზით თქვა უარი პირად ბედნიერებაზე, რაც საბოლოოდ არც დაუფასდა.

მარინისტან არაა გენდერული დაპირისპირება, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, ე. ხასაპი-ხრისტოდულუ).

თანამედროვე ბერძნულ პიესაში თანაბარი მოვალეობები ეკისრება ქალსაც და მამაკაცსაც.

თუკი ამოსავალ წერტილად პირად ბედნიერებას ჩავთვლით, აგამემნონი არაფერს აშავებს, პირიქით, იგი კასანდრასთან ურთიერთობით ათავისუფლებს ყოფილ ცოლს საზოგადოების წინაშე აღებული მოვალეობებისგან, გზას უხსნის კლიტემისტრასა და ეგისტოსის სიყვარულს ანუ მათ ბედნიერებას, რაზეც კლიტემისტრა თავად ამბობს უარს.

ხოლო თუკი მოქმედ გმირებს საზოგადოების წინაშე დაკისრებული მოვალეობის კუთხით განვიხილავთ, მაშინ აგამემნონი ამორალური და მოღალატე ქმარია, კლიტემისტრა კი - მორალისა და ოჯახური სიწმინდის დამცველი და ამასთანავე, ჩაგრული ცოლი, რომელიც მოძალადეს კლავს.

Personal Happiness According to *Clytemistra* by Kostas Marinis Maya Kiladze

The essay discusses the Modern Greek interpretation of Aeschylus' *Agamemnon*, the *Clytemistra* by Kostas Marinis. In the modern Greek play all motives of the ancient tragedy's conflict are ignored: struggle for power between Matriarchate and Patriarchate, feminine/male values, old/new social orders, family/society, oikos/polis and sets the new opposition - personal interest against the duties one has before the society.

Agamemnon, Aegisthus and Xeni (friend of Clytemistra) consider personal happiness/will to be the most important. Clytemistra believes, that the most important thing is fair fulfilment of duties and considers her number one duty to be faithful to her legal husband, in spite of the fact, that she married him by force and it is extremely hard for her to struggle with her own desires – to refuse relationship with Aegisthus.

Her attitude is supported by her father and nurse, who might be considered as an oppressor society invading into one's personal life and dictating her how to live.

Agamemnon, who chooses personal happiness, replaces his legal wife with Cassandra. Clytemistra tries to regain the father of her children. When she is convinced that her expectations

were aimless, she cannot forgive Agamemnon that she sacrificed her personal happiness for his sake without being properly rewarded.

In Marini's play there is no gender conflict, men and women have equal duties. If we consider personal happiness as the main point, there is nothing to blame Agamemnon for; on the contrary, his relationship with Cassandra releases his ex-wife from her societal responsibilities and gives way to Clytemestra and Aegisthus' love, their happiness, which Clytemestra refuses.

If looking at the characters in light of their duties, Agamemnon is an immoral adulterer, while Clytemestra is a defender of morality and family. At the same time she is an oppressed wife, who kills the oppressor.

უპატოსი – კონსული VI-VII საუკუნეების საქართველოში ღერი თავადე

უპატოსი – კონსული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო რომის რესპუბლიკაში. უპატოსი რომაული კონსულის ბერძნული შესატყვისია. მოგვიანებით, ბიზანტიის ეპოქაში ჩამოყალიბდა ჩვეულებრივი კონსულის, ყოფილი კონსულის და საპატიო კონსულის ტიტულები. საქართველოში უპატოსის ტიტულის დადასტურების კუთხით მნიშვნელოვანია მცხეთის ჯვრის ეკლესიის ქართული ასომთავრული წარწერები. აღნიშნული წარწერების მიხედვით, ქართლის საერისმთავროში ორი უპატოსის ტიტულის მფლობელია დადასტურებული, დემეტრე და ადარნერსე, ორივე მათგანი სტეფანოზ I ქართლის ერისმთავრის ოჯახის წევრებია, რომელიც წარწერის მიხედვით ქართლის პატრიკოსია. ქართულ ისტორიოგრაფიაში სტეფანოზის მიერ პატრიკოსობის მიღება, ხოლო ადარნერსესა და დემეტრეს მიერ უპატოსის ტიტულის ფლობა იმით არის ახსნილი, რომ სტეფანოზი, როგორც ერისმთავარი რანგით უფრო მაღალ, პატრიკოსის ტიტულს იღებს, ხოლო მისი ოჯახის წევრები, უფროსი შვილი და ძმა, დაბალი რანგის, უპატოსის წოდებას. ბიზანტიური საისტორიო მასალებიდან ჩანს, რომ ეს ორივე

ტიტული თანაბარი მდგომარეობისაა და ილუსტრისის რანგშია აყვანილი. თუმცა იმპერატორების მიერ კონსულის, იგივე უპატოსის ტიტულის ფლობა მას განსაკუთრებულ და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტიტულად აქცევს ბიზანტიის თანამეგობრობაში. ის, რომ საქართველოში პატრიკოსობა უპატოსზე მაღალი არ არის იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ადარნერსე მამის, სტეფანოზ I-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლის პატრიკოსობას იღებს და კვლავინდებურად ინარჩუნებს უპატოსის ტიტულსაც. ადარნერსე სომეხ მემკვიდრესთან სამი საპატიო ტიტულის მფლობელად არის დასახელებული. აქედან ორის იდენტიფიკაცია ხერხდება: უპატოსი და პატრიკოსი. სტეფანოზის დაფიქსირება ქართლის პატრიკოსად და არა უბრალოდ პატრიკოსად ჩათვლილია ბიზანტიის იმპერატორის მიერ მის აღიარებად ქვეყნის მეთაურად. ქართლის პატრიკოსი ამ შემთხვევაში ქართლის ერისმთავრის ბადალია. ამ კუთხით ქართველების თვალში თითქოს პატრიკოსი უფრო დაფასებულია, ვიდრე უპატოსი, თუმცა სრულიად ბიზანტიური ოიკუმენეს ფარგლებში სიტუაცია განსხვავებულია. უპატოსი, ანუ ჩვეულებრივი კონსული პატრიკოსზე, იგივე პატრიციუსზე მაღალია თავისი მდგომარეობით. თუმცა საქართველოში უპატოსობა საპატიო კონსულობის სახით იყო გაცემული. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ისინი ერთმანეთის მიმართ იერარქიულობას არ მოიაზრებენ. ქართლის ერისმთავარი ერთდროულად შეიძლება ყოფილიყო, როგორც პატრიკოსი, ასევე უპატოსი. ადარნერსეს მაგალითი ამისი დასტურია. არ გამოვრიცხავთ არც სტეფანოზ I-ის უპატოსობას.

Hypatos – Consul in Georgia in the 6-7th cc.

Leri Tavadze

Hypatos – Consul was one of the most important office in the Roman Republic. Hypatos (ὑπάτος) is the Greek word for the Roman consul. Later, titles of ordinary cosul, excosul and honorary consul were created. For the testimony of the title of hypatos in Georgia asomtavruli inscriptions of Jvari monastery at Mtskheta is very important. According to these inscriptions two persons with the title of hypatos are attested, Demetre and Adarnerseh, both are the members of the family of erismtavari of Kartli, Stephanos I, who bears the title of patrikios of Kartli according to

the same inscriptions. In Georgian historiography it was thought that Stephanos as a ruler was assigned with superior title (patrikios) and his family members the lesser honors (hypatos) respectively. But according to the Byzantine materials both of those titles were of the same position and were elevated in the rank of Illustris. But the possession of the title of hypatos (cosul) by the Emperors of Byzantium makes this title one of the most prestigious in the whole Byzantine commonwealth. The fact that patrikios is not higher than hypatos in Georgia is vivid from the titlature of Adarnerseh after the death of his father, Stephanos, then he possessed three honorific titles from Byzantine Emperor. Armenian historian names him as an owner of three titles from Emperor. Two from those three are easy to identify, those are: hypatos and patrikios. Ordinary consul was higher title than patrikios, but in Georgia the title of hypatos was used as a honorary consul. No hierarchy existed between them in the Georgian political reality. Erismtavari of Kartli could had been hypatos and patrikios at the same time. We do not exclude the possibility that Stephanos himself had a title of hypatos alongside with patrikios.

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ოლთისი ბონდო კუპატაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროექტმა „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეები“ მოიპოვა რუსთაველის ფონდის გრანტი. 2014 წელს განხორციელდა 2 ექსპედიცია: კოლა-არტაანი-ერუშეთი-ჩილდირი-ფოცხოვის პროვინციებში (ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის არდაჰანის ვილაიეთი) და ტაოში (ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ოლთისის, ოლურის, შენკაიას, ნარმანის რაიონები). ექსპედიციების შედეგად მომზადდა 60-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობის (ციხე-ქალაქი, ციხე, კოშკი) არქიტექტურული გეგმა, პანორამული ფოტო და რეკონსტრუქცია, ისტორიული აღწერილობა.

ეს მოხსენება შეეხება ტაოს რეგიონის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს, ციხე-ქალაქ ოლთისს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ციხე-ქალაქი ოლთისი დაარსებულია X ს-ის მეორე ნახევარში ტაოს მეფის დავით III კურაპალატის (966-1001) მიერ.

ოლთისი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა 1019-1021, 1124-1130 და 1170-1246 წლებში; ბიზანტიის მმართველობას ემორჩილებოდა 1001-1019, 1021-1076 წლებში; თურქ-სელჩუკები აქ ბატონობდნენ 1076-1124 და XII ს. 30-60-იან წლებში. 1246 წლიდან ოლთისს სამცხის სამთავროს მმართველი ჯაყელები აკონტროლებდნენ. XVI ს. 30-იან წწ-ში ჯაყელთა დინასტიაში არსებული დაპირისპირებით ისარგებლა ოსმალეთმა და 1548 წლიდან ოლთისი დაიკავა.

ოლთისი ისევ რჩებოდა სამცხის ათაბაგის რეზიდენციად. ამასიის ზავის (1555) შემდგომ ოლთისის სანჯაყი ოსმალეთის იმპერიის არზრუმის ვილაიეთის შემადგენლობაშია. 1579 წლიდან ოლთისის სანჯაყი ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთის შემადგენლობაშია. 1871 წელს, ოლთისი არდაგანსა და არტანუჯთან ერთად არზრუმის ვილაიეთის შემადგენლობაში შევიდა. 1878-1917 წლებში ქ. ოლთისი რუსეთის იმპერიის კავკასიის მხარის ყარსის ოლქის ოლთისის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრია. 1921 წლიდან კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

Medieval Town Oltisi (Oltu Castle)

Bondo Kupatadze

The Institute of Georgian History at Iv. Javakhishvili Tbilisi State University has launched the project “Georgian fortresses of Tao-Klarjeti” supported by the Shota Rustaveli National Science Foundation. In 2014 the project members organized 2 scientific expeditions in the historical regions of Kola, Artaani, Erusheti, potskhovi, Chrdili (present day: Ardahan Province in Turkey) and Tao (present day: Oltu, Olur, Senkaya, Narman districts in Turkey). The outcomes of the expeditions include about 60 architectural plans and reconstructions for fortifications (towns, fortresses and castles), 3D photos and a historical research.

The paper reviews the history of the medieval town Oltisi (the political centre of Tao). In the author's opinion the medieval town Oltisi was built in the second half of the 10th century by the king of Tao David III Kuropalates (966-1001). Oltisi was part of the Georgian Kingdom in 1019-1021, 1124-1130 and 1170-1246 years; under the rule of the Byzantium in 1001-1019 and 1021-1076; under the rule of the Turk-Seljuk empire in 1076-1124 and about 1130-1170. From 1246 to 1548 Oltisi was part of Samtskhe-Saatabago principality ruled by Jaqeli dynasty. After the Treaty of Amasya was signed between the Ottoman and Safavid empires in 1555, Oltisi became a sanjak in the province of Erzurum. In 1579-1871 Oltisi (oltu) was a sanjak in the province (Eyalet) of Childir (Akhhaltsikhe). In 1878-1917 Town Oltisi was the administrative centre of Oltisi Okrug in the Russian empire. From 1921 to present Oltu (historical Town Oltisi) is part of Turkey.

ცივილიზაციური კვალი შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურაში მამუკა წურწუშია

საქართველოსა და ცივილიზაციის ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) საქართველოში დასასახლებლად ჩრდილოეთიდან მოიწვია ცივილიზაციები. ეს ურთიერთობები საკმაოდ ინტენსიური იყო როგორც მთელი XII საუკუნის მანძილზე, ასევე შემდგომ ხანაშიც.

მიუხედავად ამისა, დღემდე მიჩნეული იყო, რომ ცივილიზაციებმა მცირე კვალი (ეთნოგრაფიული, ტოპონომიკური, არქეოლოგიური და სხვ.) დატოვეს საქართველოს ისტორიაში. ქართულ ენაში ძალიან ცოტაა ცივილიზაციური ნასესხობებიც. ამ ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამატებითი მონაცემების მოძიებას საკვლევ თემასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელი გახდა სამხედრო ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებისა და მატერიალური

კულტურის ნიმუშების შესწავლის შემდეგ. XII საუკუნის ქართულ იკონოგრაფიულ მასალაში სხვათაგან განსხვავებული, რამდენიმე არატიპური მუზარადის გამოყოფა შეიძლება. მათი უეცარი, ჩამოყალიბებული სახით გამოჩენა ეჭვს არ ტოვებს უცხოეთიდან იმპორტის შესახებ. რიგ შემთხვევებში მოხერხდა ზოგიერთი ასეთი მუზარადის წარმომავლობის დადგენა და იმის ვარაუდი, რომ ისინი საქართველოში ყივჩაღთა წყალობით მოხვდა. ყივჩაღთა კვალს ვხედავთ XIV საუკუნის გველეთის ფრესკაზეც, სადაც წმინდა მხედარის აღჭურვა მომთაბარე ყივჩაღისათვის დამახასიათებელი შეიარაღების კომპლექსით, მათ დიდ ავტორიტეტზე უნდა მიუთითებდეს.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ XII-XIV საუკუნეების საქართველოში შესაძლებელია ყივჩაღური კვალის გამოვლენა მებრძოლის აღჭურვილობის ისეთ მნიშვნელოვან და რეპრეზენტაციულ ელემენტზე, როგორცაა მუზარადი. ყივჩაღები, რომელთა მთელი ურდო ჩამოსახლდა საქართველოში XII საუკუნის დასაწყისში და რომლებთანაც კავშირი ყოველთვის მჭიდრო იყო მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც, წარმოდგენდნენ ერთ-ერთ იმ სოციუმს, რომელთა მეშვეობითაც კავკასიონის ქედის მიღმა არსებული სამხედრო-ტექნიკური მიღწევები მის სამხრეთითაც აღწევდა. ყივჩაღებს ჰქონდათ წვდომა ჩრდილოეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან, რომელთა ნაწარმს ისინი აქტიურად იყენებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რომ ყოველი ახალი და უცხო ნიმუში მათ შეიარაღებაში შესაბამის ინტერესს გამოიწვევდა ქართულ სამხედრო წრეებში და რიგ შემთხვევაში, ადგილობრივ მინაბაძეებსაც შთაბერავდა სულს.

Qipchaq Trace in the Medieval Georgian Material Culture Mamuka Tsurtsunia

The relationship between Georgia and the Qipchaqs started at the beginning of the 12th century when David IV invited them to settle in Georgia. These relationships were quite intensive in the 12th century as well as in later periods. Nevertheless, it was believed until now that the Qipchaqs left only an insignificant trace (ethnographic, toponymic, archaeological, etc.) in the history of

Georgia. There are also only a few borrowings traced in the Georgian language from the Qipchaq (Turkish) language.

Against this background it is especially significant to obtain additional data related to the subject of the study which was made possible by employing methods of military history on the one hand and exploration of the samples of the material culture on the other. In the 12th century Georgian iconography it is possible to single out several new types of helmets whose unexpected appearance in a well-established shape provides substantial material to suppose that they were imported from abroad. In several cases it was even possible to establish the origin of such helmets and assume that they were introduced to Georgia by the Qipchaqs. In addition, the Qipchaq trace is seen on the mural fresco in Gveleti church (14th c.) on which the St. Warrior equipped with the weapons typical of a nomadic Qipchaq points to the great authority the latter possessed at that time.

Based on these findings it is quite feasible to conclude that in Georgia of the 12th-14th centuries the Qipchaq trace is visible in such an important and representative element of armament as a helmet. The Qipchaqs had access to big manufacturing centres of North and actively employed their products. Obviously, each new sample in their armament would arouse corresponding interest in Georgian military circles and, in many cases, would motivate local craftsmen to imitate them in their productions.

**XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში
მოჭრილი მონეტების მიმოხილვა
(ქართული ნუმისმატიკის ინგლისურ-
ქართული ონლაინ-კატალოგის
პრეზენტაცია)
თედო დუნდუა, აპოლონ თაბუაშვილი, ალექსანდრე
ბოშიშვილი**

მოსვენებაში წამოდგენილია ქართული ნუმისმატიკური ძეგლების ორი
ჯგუფი – 1. XVII-XVIII საუკუნეების საოკუპაციო მონეტები და 2. ქართველ

მეფეთა მონეტები XVIII საუკუნეში. მათი მიმოხილვის ფონზე წარმოდგენილი იქნება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შექმნილი ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი.

მოსხენებაში განხილულია შემდეგი სამონეტო ტიპები/ქვეჯგუფები: ირანული საოკუპაციო მონეტები, ოსმალური საოკუპაციო მონეტები, ვახტანგ VI-ის სპილენძის მონეტები სამანძიანი ხომალდის გამოსახულებით, სიმონის სპილენძის მონეტები ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულებით, ბაქარის სპილენძის მონეტები ფარშევანგის გამოსახულებით, თეიმურაზ II-ის სპილენძის მონეტები ლომის გამოსახულებით, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები შვეარდენის გამოსახულებით, ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები ბაგრატიონთა საგვარეულო გერბით, ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები თევზის გამოსახულებით, ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები ორთავიანი არწივის გამოსახულებით, ერეკლე II-ის სპილენძის მონეტები ერთთავიანი არწივის გამოსახულებით, ერეკლე II-ის ოქროს მონეტები ერთთავიანი არწივის გამოსახულებით, გიორგი XII-ის სპილენძის მონეტები თევზის გამოსახულებით, დავით ბატონიშვილის სპილენძის მონეტები ფარშევანგის გამოსახულებით, ერეკლე II-ის სირმა-ვერცხლი.

General Review of the 17th-18th Centuries Coins Struck in Georgia (Presentation of “Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics”)

Tedo Dundua, Apolon Tabuashvili, Alexandre Boshishvili

General review of the 17th-18th centuries coins struck in Georgia is presented here together with “Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics”. They are as follows: Iranian occupation coins, Ottoman occupation coins, copper coins of Vakhtang VI with the effigy of threemasted ship, copper coins of Simon with the effigy of dragon, copper coins of Bakar with

the effigy of peacock, copper coins of Teimuraz II with the effigy of lion, copper coins of Teimuraz II and Erekle II with the effigy of falcon, copper coins of Erekle II with the effigy of Bagrationi coat of arms, copper coins of Erekle II with the effigy of fish, copper coins of Erekle II with the effigy of double-headed eagle, copper coins of Erekle II with the effigy of eagle, gold coins of Erekle II with the effigy of eagle, copper coins of Giorgi XII with the effigy of fish, copper coins of prince David with the effigy of peacock, Sirma vertskhli of Erekle II.

არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ დimitრი შველიძე

XX საუკუნის დასაწყისში, პრესაში მიმდინარეობდა კამათი ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე, ერთ-ერთი პირველი ინტელექტუალი იყო, რომელმაც დაიწყო ერის პრობლემების მეცნიერული შესწავლა საქართველოში.

ჯორჯაძემ ერის წარმოქმნის ევოლუცია მჭიდროდ დაუკავშირა სახელმწიფოს მიერ ქართული კუთხეების გაერთიანების პროცესს. მასთან ინტენსიურ პოლემიკას აწარმოებდა ქართველი მარქსისტების ლიდერი ნოე ჟორდანიას. ჯორჯაძეს სხვა მარქსისტებიც აკრიტიკებდნენ. ისინი ეკონომიკურ ფაქტორებს აძლევდნენ გადამწყვეტ უპირატესობას.

შემდგომში, ჟორდანიას, მახარაძის, სტალინისა და სხვების თვალსაზრისი გაიზიარა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ა. ჯორჯაძის კონცეფცია მიივიწყეს.

Archil Jorjadze about the Origins of the Georgian Nation Dimitri Shvelidze

In the beginning of the twentieth century, in the Georgian press there was an argument about the origins of the Georgian nation.

A well-known political figure Archil Jorjadze, was one of the first intellectuals, who began to study the nation's problems in Georgia. Jorjadze closely linked the evolution of the nation to the process of unification of the Georgian regions in his works. He was regularly criticized by the leader of the Georgian Marxists Noe Zhordania as well as by other Marxists who gave priority to economic factors.

Afterwards, the views of Zhordania, Makharadze, Stalin and others were shared by Soviet Historians and A. Jorjadze's concepts were forgotten.

პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია მიხეილ ბახტაძე

ირაკლი ცაგურიამ დაამთავრა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი (სავარაუდოდ 1915 წელს). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მსახურობდა კავკასიის მე-2 სამთო-საარტილერიო ბატარეაში. 1917 წლის ივლისში, პეტროგრადში მივლინებით ყოფნის დროს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების ამბოხების ჩახშობაში. ამ დროს ის შტაბს-კაპიტანია. 1917 წელსვე დაჯილდოვდა მე-4 ხარისხის გიორგის ჯვრით. 1918 წლიდან ქართული სახელმწიფოს სამსახურშია. მონაწილეობს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ბათუმთან მომხდარ შეტაკებაში დაიჭრა კიდევ. 1918 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ცაგურია უკვე სომხეთთან ომში იღებს მონაწილეობას, სადაც სამთო-ცხენოსანი ბატარეის უფროსი იყო. გამოავლინა შენაერთის ხელმძღვანელობის უნარი და საოცარი პირადი ვაჟაკობა. 22 დეკემბერს ალყის გარღვევისას პირადად წარუძღვა შენაერთს შეტევაზე და მიუხედავად მიღებული ჭრილობებისა შეძლო ვედანაყოფის სამშვიდობოს გამოყვანა.

1921 წელს მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს ომში. თავი გამოიჩინა თბილისის დაცვისათვის მიმდინარე ბრძოლების დროს. 24 თებერვალს საკუთარი ინიციატივით კონტრშეტევა განახორციელ საბჭოთა მე-18 საკავალერიო დივიზიაზე, რომელიც თავისი მანევრით ქართული პოზიციების შემოვლასა გეგმავდა. შეტევისას ცაგურია მძიმედ დაიჭრა, თუმცა მისმა მანევრმა წითელი კავალერიის შეტევა შეაჩერა და საბჭოთა სარდლობის გეგმა ჩაშალა. თავად

ირაკლი ცაგურია თვლიდა, რომ შესაძლო იყო ამ მომენტის გამოყენება და რუსებისთვის სერიოზული ზიანის მიყენება. რა მოხდებოდა ქართული სარდლობა რომ უფრო ენერგიული და გამბედავი ყოფილიყო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია და დიდ ანალიზს მოითხოვს, რაც ამჟამად ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს. ერთი რამ კი ცხადია, თბილისთან 18-24 თებერვლის ბრძოლების დროს ქართული სარდლობა ფაქტობრივად არ იყენებდა კავალერიას. ეს კი სერიოზული შეცდომა იყო.

ირაკლი ცაგურია საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წავიდა და დარჩა სამშობლოში. მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებაში. საბჭოთა ხელისუფლება ეძებდ, ცდილობდა დაეპატიმრებინა თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. იყო 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. აჯანყების თავდაპირველი გეგმის თანახმად ევალებოდა ვაზიანის ბაზის აღება, ქვემეხების ხელში ჩაეგდება და შემდეგ თბილისზე იერიშის განხორციელება. სამწუხაროდ, იმ დროს არსებულ ვითარებაში და იმ ძალების გათვალისწინებით, რომელიც პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას ჰყავდა ვაზიანის ბაზის დაკავება შეუძლებელი იყო.

აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა ბელგიაში ქალაქ ბრიუსელში. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრაციაში გამომავალ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. გარდაიცვალა 1969 წლის 15 ნოემბერს.

Colonel Irakli Tsaguria

Mikheil Bakhtadze

Irakli Tsaguria graduated from the Artillery School. He participated in the World War I, fought in the Caucasus frontline, served in the Caucasus II Mountain Artillery Battery; in July, 1917 while being on a secondment in Petrograd he took part in the battle against Bolsheviks insurgency, at that time he took the post of a staff-captain; in 1917 he was awarded the George Cross of the Fourth Degree.

He served in Georgian state service from 1918. I.Tsaguria took part in the fight against The Ottomans; he was wounded in the attack near Batumi. In December, 1918 Colonel Tsaguria already takes part in the war with Armenia where he takes the post of the commander of the

Mountain-Mounted Battery; in the capacity of the mentioned position he revealed the skill of the unit leadership and excellent personal courage; on December 22 he led the unit in the attack and despite the wounds, managed to break the siege.

In 1921 he participated in Russian-Georgian war; he distinguished himself in the fight for the defense of Tbilisi; on February 24 with his own initiative he organized the counterattack against Soviet divisions which planned to bypass Georgian positions. I. Tsaguria was seriously wounded during the attack though his maneuvers stopped the Red Cavalry attacks and foiled the plan of the Soviet Command. What would happen if the Georgian leadership had been more energetic and courageous? It seems difficult to answer this question, but one thing is obvious: during the fights in Tbilisi Georgian Command factually did not use the cavalry and this was a serious mistake.

After the occupation of Georgia Irakli Tsaguria stayed in his motherland; he participated in preparation of anti-Soviet uprising; he was one of the leaders of the rebellion in 1924. According to the initial plan of the rebellion he had to take over Vaziani base as well as he was responsible for the capture of anti-aircraft guns and organization of the attack to Tbilisi. Unfortunately by that time, taking into consideration the forces Colonel Irakli Tsaguria had it was impossible to occupy Vaziani base. After the failure of the rebellion he emigrated. Irakli Tsaguria lived in Belgium. He died in 1969.

თუკიდიდეს "ისტორია" და თანამედროვეობა ანა ჟორჟოლიანი

დაახლოებით 25 საუკუნე გვაშორებს თუკიდიდე ათენელის მიერ აღწერილი ისტორიული მოვლენებისაგან, რომელსაც პელოპონესის ომი უწოდა და როგორც თავად ახსენებს, ომის აღწერა იმიტომ დაიწყო, რომ მალევე მიხვდა ეს ომი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირშესანიშნავი იმათაგან, რაც კი აქამდე მომხდარა.

საინტერესოა, რომ პირველად ბერძნული ორიგინალიდან ეს ტექსტი მხოლოდ 1478 წელს ითარგმნა, თუმცა თუკიდიდესადმი ინტერესი ევროპული რენესანსისა და თანამედროვე სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე დაიწყო. სწორედ მას შემდეგ თუკიდიდე გახდა არაერთი მოაზროვნის შთაგონების საგანი, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისათვის, ისევე როგორც მეცნიერთათვის. თანამედროვე სამყაროში თითქმის არც ერთი შეიარაღებული კონფლიქტი არ გაიაზრება ისე, რომ რაიმე სახით არ იყოს დაკავშირებული თუკიდიდეს ნაშრომთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა დავასახელოთ თუკიდიდეს გავლენა ამერიკის თანამედროვე სტრატეგიულ აზროვნებაზე. 1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი მიუბრუნდა თუკიდიდეს იმისათვის, რომ წვდომოდა ცივი ომის წარმოშობის მიზეზებს. „მე სერიოზულად ვეჭვობდი“ აცხადებდა ჯორჯ მარშალი „რომელი კაცი შეძლებს განსაჯოს სრული კეთილგონიერებით და ღრმა რწმენით თანამედროვე ძირითადი და უცვლელი, მარადიული საკითხები, თუკი სულ მცირე თავში არ გაიაზრებს მაინც პელოპონესის ომის პერიოდს და ათენის დაცემას. 1970 წლიდან აშშ-ს სამხედრო-საზღვაო კოლეჯის კურიკულუმში მნიშვნელოვან ავტორად იქნა შეტანილი თუკიდიდე, ხოლო მოგვიანებით თუკიდიდე სისტემატიურად ისწავლებოდა და დღესაც ისწავლება საშუალო სკოლებში სტრატეგიის თანამედროვე თეორეტიკოსებთან ერთად.

მოგვიანებით თუკიდიდეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მკვლევარი ლეო სტრაუსი თავის ცნობილ წიგნში „ქალაქი და ადამიანი“ წერდა, რომ „პელოპონესის ომი ეს არის ის იშვიათი შემთხვევა, რომელიც ყველა დროის ომის ბუნებასა და ხასიათს სრულებით ააშკარავებს და თვალსაჩინოს ხდის“. კლიფორდ ორვინი მას უწოდებს პოლიტიკურ სახელმძღვანელოს: „პოლიტიკის შესახებ სხვადასხვა ნაშრომის ავტორთა შორის, არავინ ისე ახლოს არ მდგარა მოქალაქისა და სახელმწიფო მოღვაწის სამყაროსთან, როგორც თუკიდიდე“. რიჩარდ ნედ ლებოუ, რომელიც მუშაობს თუკიდიდეს როლზე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კუთხით, წერს, რომ ეს ავტორი არის „პირველი მწერალი, რომელიც აანალიზებს ომის წარმოშობის მიზეზებს, სიძლიერის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის

ურთიერთმიმართების მნიშვნელობას და იმ პროცესებს, რომლებიც შლიან სამოქალაქო და ინტერნაციონალურ წესრიგს და იმის შესახებ, თუ რა არის შესაძლებელი რომ გაკეთდეს მათ აღსადგენად“. თუკიდიდე აქტუალურია დღესაც, XXI საუკუნის კონტექსტში, თუმცა ჩნდება კითხვები: რატომ არის ასე?! რა განაპირობებს, იმას, რომ „პელოპონესის ომი“ გახდა ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო ომის პრობლემებისა და სტრატეგიის შესწავლის საკითხში. ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემასაც უფრო ვრცლად შევეცდებით.

Thucydides' History and Contemporaneity

Ana Zhorzholiani

Approximately 25 centuries have passed since the Greek historian Thucydides composed his famous *History of the Peloponnesian War*. Although well known among scholars, the text was not translated from the Greek original until 1478. Contemporary interest in Thucydides dates to the European Renaissance and the emergence of the modern state system. Ever since, Thucydides has been a source of inspiration for the policymakers as well as scholars. In our time no armed conflict anywhere in the world is fought to a conclusion without some attempt to use his work as a vehicle for interpretation.

Thucydides' influence has been manifested in modern American strategic thought. In 1947 U.S. Secretary of state George Marshall turned to Thucydides to fathom the emerging Cold War: “I doubt seriously, whether a man can think with full wisdom and with deep conviction regarding certain basic issues today, who has not at least reviewed in his mind the period of the Peloponnesian War and fall of Athens”. Since 1970 Thucydides became a central point in the U.S. Naval War College curriculum. Leo Strauss represents Thucydides' text as a reflection on war as such: “The Peloponnesian war is that singular event which reveals fully, in an unsurpassable manner, for all times, the nature of war”. Clifford Orwin sees it as a political primer: “of all writers on politics, none stays closer than Thucydides to the world of citizen and statesmen”. Richard Ned Lebow concentrates on Thucydides contributions to international relations theory, as “the first writer to analyze the origin of war, the role of power in international

relations, the relationship between domestic and foreign politics, the process by which civil and international orders unravel and what might be done to restore them”.

სასანიდური ირანი გვიან ანტიკურ ხანაში სტრატეგია გლობალური იმპერიის შესაქმნელად ემილ ავდალიანი

დღეისათვის ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ რომის იმპერია გვიან ანტიკურ პერიოდში (ახ. წ. IV-VII სს.) სასანიდურ ირანზე უფრო მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა. თავდაცვითი ხაზები რაინისა და დუნაის გასწვრივ, საფორტიფიკაციო ნაგებობები აღმოსავლეთ საზღვარზე და ეს ყველაფერი გამაგრებული საჯარისო შენაერთებით მეტყველებს იმაზე, რომ რომაელებში იმპერიის თავდაცვის გრძელვადიანი სტრატეგიები არსებობდა. დღემდე არაფერი ითქმის იმაზე, თუ როგორ იცავდნენ თავს სასანიდები. გააჩნდათ თუ არა მათ გრძელვადიანი პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების მიმართ და რა თავდაცვით ღონისძიებებს მიმართავდნენ საზღვრების დასაცავად. სტატიაში ნაჩვენებია იქნება, რომ სასანიდები არ ჩამოუვარდებოდნენ რომაელებს, როგორც საჯარისო შენაერთების რაოდენობით, ასევე თავდაცვითი ბარიერების აგებაში. ხოლო, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმპერიის ნებისმიერ შაჰინშაჰს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს მის იმპერიას მახლობელ აღმოსავლეთში.

Sasanian Iran in Late Antiquity: Strategy for the Creation of the Global Empire

Emil Avdaliani

It has been endlessly suggested by the scholars of the Roman history that the Roman Empire in late antiquity (AD. IV-VII cc.) represented a much stronger force than the Sasanian state located in its East. Indeed, defensive lines along the Rhine and Danube rivers, the fortified buildings at the border with Iran and all that was reinforced by the state army, indicates that the Romans had a long-term political vision of their neighborhood. Did the Sasanians possess the same vision and which defensive strategies did they employ? It will be shown that the Iranians had almost the same number of troops, They built up much stronger defensive lines along their borders, and what is more important, any shahanshah of the Sasanian dynasty had a clear understanding of what the strategic interests of his empire were. This leads to the conclusion that the Sasanians of late antiquity were no less powerful than their Roman counterparts.

ევროპელი მისიონერები იაპონიაში XVI საუკუნის მეორე ნახევარში ნანა გელაშვილი

იაპონიის კონტაქტები დასავლურ სამყაროსთან XVI საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. პირველი ევროპელები პორტუგალიელი ვაჭრები იყვნენ (1542 წ.), მათ კვალდაკვალ კი კათოლიკე მისიონერებიც გამოჩნდნენ. ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი იაპონიაში იყო იეზუიტური ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი - ფრანცისკ ქსავიე, რომელიც 1549 წლის აგვისტოში ქ. კაგოშიმაში (იაპონიის სამხრეთ კუნძულის -კიუშუს სატახტო ქალაქი) ჩავიდა, მისიონერთ მცირე ჯგუფის თანხლებით. ადგილობრივი ხელისუფლებისგან ნებართვის მიღების შემდეგ, მან აქტიური სამისიონერო საქმიანობა გააჩაღა (ქადაგება, მოსახლეობის მონათვლა, ქრისტიანობის აგიტაცია-პროპაგანდა და ა.შ.). დროის მცირე მონაკვეთში ქრისტიანობამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი

მრეველი გაიჩინა იაპონიაში, სადაც საუკუნეთა მანძილზე გაბატონებულიყო შინტოიზმი და ბუდიზმი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივი და ფსიქოლოგიური ბარიერი დასავლურ და აღმოსავლურ მენტალობას შორის იმდენად დიდი იყო, რომ იაპონელებს ქრისტიანობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა უყალიბდებოდათ.

ახალი სარწმუნოების წარმატებით გავრცელებას იაპონიაში სხვადასხვა ფაქტორი უწყობდა ხელს. ამ კუთხით ერთ-ერთი უმთავრეს გარემოებას წარმოადგენდა ხელისუფლების მხარდაჭერა მისიონერთა საქმიანობის მიმართ, რაც განპირობებული იყო კონკრეტული მიზნებითა და მოტივაციით. კერძოდ, რამდენადაც დასავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მეტად მომგებიანი იყო იაპონიისათვის, ხელისუფლება გარკვეულ დრომდე შემწყნარებლობას იჩენდა მისიონერთა მიმართაც. მეტნაკლებად ტოლერანტულმა დამოკიდებულებამ ევროპელთა მიმართ XVI საუკუნის 90-იან წლებამდე გასტანა, რის შემდეგაც სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა პოზიტიურიდან ნეგატიურისკენ. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მისიონერთა გავლენის არეალი სულ უფრო ფართოვდებოდა, მათი მოღვაწეობა უკვე რელიგიურ სფეროს სცილდებოდა, ისინი აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ყოველივე ამის გამო, 1597 წელს გამოცემული საგანგებო ედიქტის თანახმად, ქრისტიანობა იაპონიაში კანონგარეშედ გამოცხადდა, რასაც სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. ხაზგასასმელია, რომ ქრისტიანობის დევნა განპირობებული იყო არა იმდენად რელიგიური დოგმატიკის გამო, რამდენადაც გლობალურად ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და იდეოლოგიური ერთიანობის დაკარგვის საფრთხით. აღნიშნულმა პროცესებმა კიდევ უფრო ფართო მასშტაბები XVII საუკუნიდან მიიღო, რაც განხილვის ცალკე თემას წარმოადგენს.

European Missionaries in Japan at the Second Half of the 16th Century

Nana Gelashvili

Japan's contacts with the western world started in the middle of the 16th century. The first Europeans in Japan were Portuguese merchants (1542year), soon after them appeared Catholic Missionaries. First preacher of Christianity was Francis Xavier, one of the founders of “Order of the Jesuits” in 1549 with accompany of small group arrived in Kagoshima (Capital of South island - Kyushu). After achieving permission from local powers he started missionary activities (preaching, christening, propaganda of Christianity). In a short time in Japan, where Buddhism and Shinto have ruled during the centuries, Christianity made quite numerous parishes, but lingual and psychological barrier between Western and Eastern mentality was so big that Japanese were forming dim idea about Christianity.

Spreading of new religion in Japan was successfully assisted with different factors. From this point of view the main circumstance was support of missionaries from Japanese government. It was conditioned with concrete aims and motivation. As far as trade - economical relations with West were profitable; the authority of Japan was patient towards missionaries until the certain time. Tolerant dependence towards Europeans lasted until the 90-ies of the 16th century, after that situation changed from positive to negative. The reason was that influence of missionaries increased and passed through religious frames, they were interfering in domestic politics of country, and all this made threat for central authorities. According to special edict in 1597, Christianity in Japan announced as outlaw, which was followed by brutal repressions. It should be noted that the pursuit of Christianity was not conditioned as much by religious dogma as by threat of losing country's political independence and ideological unity. Designated process got more extensive from the 16th century, which is another discussion theme.

**ჯეისონ ბეტზინგი – „მე ვიბრძოდი
ჯერონიმოსთან ერთად“
(აპაჩი ინდიელის მემუარების
წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა)
მიხეილ ბარნოვი**

მოსხენებაში განხილულია აპაჩი ინდიელის, ჯეისონ ბეტზინეზის წიგნის- „მე ვიბრძოდი ჯერონიმოსთან ერთად“ წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. აღნიშნული მემუარები ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის ტომის ისტორიის საკვანძო მნიშვნელობის მოვლენების აპაჩების პერსპექტივიდან ანალიზისთვის. მოსხენების მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ აღნიშნული წიგნის უპირატესი მნიშვნელობა ჯერონიმოს პიროვნების აპაჩების პერსპექტივიდან კვლევისთვის.

Jason Betzinez-“I Fought with Geronimo” (Source-Study Importance of Apache Indians’ Memories) Mikheil Barnovi

The paper will discuss the source-study importance of Jason Betzinez's -"I Fought with Geronimo". This book is the autobiography of an Apache Indian who has been part of Apache wars and was very close to Geronimo during 1880s as well as in reservation. This book demonstrates personal knowledge and experience so it is one of the best source materials for constructing an Apache perspective of Geronimo.

სამოქალაქო ომის დაწყება ესპანეთში და საფრანგეთის მთავრობის პოზიცია (1936 წლის 18- 25 ივლისი) ზაალ გოგენია

საფრანგეთი დიდ როლს თამაშობდა ესპანეთის სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაციის საქმეში. 1936 წლის ივლისში საფრანგეთის „სახალხო ფრონტის“ მთავრობა არჩევანის წინაშე იდგა: ან გაეგზავნა იარაღი ესპანეთის

რესპუბლიკისთვის, ან მოეთხოვა ჩაურევლობის მკაცრად დაცვა. ლეონ ბლუმის გადაწყვეტილება არ ჩარეულიყო ესპანეთის კონფლიქტში კარგად არის შესწავლილი, გამოთქმულია უამრავი ვარაუდი, მაგრამ მოვლენები, რომელიც წინ უძღოდა ამ გადაწყვეტილების მიღებას, ჯერაც წარმოადგენს ახრთა სხვადასხვაობის საგანს.

სამხედრო ამბოხების დაწყებისთანავე ესპანეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ხირალმა გაუგზავნა სასწრაფო დეპეშა თავის ფრანგ კოლეგას ლეონ ბლუმს, სადაც ითხოვდა დახმარებას. 22 ივლისს ბლუმმა გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა თხოვნა, მაგრამ უკვე 25 ივლისს მან თავის დაპირებაზე უარი თქვა.

ორმა მოვლენამ აიძულა ბლუმი შეეცვალა თავისი პირვანდელი პოზიცია:

1. ლონდონში ვიზიტი,
2. სენატის და მემარჯვენე პრესის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია.

23-24 ივლისს ლონდონში ვიზიტის მიზეზი არ ყოფილა ესპანეთის კრიზისი, მაგრამ ნათელია ეს იქნებოდა დისკუსიის მთავარი საგანი. ბლუმმა აღმოაჩინა, რომ ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება მისი პოზიციისგან მკვეთრად განსხვავებული იყო. სათანადო ლიტერატურის შესწავლის შემდეგ შეიძლება დაეასკვნათ:

1. ბრიტანეთის მთავრობის პოზიციას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბლუმის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ არა გადამწყვეტი.
2. გერმანიასთან ომის შიში არ თამაშობდა დიდ როლს ბლუმის გადაწყვეტილებაში. გერმანიის „გადაიარაღება“ ჯერ ადრეულ ეტაპზე იყო.
3. გარისკვის შიშმა ხელი შეუშალა ბლუმს, მტკიცე პოზიცია დაეკავებინა ესპანეთის რესპუბლიკის დახმარებასთან დაკავშირებით.
4. საფრანგეთის კაბინეტი გახლენილი იყო. მაშინ როცა ორი გავლენიანი რადიკალი მინისტრი- დალადიე (თავდაცვის მინისტრი) და დელბოსი (საგარეო საქმეთა მინისტრი) წარმოადგენდნენ ჩაურევლობის პოლიტიკის სიმბოლოს და მთავარ დამცველებს, სამართლიანია ითქვას, რომ ესპანეთის საქმეებში რადიკალური პარტია ობსტრუქციულ ძალას წარმოადგენდა.

The Beginning of the Spanish Civil War and the Attitude of the French Government (18-25 July 1936)

Zaal Gogenia

France was the prime agent in the internationalization of the Spanish civil war. In July 1936 the French „Front Populaire” government had a choice: to send arms to Spanish republic or insist on strict observance of non-intervention.

The decision of Leon Blum not to intervene in the Spanish conflict is one which has given rise to numerous explanations, but hitherto the events which led to that decision have been the subject of considerable controversy.

Following the military rebellion Spanish Prime Minister Giral sent an urgent request to his French counterpart Leon Blum for assistance in the form of military supplies. On 22 July Blum was determined to send support, but on 25 he reneged on his promise.

Two events caused the changes in Blum’s attitude:

1. His visit to London and
2. The negative reaction of the senate and the right wing press.

The visit to London on 23-24 July was not motivated by the crisis in Spain, but obviously this was a principal subject of discussion. Blum discovered that British government attitude was opposed to Blum’s policy. After exploring the relevant literature it becomes clear that:

1. Attitude of the British government had considerable influence upon Blums decision, but not decisive.
2. Fear of war with Germany played little part in Blum’s decision. German rearmament was still at an early stage..
3. Blum’s fear of taking risks prevented him from taking a strong stance in support of the Spanish Republic.
4. French Cabinet was itself divided. When two most influential radical ministers, Daladier (Minister of Defence) and Delbos (Minister of Foreign Affairs) became the symbols

and defenders of non-intervention it is justifiable to say that in the Spanish affair the Radical party exercised an invincible force of obstruction.

ნაციონალ-სოციალისტური ქალთა ორგანიზაციები მესამე რაიხში

ფატიმა შეყლაშვილი

ნაციონალ-სოციალისტებს ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის წლებში მოუხდათ ზრუნვა ახალგაზრდა ქალების საკითხზე, რათა სხვადასხვა სახის ქალთა ორგანიზაციები მოექციათ ერთ ნიშაში და მოეხდინათ მათი ინტეგრირება გერმანიის ახალ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სისტემაში.

ნაციისტური იდეოლოგია უკომპრომისო მოწინააღმდეგე იყო ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის და ფართო პროფესიული განათლების მიცემის. მათ გამოდევნეს ქალი სახალხო სფეროდან და შემოუსაზღვრეს ე.წ. ქალური „სასიცოცხლო სივრცე“.

პოლიტიკურ ასპექტში ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა ემსახურებოდა მიზანს, ჩამოეშორებინათ და გაენეიტრალებინათ ისინი პოლიტიკისგან, მათზე ხორციელდებოდა მუდმივი ზედამხედველობა, მკაცრად რეგლამენტირებული დღის წესრიგი, შრომითი ბანაკების წინასწარ დაგეგმილი იზოლაცია, სუბორდინაცია და უნიფორმა ახალგაზრდა ქალებს უსპობდა საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლენის შესაძლებლობას.

1935 წ. ქალთა მოძრაობის უნიფიკაცია დასრულდა და დაიწყო ნაციისტ ქალთა კონსოლიდაციის პროცესი. შეიქმნა ქალთა ნაც.სოც. ორგანიზაციების ფართოდ განტოტვილი აპარატი, მაგრამ მრავალრიცხოვნობის მიუხედავად დამოუკიდებელი მნიშვნელობა და პოლიტიკური გავლენა არ ჰქონდათ. პარადოქსია, მაგრამ მათი წევრების უმეტესობა პარტიის წევრიც არ იყო.

ქალთა ყველაზე მასობრივი და გავლენიანი ორგანიზაციები იყვნენ: „გერმანელი ქალიშვილების კავშირი“ („BDM“), „ქალთა ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაცია“ („NSF“), „ახალგაზრდა ქალთა საიმპერიო შრომის სამსახური“

(“RAD”), „გერმანელ ქალთა კავშირი“ (“DFB”), „ქალთა გერმანული ორდენი“ (“DFO”). „ნაცისტ გოგონათა და ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კორპუსი“, „ნაც. სოციალისტ გერმანელ ქალთა კავშირი“ (“NSDFB”). ყველა მათგანს ჰქონდა ცალ-ცალკე ფინანსები და მმართველობის ორგანოები. ქალთა ორგანიზაციებს ჰყავდა 32, საოლქო ორგანიზაციების 725, ადგილობრივი ორგანიზაციების - 22 593 და საცხოვრებელი სახლების გაერთიანებებისგან შემდგარი ბლოკების 223 024 ხელმძღვანელი ქალი. ისინი იდეოლოგიურად ამუშავებდნენ არა მარტო გერმანიის, არამედ ევროპის ოკუპირებული ტერიტორიების ქალებსაც. ჰქონდა სპეციალური საკადრო სკოლები, გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ. ნაცისტურ ორგანიზაციებში გერმანელ გოგონებს იზიდავდა შესაძლებლობა – გადაეღახათ სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ დადგენილი გენდერული საზღვრები, მიეღოთ განათლება და გაეკეთებინათ პროფესიული კარიერა.

მესამე რაიხი არ იყო ცალსახად „მამაკაცების სახელმწიფო“ და ვერ ასცდა მოდერნიზაციის პროცესებს, მეორე მსოფლიო ომის დროს ქალთა შრომის ორგანიზაცია, საერთოდაც, იქცა საკადრო რეზერვუარად, რომელმაც შეცვალა მამაკაცი სამხედრო მრეწველობაში, შემდეგ კი შეიარაღებულ ძალებშიც. ქალთა და ქალიშვილთა ორგანიზაციების ძალისხმევით ნაცისტურმა დიქტატურამ მილიონობით ქალის მხარდაჭერა მიიღო, რომელნიც არა მარტო მხარს უჭერდნენ ნაცისტურ რეჟიმს, არამედ მათი დანაშაულების უშუალო მონაწილენიც იყვნენ.

The Nationalist Socialist Women’s Organizations in the Third Reich

Fatima Sheklashvili

The Nationalist Socialists were concerned with the problem of young women even in the years of the Weimar Republic. They aimed at grouping different female organizations into the same recess and allowed their integration into the new political and administrative system of Germany.

The Nazi ideology was uncompromisingly hostile towards the female involvement in political life and a professional education of women. They excluded women from public sphere and allocated for them the boundaries of so called 'living space'.

The presence of women's organizations in political aspect served but one goal – They were to be abolished and marginalized from political arena. Constantly supervision, strictly regimented agenda, preplanned isolation of working camps, subordination and uniform undermined the women's chance of expressing their individual identity.

Unification of women's movement ended in 1935 and it marked the beginning of the consolidation process of the Nazi women. Multiple organizations of Nazi Socialist women were created with widely subdivided apparatus, but in spite of multiplicity they did not have an independent meaning or political power. It is a paradox that the majority of their members were not even the members of the leading party.

The most active and powerful mass organizations were: "The League of German Girls (BDM - Bund deutscher Maedel)", "The Nationalis Socialist Women's League (FSN: Nationalsozialistische Frauenschaft)", "the Women's Imperial Service League, (RAD)", "The League of German Women (DFB)", "German Women's Order (DFO)", "The League of the Leaders of the Organizations of Nazi Girls and Women"... All of them were in possession of independent funds and managerial bodies. The women's organizations had in leadership 32 women in managerial bodies, 725 at regional organizations, 22 593 at local organizations, and 223 024 at social housing unions. They were manipulating ideologically German women as well as the women living in other European territories. They had special schools for human resources both within and outside Germany.

German girls were attracted to Nazi organizations by a particular opportunity – to pass the gender limits set by the State and by society, to obtain education and build their own professional career.

Therefore, the Third Reich was not entirely a "Male State" and it could not escape the processes of modernization. The Women's service movement in general turned into a human resources reservoir, which replaced a man with a woman in military industry and later in military forces. The Nazi dictatorship attracted millions of women through the organizations of women and girls, who not only supported the Nazi regime but were also involved in its criminal activities.

სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები გვიან ანტიკური პერიოდის რომის იმპერიაში მარია მშივლიძე

ნაშრომში განხილულია რომის სახელმწიფო წყობის რელიგიური ასპექტები III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში და იმპერატორთა როლი ქვეყნის რელიგიური საკითხების წარმოებაში. პერიოდში როდესაც ერთი მხრივ, რომის რელიგიური პანთეონი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, მეორე მხრივ, მთავარ სახელმწიფო ღვთაებად მითრა იყო გამოცხადებული და იმავდროულად, სახეზეა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გადაქცევის წინაპირობები.

დიოკლეტიანედან მოყოლებული რომში საფუძველი ეყრება მმართველობის ახალ ფორმას დომინატს, როდესაც მიმდინარეობდა პოლიტიკური და იდეოლოგიური აპარატის ერთ ხელში მოქცევა და ქვეყნის მმართველების მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება ამა თუ იმ, მათ შორის რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. დიოკლეტიანეს გადაწყვეტილი ჰქონდა რომის ძველი დიდების აღდგენა, რის ნათელ დადასტურებად მის მიერ გატარებული სახელმწიფო რეფორმები შეგვიძლია ჩავთვალოთ. დიოკლეტიანეს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი სახელმწიფო ერთიანი რელიგიის გარეშე შეუძლებელი იყო.

ბუნებით კონსერვატორი იმპერატორი აქცენტს რომის უძველეს წარმართულ ღვთაებებზე აკეთებს. ებრძვის რომისათვის მიუღებელ ორ რელიგიას - მანიქველოზასა და ქრისტიანობას და მათი მიმდევრების წინააღმდეგ ედიქტებს გამოსცემს. დიოკლეტიანეს პოლიტიკას აგრძელებს გალერიუსიც. თუმცა კი გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, 311 წლის 30 აპრილს აქვეყნებს ქრისტიანების მიმართ ტოლერანტულ ედიქტს.

IV საუკუნის განმავლობაში ისტორიულ ასპარეზზე გამოდის მთელი პლესადა პოლიტიკოსებისა, კულტურისა და რელიგიური მოღვაწეებისა,

რომლებიც მომავალი ქრისტიანული ცივილიზაციის საყრდენად შეიძლება ჩაითვალოს. IV საუკუნეში რომმა იცის როგორც ქრისტიანობის ერთგული, ისე განდგომილი იმპერატორები. შეიძლება ითქვას, კონსტანტინე დიდიდან იწყება რომის იმპერიის „ქრისტიანული პერიოდი“. სწორედ კონსტანტინეს პოლიტიკის შედეგად ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთში ცეზაროპაპიზმს, რის ნათელ გამოვლინებასაც წარმოადგენს თეოდოსი I -ის მოღვაწეობა. მისი მმართველობა ემთხვევა რომის პოლიტიკური ცხოვრების დიდი გარდაქმნების პერიოდს. იმპერიაში გავრცელებულია ადრეული ქრისტიანობის ყველაზე დიდი ერესი - არიანელობა. აღნიშნულ შემთხვევაშიც ქვეყნის რელიგიური ორიენტაციის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი იმპერატორს ეკისრება. 380 წელს მძიმედ ავადმყოფი თეოდოსი ინათლება მართმადიდებლური წესით. გამოჯანმრთელების შემდეგ, 381 წელს კონსტანტინოპოლში მოიწვია II მსოფლიო კრება, რომელიც არიანელობაზე გამარჯვებისა და მართმადიდებლური რწმენის სიმბოლოების საბოლოოდ ჩამოყალიბების თარიღად არის მიჩნეული. იმპერატორმა კრების გადაწყვეტილება დაამტკიცა და მთელი რიგი კანონები გამოსცა, რომელიც მიმართული იყო იმპერიაში ორთოდოქსალური ქრისტიანობის განმტკიცებისაკენ. თეოდოსი I-ის დროს ქრისტიანობა რომის იმპერიაში საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც გამარჯვებული, გაბატონებული რელიგია.

Religious Aspects of State Structure in the Roman Empire of Late Antiquity

Marika Mshvildadze

In work are discussed religious aspects of state structures of Roman Empire at the end of the 3rd and in the 4th cc and also there is given a narrative about the emperor's personal interference in religious problems. This is the period when the religious pantheon of Rome was distinguished with its special variety; secondly, Mithra was announced as the main deity of the state and at the same time there were attempts of making Christianity a state religion.

Rome entered a new phase of governing known as Dominate since the reign of Diocletian. The rulers were finding individual solutions to various questions including religious problems.

Diocletian had decided to recover the old glory of Rome. His reforms evidence his multiple attempts. He knew well that having a strong state was impossible without a united religion. The conservative emperor with a strong character focused on ancient gentile deities. He was fighting against two religions: Manichaeism and Christianity that were persecuted in Roman Empire and the edicts against their followers were constantly issued. Galerius continued the Diocletian's politics, though one week earlier before his death on the 30th of April in 311 AD he published an edict of toleration for Christians.

During the 4th century on the historic field appears the whole generation of politicians, cultural workers and religious state men who might be considered as a support of future Christian civilization. Christianity in the 4th century Rome saw numerous devotees as well as traitor Emperors.

It might be said that the "Christian period" of Rome begins from Constantine the Great. Exactly on account of his politics was based Cesaropapism in the East that displayed the reign of Theodosius the 1st. His authority coincides with the great political transformations of Rome. Arianism - the biggest heresy of early Christianity spread in the Empire. In such a situation the Emperor was obliged to carry out religious duties as well. In 380 AD Theodosius was baptized by Christian rules while being seriously sick. After his recovery in 381 he invited the Second Church Council in Constantinople. This date is celebrated as a victory over Arianism and also stands as a symbol of Christian faith.

Emperor affirmed the decision of the council and adopted the laws that aimed at strengthening the Christian faith in the Empire. During the reign of Theodosius the 1st Christianity was finally settled with triumph as the dominant religion.

ზოგნიმური წარმოშობის ტოპონიმები „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქეთევან ქუთათელაძე

ტოპონიმები მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, რომელიც აღარ მოიპოვება წერილობით წყაროებში და ზეპირ გადმოცემებშიც მივიწყებულია.

ხშირად, ტოპონიმებში დაცული ინფორმაცია უფრო ძველია, ვიდრე წერილობითი წყაროს ცნობა. განსაკუთრებით საინტერესოა, ზოონიმები – ცხოველთა სახელებთან დაკავშირებული სახელწოდებები. ზოონიმები შეიცავენ ინფორმაციას ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი და გავრცელებული ცხოველთა სამყაროს შესახებ, აგრეთვე მათ გავლენას და გამოყენებას სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კუთხით.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ზოონიმებში დაფიქსირებულია როგორც გარეული, ასევე, შინაური ძუძუმწოვარი ცხოველები, აგრეთვე, მტაცებელი და ჩვეულებრივი ფრინველები, თევზები. გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ზოონიმებში დაფიქსირებულია ცხოველთა გარეგნული თვისების (მაგ.: ჭერემ-ვეჯინი), მათი გავრცელების არეალის შესახებ. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ზოონიმი ისეთ რეგიონშია აღმოცენებული, რომელიც შესაბამისი ცხოველისათვის ბუნებრივი გარემოა.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაფიქსირებულ ზოონიმებში ხშირია ისეთი ცხოველების და ფრინველების სახელები, რომლებიც შემორჩენილია ქართულ მითოლოგიურ სამყაროში. ხშირად ისინი ღვთაების ზომორფულ სახეს, ან თანმხლებ, წმინდა და სამსხვერპლო ცხოველს წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, ბევრი ფრინველი სანადიროდ გამოიყენებოდა, ზოგიერთი ცხოველი კი ნადირობის ობიექტი იყო. ზოონიმები ხშირად მთის, უღელტეხილის, გადასასვლელის („კარი“), ხევის, ციხის სახელწოდებებს ედება საფუძვლად.

ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ რედაქციების გარდა მასალა ამოღებულია ვახუშტი ბაგრატიონის უკვდავი ნაშრომიდანაც, რომელიც გარდა იმისა, რომ ადასტურებს მანამდე არსებულ ტექსტებში შემორჩენილ ზოონიმებს, ასევე, სხვებსაც წარმოაჩენს, რომლებიც არ არის შემორჩენილი ზემოაღნიშნულ რედაქციებში.

არსებული მასალიდან გამოიკვეთა შემდეგი ზოონიმები: არწივანი, გავაზი, ყორანთა/ყორნისი/ყორნის ხევი, ორბის ციხე/ ორბეთი/ორბეთის ძირი/ორბნისი (ურბნისი), ძერანა/ძერნა, ქორიანი, საბუე, ფოცხოვი – ფოცხუ (ჭარი/ჭარო – ს.ს. ორბელიანის ცნობით, ქორის მსგავსი ფრინველია, წყლიდან იტაცებს თევზს),

ჩხიკუთა, ჭივჭავი, კალმახის ციხე, კაპოეტის ციხე, კამბეჩანი/კამბეჩოვანი/კამბეჩის ვაკენი, საცხენისი (მთა და ხევი), ცხენის ტერფი (შდრ. ვირისტერფა), ცხენის წყალი, ცხურისის ხევი, საღორის მთა, ღორისთავი, ძაღლის ხევი, ნუკრიანი, ნაჯახურევი/ნაჯახურევის მთა, საკურდღლია, კვერნაქი, მგელციხე, მგლის კარი, ფოცხვერიანის ხევი.

ზოგიერთი ტოპონიმი უკავშირდება შინაურ ცხოველთა სადგომს, ან გარეულ ცხოველთა სანადირო არეალს. მაგ.: „ბოლი“/„ბოლნისები“ (ბოლ/ბოლქვი ჩლიქოსნების პატარა შვილთა ჯოგის აღმნიშვნელი), „გარისი“, რომელიც გარეულს, ველურს ნიშნავს. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ნადირობას გარეულ ცხოველებზე (შდრ. გარეთხა-ქურციკი, შველი, ნიამორი, არჩვი, ჯახვი; გარიელი-ფრინველი).

Toponyms of Zoonymical Origin According to “Kartlis Tskhovreba”

Ketevan Kutateladze

The toponyms contain a lot of interesting information, which can't be found in written sources and are forgotten in spoken legends as well. Very often the information preserved in toponyms is older than the information presented by written sources. The zoonyms - the appellations connected with the names of animals are particularly interesting. Zoonyms contain information about the animal world living and spread along the countryside and their influence and usage in economic and domestic life.

“Kartlis Tskhovreba” describes some domestic animals and birds as wild. Besides, the zoonyms mentioned in “Kartlis Tskhovreba” contain information about the habits and habitats of animals. In many cases some zoonyms spring up in such regions, which produces a natural environment for certain animals.

Among the zoonyms mentioned in “Kartlis Tskhovreba” very often emerge the names of animals and birds, which are preserved in the world of Georgian mythology. Very often they represent the zoomorphical type of deity, or represent a sacred or a sacrificed animal. Therefore, some

animals and birds were the objects of hunting. Very often zoonyms were the basis of the names of a mountain, pass, ravine, strong hold.

Besides the old and new versions of “Kartlis Tskhovreba” being edited, the material is taken from Vakhushti`s undying work, which not only confirms the zoonyms preserved in the texts existed before, but shows others, which are not preserved throughout the above mentioned editing process.

Many zoonyms are distinguished in existing materials. Some toponyms are connected with the stall of domestic animals (“Boli/Bolnisi”), or with the hunting areal of wild animals (“Garisi”).

ლაზები ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე -XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში გოჩა ჯაფარიძე

მოსვენებაში განხილულია ლაზების როლი ეგვიპტის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII-XIX ს-ის 20-იან წლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორ ლაზს- აჰმედ ბეი ლაზ-ოღლისა და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის, რომელთაც მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ 1805 წლიდან ეგვიპტის გამგებლის მუჰამედ ალი ფაშას მმართველობის დროს.

The Lazians on the Military and the Political Arena of Egypt in the 18th Century and the 20s of the 19th Century

Gocha Japaridze

The paper will discuss the role of the Lazians in the military and political life of Egypt in 1730-1740s and in 1820s. Particular attention is drawn to the two famous Lazians - Ahmed Bey Laz-Ogli and Muhamed Bey Laz-Ogli, who held important positions during the reign of Muhamed Ali Pasha, the Governor of Egypt since 1805.

იოსებ დუბეცკის ჩანაწერები რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობების შესახებ დალი კანდელაკი

მე-19 საუკუნის რუსულ სამხედრო მემუარულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის თემას. ჟურნალის „რუსკაია სტარინა“ 1895 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა რუსი სამხედრო პირის იოსებ პეტრეს ძე დუბეცკის ჩანაწერები.

ი. დუბეცკი 1819 წელს ჩამოვიდა თბილისში. ის მსახურობდა 41-ე იეგერთა პოლკში. საქართველოში 7 წელი მსახურობდა სამხედრო, ხოლო 4,5 წელი - სამოქალაქო სამსახურში. ი. დუბეცკი აღნიშნავს, რომ საფუძვლიანად შეისწავლა ეს მხარე და და ხედავდა მმართველი სისტემის ყველა ნაკლს. ის თამამად აცხადებდა, რომ ეს შესანიშნავი და უმდიდრესი ქვეყანა უკეთეს ბედსა და მთავრობისგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. თუმცა, რუსეთის მდგომარეობიდან გამომდინარე, ზუსტად ვარაუდობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო უნდა გასულიყო, სანამ ის ევროპასავით კეთილმოწყობილი გახდებოდა. ავტორი აღწერს იმ მოვლენებს, რომელთა თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო, კერძოდ, 1820 წლის იმერეთის აჯანყების მოვლენებს, 1821 და 1824 წლების ექსპედიციებს აფხაზეთში; გამოთქვამს მოსაზრებებს აფხაზეთის

პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ი. დუბეტსკი 1825 წლის ნოემბრიდან 1826 წლის ოქტომბრის ჩათვლით კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა და ჩვენების წინააღმდეგ იბრძოდა.

რუსი სამხედრო პირის ჩანაწერები მნიშვნელოვანი მასალაა რეგიონში მიმდინარე პროცესების შესასწავლად. ნაწარმოებში ასახული კავკასიაში მიმდინარე მოვლენები მეტ-ნაკლებად პასუხობდა რუსული საზოგადოების კითხვებს - რა არის კავკასია, რატომ აწარმოებს რუსეთი ომს ამ რეგიონში და ა.შ.

Notes by Joseph Dubetsky on the Relationship Among the People of Russia and Caucasus

Dali Kandelaki

The theme of Caucasus has a significant place in the 19th century Russian military memoirs. The 4th issue of the journal "Russkaia Starina" published notes by Russian military Joseph Petrovich Dubetsky in 1895.

J. Dubetsky arrived in Georgia in 1819. He served in the 41st Egersky Regiment. He also spent seven years in military service in Georgia and four and a half years as a public figure. J. Dubetsky said that he had studied this country thoroughly and noticed all the faults of the ruling system. He declared that this remarkable and the richest country deserved a better fate and special attention from the government. However, taking the situation in Russia into consideration, he rightly assumed that it would take a long time, before Georgia's development stands up to the European standards. The author described the events that he witnessed himself and participated in. He particularly singles out the events of Imereti rebellion in 1820 and the expeditions to Abkhazia in 1821 and 1824. He expressed his opinion about the political situation in Abkhazia. From November 1825 to October 1826, J. Dubetsky was on the front line in the battle of Caucasus fighting against Chechnya.

The notes by the Russian military contain important data in studying the events taking place in the region. The described events taking place in Caucasus more or less answer the questions: what is Caucasus? Why does Russia take military actions in this region?, etc.

ვარლამ ჩერქეზიშვილი და დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფია მერაბ კალანდაძე

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ქართული ანარქიზმის აღიარებული თავკაცი, ვარლამ ჩერქეზიშვილი თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო პუბლიცისტი იყო. ამ კუთხით მის შემოქმედებას ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს თავისი დროის ერთ-ერთ განათლებულ პიროვნებასთან, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა არა მარტო საქართველოს ისტორია, არამედ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორია, კულტურა, სიტყვაკაზმული ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა. ის იყო არაჩვეულებრივად ერუდირებული პიროვნება. ამ ფონზე ერთგვარ სასიამოვნო სიურპრიზად გვევლინება მისი ჩახედულება დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის საკითხებში. ეს მის ტალანტს როგორც პუბლიცისტის, ჟურნალისტის, სულ სხვა რაკურსით წარმოგვიდგენს. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ამ თემაზე ყურადღების გამახვილება.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში ჩახედულ ჟურნალისტთან, პუბლიცისტთან. ეს მისი როგორც ჟურნალისტის, პუბლიცისტის, კიდევ ერთი ღირსებაა. განსაკუთრებით კარგად იცნობს XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიულ მეცნიერებას და მის მიღწევებს. ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ ნაწერებში ვხვდებით ისეთი ცნობილი ისტორიკოსების სახელებს, როგორებიც არიან: ლუი ბლანი, ჰენრი ბოკლი, ფრანსუა გიზო, ტომას კარლაილი, ჯონ სტიუარტ მილი, ჟიულ მიშლე, თოროლდ როჯერსი, იპოლიტ ტენი, გრაფი ალექსის დე ტოკვილი, ჯორჯ მაკოლი ტრეველიანე (უმფროსი). ამ ცნობილი ისტორიკოსების სახელით აპელირება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და ხაზს უსვამს დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიაში მის ჩახედულებას. ეს არ არის სახელების უბრალო

ჩამონათვალი. ის მათ სახელებზე აპელირებს იმ მიზნით, რათა გაამყაროს საკუთარი შეხედულებები ან რომელიმე თემასთან დაკავშირებით ეკამათოს მათ. ეს პოლემისტური მუხტი საინტერესოა და ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. ეს არ არის ამ ისტორიკოსების შეხედულებების აპოლოგეტური გადმოცემა. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის ამ ისტორიკოსების შემოქმედებას იცნობს არა ყურმოკვრით, ინფორმაციის დონეზე, არამედ წაკითხული აქვს მათი შრომები. ეს იყო საკითხისადმი სერიოზული მიდგომა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის დაინტერესება დასავლეთ ევროპის, კონკრეტულად კი XIX საუკუნის, ევროპული ისტორიული აზროვნების მიღწევებით, ვფიქრობთ, საყურადღებოა. ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ის აღნიშნულ საკითხში საკმაოდ ჩახედული ჩანდა და როგორც პუბლიცისტმა , ჟურნალისტმა, თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს მისი, როგორც პუბლიცისტის, ჟურნალისტის , კიდევ ერთი დამსახურება იყო და ამის გვერდის ავლა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნება.

ჩვენ ხელთ არსებული ეს და სხვა ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გადავკეთოთ ორი საინტერესო დასკვნა, რომელიც აბათილებს მარქსისტულ წარმოდენებს: 1. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინეს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა ხანაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში. ვ. ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ამ თემაზე აპელირება, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. 2. საქართველოში აღნიშნული თემატიკით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებს ისეთ სწორხაზოვან ხასიათს, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა პერიოდში და, ჩვენი აზრით, საინტერესო ევოლუცია განიცადა.

Varlam Cherkezishvili and the Historiography of Western Europe

Merab Kalandadze

Varlam Cherkezishvili, the famous Political activist, a highly acclaimed leader of the Georgian anarchists, was one of the greatest publicists of his own time – the side of him that the Georgian society was less aware of.

In the image of Varlam Cherkezishvili we see one of the most learned people of the time, who knew very well not only Georgian history, but also the history of Western Europe with its culture, literature, fine arts and music. He was an incredibly erudite person. It is worth to emphasize his special talent, with which he considered western historiography, culture and publishing.

Varlam Cherkezishvili was a journalist who was very well acquainted with the historiography of the 19th century Western Europe. This is another achievement of his as a publicist and a journalist. We encounter in his writing the names of famous western historians such as Louis Blanc, Henry Buckle, Francois Guizot, Thomas Carlyle, John Stuart Mill, Jules Michelet, Thorold Rogers, Hyppolite Taine, Alexis-Charles-Henri Clérel de Tocqueville, and George Macaulay Trevelyan (the elder). This is not a mere list of people or an apologetic message of their views. He studied their works fundamentally and then employed their views in order to construct discussions on various important topics. Varlam Cherkezishvili made an invaluable contribution to the popularization of western historiography in Georgia.

All information available to us lets us make an interesting conclusion, which discards the Marxist beliefs: 1. I think there is a reason to argue that the first symptoms of the interest to western historiography in Georgia emerged not in Soviet times but precisely in the second half of the 19th century and the beginning of the 20th the evidence of which we see in the work of Varlam Cherkezishvili. 2. The interest to the above mentioned theme in Georgia was not rigid, which the Soviets used to emphasize, but it underwent a serious and very interesting evolution.

ეთნიკური უმცირესობების შესახებ საქართველოში არსებული კანონების განხორციელება და მათი შესაბამისობა რეალობასთან (1918-1921) მანუჩარ გუნცაძე

საქართველოს ახალ ისტორიაში, საინტერესო მონაკვეთია პირველი რესპუბლიკის პერიოდში ეთნიკური უმცირესობებისადმი სახელმწიფოს მიდგომა. ამ თემასთან დაკავშირებით კვლევა აქამდეც მიმდინარეობდა, თუმცა არსებული ნაშრომები, მეტწილად ეხება საკანონმდებლო დონეზე არსებულ ფაქტებს და ამით ეთნიკური უმცირესობების უფლებების წარმოჩენას.

წინამდებარე კვლევა კი წარმოადგენს 1918-1921 წლებში, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, ეთნიკური უმცირესობებისადმი არსებული კანონების რეალობაში განხორციელებას და ასევე კანონების ანალიზს, თუ რამდენად არსებობდა იმ პერიოდის საქართველოში ისეთი კანონების მიღების საჭიროება, როგორებიც იყო მიღებული.

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ვეცნობით 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიღებულ სამართლებრივ აქტებს, თუ 1921 წლის კონსტიტუციას, გვექმნება იმის შთაბეჭდილება, რომ მიდგომა ეთნიკური უმცირესობებისადმი დემოკრატიული და ტოლერანტული იყო. მიუხედავად კანონების დემოკრატიული მხარისა, საჭიროა იმის განხილვა, რამდენად ხდებოდა პირველი, მათი გადმოტანა რეალურ ცხოვრებაში და მეორე, რამდენად იყო რეალურად ამ კანონების მიღების საჭიროება.

მსგავსი ანალიზის ჩატარებისთვის ფაქტები მრავლად მოიპოვება, თუმცა თეზისში ორ კონკრეტულ ფაქტს მოვიყვანოთ. 1918-1921 წლებში დაიწყო განათლების რეფორმა, რომელშიც ადგილი ეთმობოდა ეთნიკურ უმცირესობებთან დამოკიდებულებასაც. კერძოდ არსებობდა 306 სკოლა ეთნიკური უმცირესობებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა სპეციალური სტიპენდიები მათთვის და ასევე სწავლა მსგავს სკოლებში

პირველდაწყებით საფეხურზე უფასო იყო. მოსწავლეები სწავლას თავიანთ მშობლიურ ენაზე იწყებდნენ. ეს არის კარგი მაგალითი რამდენად სასარგებლო იყო რეალობაში განათლების კუთხით არსებული კანონები უმცირესობებთან მიმართებაში.

თუმცა გვაქვს კიდევ ერთი კანონი, რომლის საჭიროებაც ცოტა ორჭოფულ ხასიათს ატარებს. კერძოდ, პირველი რესპუბლიკის პერიოდში არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეეძლოთ გამოსულიყვნენ სიტყვით თავიანთ მშობლიურ ენაზე, თუ ის პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცოდა. ერთი შეხედვით ეს კანონი ტოლერანტულ ხასიათს.

ატარებდა, თუმცა კითხვა ისმება, რამდენად იქნებოდა ეს კანონი შედეგის მომტანი რეალურ ცხოვრებაში, სამუშაო პროცესის დროს? ალბათ ეს ერთ-ერთი იმ კანონს განეკუთვნება, რომელიც დემოკრატიულ ხასიათს ატარებს, თუმცა რეალური შედეგი ნაკლებად მოაქვს. საკვლევი პერიოდის თანადროულ პრესაში ასახულია ფაქტი, როდესაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთი წევრი უარს ამბობს მანდატზე იმის გამო, რომ მან არ იცის სახელმწიფო ენა და ვერ ახერხებს სამუშაო პროცესებში ჩართვას.

შესაბამისად პირველი რესპუბლიკის პერიოდში არსებული კანონები ეთნიკურ უმცირესობასთან მიმართებაში, ატარებდა დემოკრატიულ ხასიათს, თუმცა მათი მიღება და ცხოვრებაში გატარება ყოველთვის არ იყო მიზანშეწონილი.

Laws about Ethnic Minorities in Georgia and their Implementation and their Relevance to Reality (1918-1921)

Manuchar Guntsadze

The study focuses on the laws of ethnic minorities in the period of the First Republic of Georgia. In 1918, after the restoration of independence, the legal acts and constitution were democratic and tolerant. We will discuss the implementation of the laws in real life.

The education laws for ethnic minorities were fair and democratic and the need for it existed. In this period were 306 schools for ethnic minorities. Children in these schools were starting subjects to learn on their native language.

But there were such laws, the existence of which was only formal. So we will discuss these laws and judge them in the context of the need for minorities.

თანამედროვე კრიზისის დაძლევის „ახალი“ გზა – უნივერსალური სინთეზის მომავალი დემური ჯალაღონია

უძველესი დროიდან დღემდე გრძელდება ორ განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს შორის დისკურსი. ეს ორი სააზროვნო დისკურსი დასავლური კულტურის განვითარებას და არსებობას განაპირობებდა. არსებობს დაპირისპირება დასავლური კულტურის ამ ორ საყრდენს შორის. თანამედროვეობის მოაზროვნეები, ამ ეპოქას „თანამედროვეობის კრიზისს“ უწოდებენ.

თანამედროვეობის კრიზისის გასაცნობიერებლად და მისი დაძლევისათვის უნდა მოხდეს აზროვნების ორი კონცეპტის, ანტიკური აზროვნებისა და ბიბლიური რელიგიის, (იერუსალიმის და ათენის) რეაქტუალიზაცია და რეინტერპრეტაცია, რადგან ურთიერთდაპირისპირებული აზროვნების კონცეპტის გადაულახავი წინააღმდეგობის გააზრებამ უნდა გახსნას ფილოსოფიური, თეოლოგიური და პოლიტიკური დისკურსის ახალი პერსპექტივა.

ორი დაპირისპირებული პოლუსის შერიგება ისტორიულად ვერ ხერხდებოდა. საკაცობრიო კულტურის მომავალი მათ დამოუკიდებელ განვითარებაში უნდა ვეძებოთ. მთავარი კითხვაა, როგორ არის შესაძლებელი მათი უნივერსალური სინთეზი? და არის კი შესაძლებელი?

იერუსალიმზე და ათენზე მსჯელობა სხვა არაფერია თუ არა ფიქრი ადამიანის უკეთესი ცხოვრების შესახებ.

ადამიანი მუდმივად ეძებდა საყრდენს. ჩვენი საუკუნე, ესაა მღვდელმთავრე ეპოქა – საყრდენი მორღვეულია, ადამიანები ვეძებთ ხსნას – მუდმივად ახალ გზას.

პირველი: გზა, რომელიც ადამიანმა აირჩია, იყო პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა – სამყარო არ გაუმჯობესებულა.

მეორე: გზა, რომელზეც ადამიანები დიდ იმედებს ამყარებდნენ იყო განათლება, „ცოდნა ძალაა“. მართლაცდა გადაღმულია დიდი ნაბიჯები წინ მეცნიერებაში, ტექნიკაში, მაგრამ „ამავე დროს უზარმაზარი ნაბიჯები გადაღმულია უკან სულიერებაში, რწმენაში, ზნეობაში. ჩვენ გვაკისრია დიდი მოვალეობა და დიდი პასუხისმგებლობა, დავეხმაროთ ჩვენს ხალხს“, ბრძანებს ილია მეორე.

მესამე: ყველაზე მაცდუნებელი გზაა, ცხოვრების მაღალი სტანდარტების მიღწევა – სწრაფვა ფუფუნებისაკენ, შედეგად ვღებულობთ გაუცხოვებას. ვიწყებთ ხეტიალს და ვეძებთ ჩვენს თავს.

ადამიანმა მიაღწია წარმოუდგენელ დონეს, მაგრამ მათ არ შორდება „გაურკვევლობის განცდა“...ის ისევ ძიებაშია.

ძიება გზაა ფილოსოფიისაკენ, რადგან ადამიანი და ფილოსოფია განუყოფელია, რაც მომავალში უფრო საჭირო ბიბლიური რწმენისა და ბერძნული აზროვნების შერწყმის საფუძველზე დასავლელი ადამიანი იქცა იმად, რაც ის არის დღეს. შტრაუსი აღნიშნავს; „მისათვის, რომ საკუთარი თავი შევიმეცნოთ და მომავლისკენ მიმავალ გაუკვალავ გზას ნათელი მოვფინოთ, უწინარეს ყოვლისა, იერუსალიმი და ათენი უნდა შევიმეცნოთ“.

ეს განზრახვა გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენ გვგონია? მათზე საუბარი, თითოეული მათგანის თვითშემეცნების ფარგლებს მიღმა გასვლას გვაიძულებს. შეუძლია კი ადამიანს ტრანსცენდირება?

„იერუსალიმი“ ეს ბიბლიაა. რა არის ათენი? ბერძენთა გონი? უდიდესი თხზულებები? - სადაც გახსნილია ათენის სიბრძნე, საიდუმლოებები?

აქ დგება უმთავრესი საკითხი; განსხვავებათა გაგებას უნდა შევეცადოთ, რომელიც ბიბლიურ და ბერძნულ სიბრძნეთა შორისაა არსებული. სხვათა

შორის ხაზი გაეუსვათ იმ გარემოებას რომ თითოეული მათგანი საკუთარ თავს ჭეშმარიტად სიბრძნედ მიიჩნევს... ეს ხომ ერთმანეთის უარყოფაა?

ბიბლიის მიხედვით სიბრძნის დასაბამი უფლის წინაშე შიშია.

ბერძენი ფილოსოფოსების აზრით კი, სიბრძნის დასაბამი გაკვირვებაა. ჩვენ ორივესათვის ღიანი უნდა ვიყოთ. მაგრამ ჩვენში თითქოსდა ჭარბობს სიბრძნის მაძიებლობა.

უნდა აღინიშნოს რომ „გაყოფის“ თეორია დიდად არის დავალებული ავგუსტინესაგან. მან მკაცრად გამიჯნა სახელმწიფო და ეკლესია, „ამქვეყნიური ქალაქი“ და „ზეციური ქალაქისაგან“.

თანამედროვეობის მოაზროვნეები, როგორც აღნიშნავენ იხსნება რაციონალური აზროვნების ახალი პერსპექტივები. მთავარი მდგომარეობს არა იმაში, რომელი გზაა სწორი, არამედ რომელი გზა წარმართავს ადამიანს და მის ცხოვრებას უკეთესად.

„დღეს“ ადამიანი თავისი საზღვრითი ექსისტენციალური მდგომარეობის გამო რელიგიასა და მეცნიერებას, გამოცხადებასა და გონებას, ეკლესიასა და აკადემიას შორის დიალოგს ანუ ახალი კომუნიკაციის გზას უნდა დადგეს, რომელიც გახსნის თანამედროვეობისათვის ახალ ჰორიზონტს.

“New” Way of Overcoming the Crisis of the Modern World – The Future of Universal Synthesis

Demuri Jalagonia

The discourse between the two different thinking concepts still continues since the earliest times. These two different discourses conditioned the development and even the existence of the whole of western culture. There is a certain controversy between these two supports of western culture. Modern thinkers call our epoch a “Crisis of Modernity”.

In order to understand the crisis of modernity and to overcome it we might consider it necessary to reactualize and reinterpret the two concepts of thought such as classical thinking and Biblical

religion (Athens and Jerusalem) as long as the understanding of the insuperable obstacle of the concept of contradictory thinking is supposed to open new prospects for philosophical, theological and political discourses.

Historical development proved it to be impossible to reconcile the two controversial poles. We should look for the future of universal culture within its separate independent developments. The main question is how is it possible to achieve their universal synthesis and if it is possible at all? Any discussion on Jerusalem and Athens is nothing else other than thinking about a better future for humankind. Human being is always looking for something to rely on. Our century is the era of constant turmoil providing a very little support. Human beings seek salvation that often reveals in their constant attempts to look for new ways.

The first way that humans chose was the way of obtaining political freedom – nevertheless it did not change the world.

The second way, in which human beings put enormous hopes, was education – they believed that knowledge is power. Immense achievements were performed in the fields of sciences, technology etc. Yet, “at the same time huge steps were made backwards in the fields of spirituality and morality. We carry enormous responsibility to help our people” says Ilia II. The third way: the most tempting way – setting high standards of life and striving towards luxury. As a result we only end up in disappointment, alienation, we start wandering around looking for our own selves.

Human being has reached unimaginable heights, but he cannot escape the feeling of confusion – he is still lost in his search. Searching is the way to philosophy, since human being and Philosophy are inseparable. The “today’s” human being is forced by his own limited existential circumstances to follow a new way of dialogue between religion and science, revelation and ratio, church and academia. The way of new communication will open a new horizon for modernity.

გლობალური და უნივერსალური
აკაკი ყულიჯანიშვილი

გლობალურის და უნივერსალურის დამოკიდებულების საკითხი ოსტმოდერნული აზროვნების მთავარ გამოწვევად რჩება. ერთი შეხედვით გლობალიზაციურ პროცესებს უნდა განემტკიცებინა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თუმცა ეს ასე არ მოხდა. გლობალური ძალადობს უნივერსალურზე, ისევე როგორც უნივერსალური ძალადობს სინგულარულზე.

ამ ცნებების ზუსტი დეფინიციები და მათი მნიშვნელობების შეპირისპირებითი ანალიზი, მრავალ პრობლემას მოჰყვანს ნათელს.

The Global and the Universal

Akaki Kulidjanishvili

The question of the relationship between the global and the universal remains to be the major challenge of postmodern thought. At first glance the globalization process was supposed to strengthen universal values. However, it did not happen this way. On the contrary, the global tends to violate the universal as much as the universal tends to violate the singular. The comparative analysis and precise definitions of these concepts will shed light to many other problems as well.

სიყვარული როგორც დაბრუნება საკუთარ თავთან სხვის მეშვეობით (პლატონური ტრადიცია) ლელა ალექსიძე

პლატონის “ნადიმით” დაწყებული, სიყვარულს (ეროსს) მის საუკეთესო ფორმაში ანტიკური ნეოპლატონიზმი და გვიანდელი პლატონური ტრადიცია განმარტავდა, ძირითადად, როგორც სულის ინტელექტუალურ აქტივობას, რომელიც მიმართულია მისი (სულის) მისწრაფების უფრო მაღალი ობიექტისკენ. ყველა ეპოქის (ნეო)პლატონიკოსების აზრით, სულის ეს მისწრაფება მოითხოვდა და გულისხმობდა სულის კონცენტრაციას *ერთზე* მისივე, სულის, შიგნით, ანუ

სულის თვითკონცენტრაციას და, ამ კონცენტრაციის მეშვეობით, “კონტაქტს” ერთიანობის უფრო “მაღალ” დონესთან, იმდენად, რამდენადაც ეს ადამიანისთვის იყო შესაძლებელი. მიზეზ-შედეგობრივი დიალექტიკის ნეოპლატონური გაგების საფუძველზე, სიყვარული, საზოგადოდ, გაიგებოდა, როგორც სულის ბუნებრივი მისწრაფება, “ახლოს” ყოფილიყო თავის მიზეზთან – გონებასთან, ანუ თავად მისივე (სულის) ნამდვილ *მე-სა* და არსებასთან. (ნეო)პლატონიზმის ყველა ნაირსახეობაში ჩვენს თავში *ერთზე* კონცენტრაცია გაიგებოდა, როგორც ჩვენი სულიერი სრულყოფის უკანასკნელი და უმაღლესი ფორმა, თუმცა *სხვის / სხვაობის* როლის ინტერპრეტაცია პლატონიკოსებში საკმაოდ განსხვავებული იყო. და მაინც, ყველა შემთხვევაში, *სხვის* ცოდნა აღიქმებოდა, როგორც აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგმულიყო თვითსრულყოფის მდგომარეობის მისაღწევად.

მოცემული ნაშრომის მიზანია, პლატონურ ტრადიციაში სიყვარულის ფილოსოფიური (პლატონური ტრადიციის ფარგლებში) ინტერპრეტაციის იმ ასპექტების ანალიზი, რომლებიც კონცენტრირებულია, ძირითადად, როლზე, რომელსაც ასრულებს *სხვა / სხვაობა* და მათი ცოდნა საკუთარი ნამდვილი *მე-სა* (თვითობის) მოპოვებისა და მიზეზთან ერთიანობისკენ მიმართულ გზაზე. სიყვარულსა და ცოდნაში *სხვის* როლზე აქცენტის გამახვილება პლატონური ტრადიციის სხვადასხვა ეტაპზე, ჩემი აზრით, ცხადს ხდის, ერთი მხრივ, იმას, რომ ჭკრეტის უმაღლესი დონის მიღწევა მოითხოვს სხვადასხვა სახის მოქმედების საკმაოდ კომპლექსურ და რთულ კომბინაციას, ხოლო მეორე მხრივ, ის მიგვანიშნებს იმასაც, რომ ფილოსოფია შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა, მათ შორის “არა-აკადემიური” მოქმედების სახითაც.

Love as a Way back to Self through Other (Platonic tradition)

Lela Alexidze

Starting from Plato’s *Symposium*, Love (Eros) in its best form was interpreted in ancient Neoplatonism and later Platonic tradition mainly as soul’s intellectual activity, directed toward

the “higher” object of its desire. For (Neo)Platonists of all epochs, soul’s desire of the “higher” object required, generally, its concentration on the *one* in itself and, by means of this concentration, “contact” with the “higher” level of unity, as far as this was possible for a human being. On the basis of (Neo)platonistic dialectic of cause-effect relationship, Love was understood, generally, as soul’s natural desire to be “close” to its cause – intellect, that means, to its own (soul’s) true self and substance.

In all forms of (Neo)Platonism, the intellectual concentration on the one within us was acknowledged as the last and best form of one’s spiritual perfection. Although the role of *other* / *otherness* was interpreted by the Platonists quite differently, nevertheless, the knowledge of *other* was understood, generally, as a necessary step on the way of attaining the highest form of self-perfection. I think that accenting the importance of *other* in Love and knowledge made clear, on the one hand, that achieving the highest level of contemplation requires quite a complex and difficult combination of different actions, while on the other hand, it made also evident that philosophy is possible in different forms, including the “non-academic” activities. The aim of this paper is, to analyze those aspects of philosophical interpretation of Love in Platonic tradition, which are concentrated mainly on the importance and role of *other/otherness* in the “process” of acquiring one’s true self and achieving unity with the cause.

პაიდეიას ფილოსოფია (ეთიკური ასპექტები) ანასტასია ზაქარიაძე

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული პაიდეიას ფილოსოფიური მატრიცა დრო და დრო აქტუალიზირდება ფილოსოფიაში. მოხსენებაში კვლევის აქცენტი გადატანილია განათლების ფილოსოფიაში პაიდეიას ფილოსოფიური მატრიცის თანამედროვე წაკითხვაზე; კონკრეტულად კი მის ეთიკურ ასპექტებზე.

21-ე საუკუნის გამოწვევები უპირველეს ყოვლისა კონცენტრირდება განათლების სფეროში; თანამედროვე რეალია მოითხოვს კომუნიკაციისა და აზროვნების უნარების მქონე განსაკუთრებულად დახელოვნებული ადამიანების აღზრდას. პაიდეიას ფილოსოფიის თანამედროვე ვერსია გვთავაზობს კლასიკური

განათლების იმგვარ პარადიგმას, რომელიც არსობრივად ასახავს 21-ე საუკუნის სამყაროს მოთხოვნებს.

განათლების ფილოსოფიის პაიდეიას ახალი მოდელში მთავარი აქცენტი სწავლებისა და სწავლის ხარისხს, რიგორიზმსა და ინტელექტუალურ დიალოგზეა, რომელიც მიმართულია კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. პაიდეისტური მიდგომა გულისხმობს თეორიისა და პრაქტიკის უწყვეტობას და თავისი არსით საბოლოო ჯამში ჰოლისტურია. რა ნიშნით უნდა შეფასდეს პაიდეიას თანამედროვე ფილოსოფიური მატრიცა, როგორც რელევანტური ღირებულებისა და დატვირთვის მქონე თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიებისა და მზარდი მოთხოვნების მქონე სამყაროში?

კვლევამ გვიჩვენა, რომ პაიდეიას ფილოსოფიის თანამედროვე მარტიცა განსაკუთრებულ აქცენტს სვავს ეთიკურ ასპექტებზე, კერძოდ, დისკუსიის გზით მორალური გადაწყვეტილების მიღებაზე. დისკურსული ეთიკა, როგორც მორალური დებატის ფორმა, თანამედროვე დასავლელი ფილოსოფოსების, მაგ. იურგენ ჰაბერმასის მიხედვით, ეფუძნება რეგულარულად წარმოებულ დებატებს. დისკუსიაში მონაწილე მორალური პირები იდეალურ სამეტყველო სიტუაციაში იზიარებენ პრობლემის ერთიან ხედვას. შემდეგი ნაბიჯი გულისხმობს პროცედურების მიდევნების გზით სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით კონსენსუსის მიღწევის მცდელობას. დისკურსული ეთიკის კრიტიკოსები აღნიშნავენ იმ სუსტ მხარეებს, რომელნიც თან სდევნ ამ თეორიას, კერძოდ, კვლევის მეთოდის სისუსტეს, ელიტიზმის საშიშროებას; ასევე მიგვანიშნებენ უსაზღვრო ოპტიმიზმსა და პაციფიზმზე, რომელნიც თან სდევნ ამ თეორიას. ამ სიძნელეთა მოხსნის მიზნით დისკურსული ეთიკის მომხრეებმა სცადეს მიდგომის მოდიფიკაცია. რის შედეგადაც გამოიყო ორი ჯგუფი: მსჯელობის დისკურსი და აპლიკაციის დისკურსი. ამათგან მეორე ფორმა უპირატესია. მასში ადგილი რჩება მოლაპარაკებისათვის. "მოლაპარაკების" კონცეპტი განსაკუთრებულად დატვირთულია მნიშვნელადობით მორალური გადაწყვეტილების მიღების ველზე. იგი ადამიანის ქცევის მნიშვნელოვანი კატეგორიაა. მასში საინტერესოაა წარმოაჩენილი თუ როგორ ხდება მორალური ქცევის გადაფარავა ამ კატეგორიით. მოლაპარაკების ეთიკა, როგორც პაიდეიას

თანამედროვე მარტივის განუყოფელი სეგმენტი, განასხვავებს მოლაპარაკების ოთხ კონცეპს, და იყენებს ურთიერთ პატივისცემასა და ნდობას, როგორც მორალურ მინიმუმს, იგი ორ დონიან მორალურ დებატს წარმოადგენს.

მოსხენებაში შეფასებულია პაიდეიას ფილოსოფიური მატრიცის დადებითი მხარეები და მისი თანამედროვე წაკითხვის სიძნელეები.

Paideia's Philosophy (Ethical Aspects)

Anastasia Zakariadze

Philosophical matrix of Paideia starts from Antiquity and actualized time by time. The assent of analyses concentrated on contemporary version of philosophical matrix of Paideia in the philosophy of education; namely on its ethical aspects. Everything we know about life in the 21st century tells us that a human being must be prepared with a wide range of communication and thinking skills. In many ways, the Paideia suggests a classical education that is perfectly suited for the 21st-century world. It involves returning to ancient wisdom in response to contemporary challenges. The philosophical matrix of Paideia in the philosophy of education emphasizes quality, rigor, and intellectual dialogue facilitated with open-ended questions. Together the Paideia theory and practice provide a holistic approach designed to prepare a human being to become educated, how is the Paideia philosophy relevant in the world of high-stakes accountability?

An analysis shows that up-to-date matrix of the Paideia pays special attention to the ethical issues, namely to the nature of moral decision-making through discussion. As a form of moral debate, discourse ethic, according to contemporary Western philosophers e.g. Habermas, is based on regulated discussion. Participating moral agents share a common understanding in the ideal speech situation. Following procedures they try to reach consensus on questions of justice and rights. Critics of discourse ethic point to the bias of Western assumptions regarding agents and methods, the danger of elitism, and the optimism and the pacifism that runs through the theory. After modification, there are distinguished two types of discourse: the discourse of justification and the discourse of application. The second is inferior to the first. In the second, there is room for negotiating. There is another way of looking at negotiation, one that takes negotiating seriously as an important category of human behaviour. This category shows an interesting

overlap with moral behaviour. Distinguishing four concepts of negotiating and using reciprocity and trust as the moral minimum, Negotiating Ethics is presented as a two level moral debate. Report analyses positive side and difficulties of the Paideia philosophy.

ანთიმოზ ივერიელი და დასავლური განმანათლებლობა ირაკლი ბრაჭული

წმ. ანთიმოზ ივერიელი ცხოვრობდა (1660-1716) განმანათლებლობის ეპოქაში. აღსანიშნავია წმინდა ანთიმოზ ივერიელის ერთი მოდერნული თეოლოგუმენა – „მოდერნული“ თავისი სტილითა და შინაარსით. ქადაგებაში „ღვთიმსშობლის მიძინების შესახებ“ ის ამბობს: ხილული და უხილავი სამყაროს შემოქმედ ღმერთს თავისი ყოვლად ძლიერებით შეეძლო შეექმნა სამყარო უფრო დიადი და

საკვირველი ვიდრე ის, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, მაგრამ მას არ შეეძლო შეექმნა არსება, თავის ღირსებაში რომ აღმატებოდეს დედა ღვთისმშობელს. „მისი ყოვლადძლიერების მიუხედავად, როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ღმერთზე აღმატებული, ასევე ვერ წარმოვიდგენთ ქმნილებას მეტად აღმატებულს, ვიდრე მას, ვინც იტვირთა განკაცებული ღმერთის დაბადება“, ესაა ადამიანისა და ღმერთის მიერ სამყაროს თანაკრეაციის (Cocreator) კონცეფცია. აქ ჩანს წმ. ანთიმოზ ივერიელი როგორც მე-18 საუკუნის დიდი თეოლოგი და ფილოსოფოსი.

Anthim of Iberia and the Western Enlightenment Irakli Brachuli

Saint Anthim lived (1660-1716) in the Age of Enlightenment. It is worth to mention one modernistic Theologumena of Anthim, “modernist” by its style and

content. In his sermon on the Dormition of the Mother of God he mentions: God, the Creator of the entire visible and invisible world, could have made the world greater and more amazing than the one we exist in, but he could not have created a creature exceeding the Mother of God in her virtue. “Despite all His majesty, since we cannot imagine anything more powerful than God, it is equally impossible to imagine a creature more sublime than Her, who took upon Herself bearing the true God in human flesh”. This is the concept of co-creation of the world by God and human being. Here we see Saint Anthim as a great theologian and a philosopher of the 18th century.

ტერმინი რომანტიზმის განსაზღვრისათვის ნანა გულიაშვილი

ტერმინი „რომანტიკული“ მეცნიერთა ვარაუდით, პირველად 1650 წელს იქნა გამოყენებული და მისი მნიშვნელობა იყო „ფანტასტიკური“, „მოგონილი“, „წარმოსახვითი“. შუა საუკუნეებში სიტყვა **Romance** აღნიშნავდა ეროვნულ ენებს, რომლებიც წარმოიშვნენ ლათინური ენებიდან.

XVII-ში ინგლისურ ენაზე სიტყვას **Romance** ჰქონდა უარყოფითი მნიშვნელობა და აღნიშნავდა გადაჭარბებულს, ფრანგულ ენაში იყო ორი მნიშვნელობა: **Romanesque** (რაც უარყოფას ნიშნავდა) და **Romantisque** (რაც სევდიანს, სენტიმენტალურს ნიშნავდა). გერმანიაში **Romantisch** ასევე ნიშნავდა სევდიანს.

ესთეტიკაში ეს ტერმინი გამოიყენა ფრიდრიხ შლეგელმა. რომანტიზმი, ახალი მხატვრული მიმართულებაა. საფუძველი დაუდო ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ სტილს, ჩამოაყალიბა ფილოსოფოსობის განსაკუთრებული მეთოდი. რომანტიკოსები კვლევის საგნად ადამიანის გრძნობას აღიარებდნენ.

Definition of the term Romanticism

Nana Guliashvili

Scholars believe that the term „Romantic " was used for the first time in 1650 and its meant “fantastic”, “made”, “imaginary”. In the Middle Ages the word romance noted national languages, which have emerged from Latin languages.

The 17th century English word had negative connotations and noted exaggerated romance, the French language was less dramatic: Romanesque (rejection) and Romantisque (sad, or sentimental). The German word Romantisch also means sad. Friedrich Schlegel used the aesthetics of this term. Romanticism is a new artistic movement. It laid the foundation for a new artistic and aesthetic style, has established a special philosophical method. The Romanticists regarded human feelings as the chief target of research.